ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№117 (178) 3-10 მაისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

საქართველოს სახელით, საქართველოს საზიანოდ!!!

ამას წინათ ლამის მთელ მსოფლიო მედიაქსელში (ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა საერთაშორისო ვრცელი ინტერნეტსივრცე) გაჩნდა სენსაციური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში, ერთი მოხუცი ქალის დანაშაულებრივი ქმედების გამო დაზიანდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რის გამოც საქართველოსა და აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, სომხეთი კი მთლიანად აღმოჩნდა ინტერნეტის გარეშე!

ფაქტი თავისთავად აღმაშფოთებელია და ჩვენც ვუერთდებით ინტერნეტის მომხმარებელთა სავსებით სამართლიან გულისწყრომას. მაგრამ მაინც, საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ერთი აუცილებელი განმარტება, უაღრესად საწყენი გარემოების გამო – მართალია, მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ კონკრეტულად არაფერს ამბობენ იმ პიროვნების ვინაობაზე, ვინც ჩაიდინა ეს სისხლის სამართლის დანაშაული!

ყველაფერი კი ასე მოხდა: ქალაქ კასპში მცხოვრები 75 წლის ქალბატონი აიასტან შაქარიანი თავისი ეზოს შემოგარენში ბარით მიწას ჩიჩქნიდა მიწის დამატებითი ნაკვეთის დასამუშავებლად და თურმე “შემთხვევით” დააზიანა კავკასიაში შემომავალი ინტერნეტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი!

აი, თურმე რაშია საქმე!

მთავარია, რომ ეს მოხდა საქართველოში და ამაში სწორედ ქართველები არიან დამნაშავეები, და არა ქალბატონი აიასტან შაქარიანი, რომლის გვარ-სახელით შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლება იმის დადგენა, რომ ეს ქალბატონი ეთნიკური სომეხი გახლავთ, და არა ქართველი!

მაგრამ, ვიმეორებთ: მთავარი თურმე ისაა, რომ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა!

რაღაც ძალიან მოხშირდა სისხლის სამართლის ის დანაშაულები საქართველოში, რომელიც მსოფლიო საზოგადოების აღშფოთებას იწვევს, მაგრამ მისი შემოქმედები, “რატომღაც” ქართველები არ არიან! არის თუ არა ეს შემთხვევითი მოვლენა?

რამდენიმე წლის წინ მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საქართველოში ტერორისტული აქტი მზადდებოდა აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის (ამჟამად – “ექს”) ბუშის წინააღმდეგ. საქართველოსათვის მრავალი უბედურების მომტანი ბუში შეიძლება მეტსაც იმსახურებდეს, მაგრამ, რატომ უნდა მომზადებულიყო მასზე თავდასხმა საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის შემსრულებლადაც კვლავ ეთნიკური სომეხი, ვიღაც ვოვა გრიგორიანი მოგვევლინა? ამან ხომ დიდი ზიანი მიაყენა ქართველი ადამიანის ისედაც დაქვეითებულ საერთაშორისო ავტორიტეტს? მაშინ ამერიკელმა სომხებმა მორთეს ყაყანი: “ქართველები ტერორისტები არიანო”, ჩვენ კი კრინტი არ ამოგვაღებინეს თავის დასაცავად, რადგან ყველაზე დიდმა “ქართველმა” სააკაშვილმა მკაცრად გაგვაფრთხილა: “სომხები აქ არაფერ შუაში არიან, რადგან ტერორისტს ეროვნება არა აქვსო”! კარგით ბატონო, თუ ეროვნება არა აქვთ, მაშინ არც სამშობლო უნდა ჰქონდეთ და აქცენტი არც იმაზე უნდა გაკეთდეს, რომ ტერაქტი საქართველოს ტერიტორიაზე მომზადდაო! თუ ერთს არ ვაზუსტებთ, მაშინ არც მეორე უნდა დაზუსტდეს, მაგრამ, მაშინ ხომ ქართველების დადანაშაულება ვეღარ მოხერხდება ყველა ამქვეყნიურ უბედურებებში.

დღეს კი საქართველოსათვის საზიანო საქმეს დიდი გულმოდგინებით სწორედ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოკალათებული ის სომხები აკეთებენ, რომელთაც ლობირებას უწევენ მათი ამერიკელი მილიონერი თანამემამულეები. ისინი ქართველების ლანძღვა-დამცირებით და საკუთარი “დამსახურებებით” იტკბობენ პირს? თუნდაც ავადსახსენებელი “ყველა ხელისუფლებას კორპად მორგებული” ანასტას მიქოიანი აიღეთ, რომელსაც სტალინის სიკვდილისა და ბერიას დაპატიმრების შემდეგ, კრემლში, ქართველებისათვის საზიანო და სომხებისათვის სასიკეთო საქმის მეტი არაფერი უკეთებია!.

შორს წაგვიყვანს ამაზე მსჯელობა, ამიტომ, მოდით კვლავ ამ ავბედით ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს დავუბრუნდეთ, რომელიც უნებლიედ დააზიანა “სრულიად უდანაშაულო” დედაბერმა. მაშ ასე, გამოვიდა 75 წლის აიასტანა ბებო ბოსტანში სამუშაოდ და სრულიად “შემთხვევით” (ქართველებისათვის, თორემ უცხოელები დარწმუნებული არიან, რომ ქართველებმა ბოროტი განზრახვით დააზიანეს კაბელი) დაარტყა ბარი მიწას, რომლის ქვეშაც თურმე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გადიოდა!

ყველაფერი დღესავით ნათელია, რომ არა ერთი “უმნიშვნელო” გარემოება – სრულიად არ მინდა ოტელოს ეჭვიანობის სინდრომით შეპყრობილ ადამიანს დავემსგავსო, მაგრამ ამ ფაქტის გარშემო თავმოყრილია რამდენიმე “შემთხვევითი” ფაქტორი, რატომღაც კანონზომიერების შთაბეჭდილებას სტოვებს. თუნდაც ის, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი საიმედოდაა დაცული იზოლირებული აზბესტის სქელკედლიანი მილებით და მისი დაზიანება არამც თუ ხელებაკანკალებულ დაუძლურებულ დედაბერს, არამედ ჯანიან ახალგაზრდა კაცსაც კი უეჭველად გაუჭირდება.

ვითომ ესეც შემთხვევითია?

შემთხვევითია ის, რომ უდიდესი მეცნიერი, ქართული საქმისათვის თავგადადებული ცხონებული გურამ შარაძე ეთნიკურმა სომეხმა, დღისითმზისით, ქალაქის ცენტრში მოჰკლა განსაკუთრებული ცინიზმით?

ან იქნებ ისიც შემთხვევითი ამბავია, რომ თბილისის სასტუმრო “ქორთიარდ მერიოტში” ფრანგი სტუმარი ასევე ეთნიკურმა სომეხმა, მცირეწლოვანმა ელდარ მიკირტიჩიანმა თვალშისაცემი ცინიკური გულგრილობით მოჰკლა.

ახლახან ქართველმა სამართალდამცავებმა აფიორაში გამოააშკარავეს “პრივატბანკის” გარე გაყიდვების აგენტი ამაიაკ გრიგორიანი, რომელიც თაღლითურად სძალავდა ფულს მოქალაქეებს!

ცოტა ბევრი “შემთხვევითობა” ხომ არ არის? ამ მკვლელობებისა და დანაშაულობების მიღმა ხომ საქართველო, ქართველი ხალხის ავტორიტეტი დგას, რადგან, ყველაფერ ავსა თუ კარგზე, რაც ხდება საქართველოში, ქართველი ადამიანია პასუხისმგებელი!

სწორედ ამგვარი ფაქტების ერთ ასხმად შეგროვება უტეხავს ქართველ ადამიანს ავტორიტეტს, ვიღაც-ვიღაცეებს კი ფრიად არაკომპეტენტური განცხადების გაკეთების საშუალებას აძლევს: “საქართველო არშემდგარი სახელმწიფოაო”!

სავარაუდოდ, მათ სახელმწიფოს მოწყობის პოლიტიკური მოდელი აქვთ მხედველობაში, თორემ მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ, საქართველოს ისტორიის საწყისი ათასწლეულების მიღმა იკარგება.

თუმცა, სხვას რა უნდა ვედავოთ, როცა თავად ჩვენი პრეზიდენტი უმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოოს, როგორც სახელმწიფოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო.

მოკლედ, ვიდრე რამეს დააყრანტალებ, ჯერ უკან უნდა მიიხედო, უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოჩნდე. თუმცა, თუ მე უშუალო კონტაქტი მექნება მეზობელი ქვეყნების პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებთან, მსგავსი უზუსტობები და გულსატკენი „გადახრები“ აბსოლუტურ ნულს გაუტოლდება!

ვიმეორებ უმეცართა და მოშურნეთა გასაგონად: საქართველო ყოველთვის ძლიერი სახელმწიფო იყო. მას, უბრალოდ, არასოდეს ჰყოლია ისეთი არშემდგარი ხელისუფლება, როგორიც დღეს ჰყავს და ამიტომაც გვიტყაპუნებს ყველა თავში!

ასე რომ, ქართველი კაცის ამაგის დამფასებელი დღეს აღარავინაა დედამიწის ზურგზე! ამიტომაც გვაზის თავზე ყოველი ჯურის არამზადა! საქართველოში რომელი ინვესტორიც შემოვიდა, იმდენი თავისი რჯულის მუშა ჩამოიყვანა, გაუბედურებული ქართველი კაცი კი კვლავ უმუშევრად არის დარჩენილი და მხოლოდ ღვთის წყალობის იმედი აქვს. ამის დასტურად თუნდაც აზერბაიჯანული კომპანია “სოკარი” გამოდგება, რომელიც მხოლოდ მარნეულელი და გარდაბნელი თათრებითაა დაკომპლექტებული.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემხედვარე, რომელიმე ობივატელი მართლაც იტყვის, საქართველო არშემდგარი სახელმწიფოაო, და მართალიც იქნება, რადგან “შემდგარი” სახელმწიფო, უპირველესად, საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს და არა საკუთარ ჩინოვნიკებსა და გადამთიელებზე.

ან, როგორ შეიძლება შემდგარად ჩაითვალოს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტს ქვეყნის ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.

როგორ შეიძლება შემდგარად ჩაითვალოს ის სახელმწიფო, რომელსაც ტირანია მართავს და სადაც ადამიანის სიცოცხლე ნულის ფასია!

შორს მიდის ჩვენი შიშით დაზაფრული ჩარჩი ხელისუფლება, რომელსაც ნებისმიერი არანაციონალი შეძლებული ადამიანი შიშის ზარს ჰგვრის. ამას წინათ ყაყანი ატეხეს, რომ ოპოზიციას მხარში ამოუდგა ვიღაც კოტე გოგელია, რომლის ქონება 50 მილიონ დოლარს შეადგენსო. და ეს მაშინ, როცა თავად 50 მილიონი დოლარი ჯიბის ხურდა ფულად მიაჩნიათ, როცა სრა-სასახლეებს იშენებენ და ყიდულობენ და პორტუგალიაში მეძავებს ათიათასობით დოლარს ახარჯავენ! აბა, მაგათ რაში ენაღვლებათ, თუ ვინ გაყვლეფს ქართველ ადამიანს: სომეხი, ოსი, აზერბაიჯანელი, თურქი თუ ამერიკელი...

ან ის სახელმწიფო თუ შეიძლება ჩაითვალოს შემდგარ სახელმწიფოდ, რომელიც არ დაიცავს უბრალო თელაველ გლეხკაცს დომენტი გაგნიძეს, რომელმაც კიბო დაამარცხა და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მსოფლიო მედიცინის გრანდები. ახლა კი, იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ხელისუფლება სათანადო საბუთებს აგროვებდეს დომენტი გაგნიძის ნობელის პრემიაზე წარსადგენად, ვიღაც უჯიშო ნაძირალებს აგულიანებენ სასამართლოში საჩივლელად, რათა ამ გენიალური მიგნების ავტორი ციხეში ჩასვან და წამლის მაფიამ კვლავ თავხედურად იპარპაშოს სოციალურად და ეკონომიკურად ლამის მიწასთან გასწორებულ საქართველოში!

მაგრამ, ეს უკვე ჩვენი შიდა სატკივარია!

ღმერთმა დამიფაროს რასისტული მისწრაფებებისაგან, მაგრამ ფაქტი სახეზეა და მას გვერდს ვერ ავუვლით!

მივმართავთ ჩვენ ძმებს, იმ სომხებს, რომლებსაც ჩვენსავით სტკივათ საქართველო და არც თუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ საქართველო თავის მეორე სამშობლოდ: თქვენ დიდი ავტორიტეტი გაქვთ როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში, თქვენი სჯერათ, თქვენ უყვარხართ და თქვენ გენდობიან თქვენი თანამემამულეები. ამიტომ, საჭიროა განემარტოს მათ, რომ ჩვენ ერთმანეთის სახელსა და ღირსებას უნდა გავუფრთხილდეთ, ჩვენ ღმერთმა ერთად თანაცხოვრება დაგვაბედა და ძლიერები მაშინ ვიყავით, როცა ერთმანეთს ვედექით მხარში და არა მაშინ, როცა ერთმანეთს დაუნდობლად ვებრძოდით!

ნუთუ ეს არ არის საკმარისი შესაბამისი დასკვნების გამოსატანად?!

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტრობაია 11
“ქაროჰყმა”

5 სამეგრელო დაგით დადიანის დროს

6 დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

8 შალვა ბრეუსი: რკინიგზა მეგბიუსის ლენტს ჰგავს



2-3
9 მაისი გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

9 მაისი გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან!..

ბავშვობაში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათი სახელები მთელ საბჭოთა კავშირზე გადაიქუხებდა და სანიმუშოდ იქცეოდა მომავალი თაობებისათვის.

მშვიდობიანობის დროს ისინი უბრალო მუშები, მოსამსახურეები, გლეხები იყვნენ. მაგრამ, როგორც კი სამშობლოს მტერი მოადგა, სამუშაო ადგილები მიატოვეს, იარაღი აიღეს ხელში და მტერს სამშობლოს გულისაკენ მიმავალ გზაზე გადაეღობნენ.

ბევრი მათგანი გაიწვიეს სამამულო ომში, ბევრმა პირტიტველა ყმაწვილებმა კი, მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, საბუთების გაყალბებით ასაკი მოიმატეს და მოხალისედ ჩაეწერენ მებრძოლთა რიგებში. იმ მძიმე ჟამს მამაკაცებთან ერთად ჩვენი ქალებიც ომობდნენ, ბევრი მათგანი სანიტარი და მედიცინის და გახლდათ და მტერი არც მათ ინდობდა – უამრავი უმწიკვლო, სიყვარულს უზიარებელი ქალიშვილი შთაინთქა იმ სასტიკ და დაუნდობელ ომში!

ბევრ ოჯახს ფოტოსურათიც კი არ დარჩა მათ მოსაგონრად.

დაგვრჩა მხოლოდ მათ მოსაგონად ქაღერილი ლექსები, თუნდაც სულით ხორციანად ქართველი, შესანიშნავი პოეტის გოგლა ლეონიძის ამონაკვნესი, რომელმაც სიცოცხლეში ვერა და ვერ იჯერა გული ომში დაღუპულ ქართველ დეკგმირთა დატირებით;

გამოჩნდებოდა ბუქი და მტვერი,
კორიანტელი ამტყდარი ცამდე,
მტვრევით მოჰქროდა სეტყვასებრ მტერი
და ქართლს ურდონი თვალებითნთქავდნენ.
წინ ვინ დაუდგეს წარღვნათ ნიაღვარს,
ქარიშხლის შეხლას, ცეცხლის კვეთებას,
თქვენ დაუდექით და თქვენი თქმული
დღესაც ანდერძად გულს დაგვედება!
– არა, არ არი წესი, ქართველმა
მტერს შეუბმელად ზურგი უჩვენოს,
მტერი კი არა, თუგინდ სიკვდილმა
სამშობლოს საზღვრებს შემოუჭენოს...

დიახ, **"ქართლის ცხოვრებაში"** ერთ-ერთი ქართველი სარდალი ამაყად თავადერილი ეუბნება თანამებრძოლებს: **"...არა არს წესი ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენკერძ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი".**

სწორედ ეს გახლდათ ქართველ მებრძოლთა ცხოვრებისეული კრედო – ზურგი არ შეექციათ მტრისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ სიკვდილის რეალური საფრთხე დაემუქრებოდათ. ამიტომაც, უტყუარი სტატისტიკა ღაღადებს, რომ საქართველოდან დიდ სამამულო ომში წასული 700.000 მეომარიდან მხოლოდ ნახევარი დაბრუნდა შინ საღსალამათი თუ დაინვალიდებული. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საქართველომ, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ყველაზე მეტი შვილი დაჰკარგა ამ ომში.

მაგრამ არის მეორე, გასახარელი და საამაყო სტატისტიკა – საქართველოდან წარგზავნილი 147 მებრძოლი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი და ერთ სულ მოსახლეზე, ამ მაჩვენებლით, საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს ბევრად ჯობნის.

სწორედ ამიტომ, როცა ვულოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს ყველა დიდი სამამულო ომის მონაწილეს და მათი ოჯახის წევრებს, არ შეიძლება მოწიწებით არ მოვიხსენიოთ შეუპოვარ გმირ მეომართა სახელები და ერთი კელაპტრის დანთებით მაინც არ ვამწყალობლოთ იმ უშიშარ დეკგმირთა სულები, რომლებიც სრულიადაც არ შეუდრკნენ სიკვდილის საფრთხეს და დაუფიქრებლად მკერდი შეაგებეს ვერაგი მტრის მიერ ნასროლ ტყვიას.

არავინ იცის, რამდენმა ქართველმა ჯარისკაცმა გადაარჩინა რუსი თანამებრძოლი საკუთარი სიცოცხლის ფასად, და პირიქით, რამდენი რუსი ჯარისკაცი გადაეფარა ქართველს და საკუთარ თავზე მიიღო სასიკვდილო დარტყმა. ჯარისკაცთა ამგვარი საქციელი მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, რადგან

მათ ერთმანეთი უყვარდათ, ერთმანეთი ეიმედებოდათ, რადგან იცოდნენ, რომ საერთო საქმეს აკეთებდნენ. დიახ, ეს მაშინ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, რადგან ქართველს, რუსს, უკრაინელს თუ ბელორუსს ერთი მტერი ჰყავდათ და სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი ადმართულები ერთ მყარ კედლად.

ქართველსა და რუსს დღესაც ერთი მტერი ჰყავს – უჯიშო გადამთიელთა ხროვა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ერთიანი წარსული დაავიწყონ ჩვენს ხალხებს და ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად გვაქციონ.

სწორედ ამ ხროვის შეგნებული მტრული და გამთიშველური მოქმედების შედეგი გახლავთ ის, რომ დიდი სამამულო ომის ქართველი ვეტერანები დიდი ხანია მონაწილეობას არ იღებენ მოსკოვში გამართულ გამარჯვების აღლუმში.

9 მაისის გამარჯვების აღლუმი კი მართლაც წარმოუდგენელია ქართველი ვეტერანი მეომრების მონაწილეობის გარეშე. ეს იგივეა, სიმღერიდან რომ სიტყვები ამოაგდო.

უსიტყვოდ სიმღერა კი ზმუილს უფრო წააგავს, და მე სწორედ აზმუვლებულ საქონელს შევადარებდი იმ ვაიპოლიტიკოსებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ქართველი ვეტერანები მოსკოვში არ ჩასულიყვნენ.

გამორიცხულია, რომ 9 მაისის აღლუმზე სამადლობელი სიყვები არ ითქვას ამ გამარჯვების სულისჩამდგმელის, საამყო ქართველის, დიდი მხედართმთავრის იოსებ სტალინის მიმართ, გამორიცხულია, რომ არ გაიხსენონ საბჭოთა კავშირის მარშლების ლავრენტი ბერიას და არჩილ გელოვანის

დიდი ღვაწლი მტერზე გამარჯვების საქმეში, არ შეიძლება არ გაიხსენონ მიხეილ ეგოროვისა და მელიტონ ქანთარიას სახელები, რომელთაც გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დროშა აღმართეს რაიხსტაგის გუმბათზე, არ შეიძლება დიდი პატივითა და ღირსებით არ გაიხსენონ ის ქართველი გენერლები, ოფიცრები, მფრინავები, მეზღვაურები, ზემდეგები, სერჟანტები და რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს კბილებამდე შეიარაღებული გერმანელი ფაშისტების განადგურების საქმეში.

"ცივი ომის" უმძიმეს პერიოდშიც კი, როცა საბჭოთა კავშირს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო გადაკიდებული მთელი კაპიტალისტური სამყარო, თვით სოციალისტური სისტემის შეურიგებელი მტრებიც კი გულახდილად აღიარებდნენ: რომ არა იოსებ სტალინისა და საბჭოთა ხალხის გმირული შემართება და თავგანწირვა, მსოფლიოს ფაშიზმის ჭირი წალეკავდა და მთელ ხალხებს გაანადგურებდა.

და ასეთ საშიშ მტერზე გამარჯვების აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებას არ დაესწრებიან ქართველები!

უფრო მეტი უზნეობა და უსამართლობა მართლაც წარმოუდგენელია!

ეს მართლაც ქონდრისკაცები ყოველნაირად ცდილობენ მიაფუჩეჩონ ქართველების დამსახურება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა და საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის საქმეში. მათ არ უყვართ ომისა და შრომის ვეტერანები, რადგან ეს ადამიანები უმწიკვლობის ნიმუშს აძლევდნენ მომავალ თაობებს.

ქურდსა და ავაზაკს კი როგორ შეიძლება უყვარდეს მშრომელი, მებრძოლი და პატიოსანი, ზნემაღალი ადამიანი!

მოდით, თვალი გადავავლოთ ჩვენს უალოეს წარსულს.

რომელ ზნეობასა და მორალზე უნდა ელაპარაკო საქართველოს იმ გადაგვარებულ ხელისუფლებას, რომლის მაღალჩინოსანი გივი თარგამაძე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს რუს სამხედროებს 50 ათას ამერიკულ დოლარს სთავაზობდა სტალინის ძეგლის აფეთქებაში. სავსებით ბუნებრივია, რომ რუსმა სამხედროებმა პირად შეურაცხყოფად მიიღეს ამგვარი არაადამიანური შემოთავაზება და გორი ისე დასტოვეს, რომ სტალინის ძეგლს ერთი ნაკაწრიც კი არ დამჩნევია.

სამაგიეროდ, შემდეგ ნაციონალებმა ჩვეული მზაკვრობით, ღამის სიბნელეში მოხსნეს ქურდულად სტალინის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან!

მაინც ვერ მიაღწიეს საწადელს გაქართველებულმა მანქურთებმა, თუმცა ის კი მაინც მოახერხეს, რომ ქართველი ვეტერანები მოსკოვში არ გამგზავრებულიყვნენ.

მოდი და ამტკიცე ამის შემდეგ, რომ რუსი ჩვენი მტერია, თარგამაძე კი მეგობარი!

არ იციან ამ უდღეურებმა, რომ ქართველი ერი ყოველთვის ზიზღით მოიხსენიებს მათ სახელებს, მაშინ, როცა წესიერი მსოფლიო დღესაც კრძალვითა და პატივისცემით ატარებს სტალინის ხსოვნას!

მაგრამ, ერთი წამით მაინც თუ წარმოგიდგენიათ იმ მხცოვანი ადამიანების განცდა, რომელთაც დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში სიცოცხლეც კი არ დაიშურეს უადრესად საშიში და ძლიერი მტრის დასამარცხებლად, რომლებიც ახლა მხოლოდ წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებით სულდგმულობენ და იხანგრძლივებენ სიცოცხლის დარჩენილ წლებს?

ალბათ **"ნაციონალმა"** უმეცრებმა არ იციან, თუ რაოდენ დიდ შეურაცხყოფას აყენებენ იმ ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ხსოვნას, რომელთა საფლავებიც, შემოდგომის ქარისაგან გატაცებული ფოთლების დარად მთელ ევროპაშია მიმოფანტული და რომელთაც სახელის მომხსენებელიც კი არავინ დარჩა!

საინტერესოა, მაინც რა დაუშავეს ჩვენს ჯიშამოტრიალებულ ხელისუფლებას ამ სახელოვანმა ადამიანებმა, რომლებიც მათი სამარცხვინო წინაპრებივით საწოლის ქვეშ არ იმალებოდნენ და სამშობლის პირველი დაძახებისთანავე წავიდნენ ფრონტზე?

საინტერესოა, რა დაუშავა მათ მამაჩემმა – შალვა ჯალაღანიამ, რომლის ძვლებიც სადღაც ქერჩის მიწაზე განისვენებს, მასთან ერთად რამდენიმე დღეში დაღუპული 170 ათასი ქართველი თანამებრძოლის გვერდით, უგზო-უკვლოდ დაკარგულებად რომ შემორჩნენ ჩვენს მეხსიერებას?

რა დააშავეს სამამულო ომიდან დაბრუნებულმა დაინვალიდებულმა, ლამის განახევრებულმა ადამიანებმა, რომლებიც ხეიბრობას არ ეგუებოდნენ, უსასოობას არ იმჩნევდნენ და ჩვენს მხარდამხარ შრომობდნენ და იღვწოდნენ?

ასეთი რა დააშავა ლაგოდეხის რაიონში მცხოვრებმა მშრომელმა ადამიანმა, 90 წელს მიღწეულმა სევარიონ ბარბაქაძემ, რომელიც ყმაწვილი ბიჭი წავიდა ომში და დღესაც სხეულით დაატარებს ნახევარ კილოგრამამდე გერმანული ჭურვის ნამსხვრევებს!

ასეთი რა დააშავეს იმ საწყალმა დედებმა, მამებმა, ცოლებმა, შვილებმა, შვილისშვილებმა, რომლებიც თვალამოღამებულები ამაოდ ელოდნენ ომში წასულების დაბრუნებას, იმის იმედით, რომ იქნებ მათი დაღუპვის ცნობა შეცდომით გამოგვიგზავნესო!

ისინი ხომ ყველანი გმირები არიან!

ისინი ხომ არნახულ ვაჟკაცობას ავლენდნენ და დღესაც ავლენენ, იმიტომ, რომ სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარული იყო და არის მათი სიცოხლის ორიენტირი.

ნურავინ იფიქრებს, რომ სიყვარულს ნაკლები ვაჟკაცობა სჭირდება, ვიდრე ომსა და დავიდარაბას...

ასეთ ადამიანებს რომ დამსახურებულ ზეიმზე დასწრების უფლებას აღუკვეცავ, ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა დაეკითხო საკუთარ თავს, მართალი ხარ თუ არა მათ წინაშე.

ხალხის სამართლიან რისხვას შეიძლება გაექცე, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი!

ამ წერილის სათაურში ვთქვი: გმირებად არ იბადებიან, გმირები მერე ხდებიან-მეთქი. ეს მართლაც ასეა – მე სრულიად ვიზიარებ გენეტიკური ხაზის არსებობის თეორიას (განა ამიტომ არ თქვა გალაქტიონმა: **"ჯიში, ძამია, ჯიში"**) და ვთვლი, რომ გმირებად არ იბადებიან, მაგრამ იბადებიან მეომრებად, რომლებიც მშვიდობიანობის დროს ვერ ურიგდებიან უსამართლობას, მზაკვრობას, ბეზღობას, ქურდობას, ხაზინაში ხელის ფათურს, უმწეოთა დაჩაგვრას, სულმოკლეობას, ომის დროს კი, სამშობლოს პირველი დაძახებისთანავე, იარაღს აისხამენ და მტერს წინ აღუდგებიან.

სწორედ ასეთი ადამიანები ხდებიან გმირები!

ამიტომ, ვთვლი, რომ ყველა ის, ვინც ერთხელ მაინც გავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტის ხაზზე, უბადლო მეომარი, დიდი ვაჟკაცი და ჭეშმარიტი გმირია!

სწორედ ამიტომ გილოცავთ ჩემო საყვარელო მოხუცებო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დიდებულ დღესასწაულს! გული ნუ დაგწყდებათ, თუ ვინმემ, ნებსით თუ უნებლიედ გული გატკინათ, თუ სათანადოდ ვერ დააფასა თქვენი ღვაწლი. იცოდეთ, რომ საქართველოს პროგრესული საზოგადოება, ქართველი ერის სადად მოაზრვნე ნაწილი ყოველთვის მუხლმოდრეკით მიაგებს პატივს თქვენს დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე!

თქვენს მიმართ უპატივცემულობა მხოლოდ იმ უდღეურთა ნაშიერებმა შეიძლება გამოხატონ, რომელთა ზნედა- ცემული წინაპრებიც საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში დარბოდნენ ინვალიდის ცნობების ასაღებად და საპონს ჭამდნენ, რათა დიზენტერიით დაავადებულიყვნენ და ომში არ წასულიყვნენ, მაშინ, როცა ბევრ თქვენგანს სამხედრო კომისარიატი უარს ეუბნებოდა გაწვევაზე, მაგრამ უკან მაინც არ იხევდით!

სწორედ ასეთმა უშიშარმა გიორგი მახარაშვილებმა და ღიმილის ბიჭებმა მოიგეს ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი! თქვენ ის ხალხი არ გცემთ პატივს, ვინც 90-იანი წლების საომარი მოვლენების დროს დუბაიში დაფრინავდნენ რეგულარულად დეფიციტური საქონლის ჩამოსატანად და შემდეგ ქალის საცვლებით ვაჭრობდნენ ხალხმრავალ ადგილებში!

და ეს ხდებოდა მაშინ, როცა თბილისის აეროპორტში ხშირად არ იყო თავისუფალი თვითმფრინავი, რათა მებრძოლები გაფრენილიყვნენ.

რა არის გასაკვირი იმაში, რომ ასეთ ლაჩრებსა და ნაძირალებს არ უყვარდეთ დიდებული შრომითი და საბრძოლო ბიოგრაფიის მქონე ადამიანები?

სამუდამო ამ ქვეყნად არაფერია, გარდა ღმერთისა!

გაივლიან წლები და (ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ცოცხალ ვეტერანებს!) როცა დიდი სამამულო ომის მონაწილეთაგან აღარავინ დარჩება ჩვენს გვერდით, ჩვენ არ უნდა შეგვრცხვეს მათი სახელების მოხსენიება და მათ სახელზე სანთლის დანთება.

სჯობს იმის შეგვრცხვეს, რომ ქართველები ამდენ სიმდაბლეს, სიგლახეს და შეურაცხყოფას ვიტანთ ხელისუფლებაში თბილად მოკალათებულ უცხოტომელ მოძალადეთაგან, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ მოვლენათა რეალურად აღქმის უნარი და ყოველი ძალისა და ვერაგული საშუალებების გამოყენებით ცდილობენ იმდენად დაანჩლუნგონ ქართველი ერი, რომ მან ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიოს მტერი და მოყვარე.

ვერ ეღირსებიან!

ჩვენო საყვარელო ვეტერანებო! თქვენს მიერ დადგრილი სისხლი დღესაც ამჩნევია მიწას!

იცოდეს ყველამ: ქართველი ერის კვდომა მაშინ დაიწყება, როცა დავიწყებას მიეცემა თქვენი ამაგი და თავგანწირვა!

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ, ჩვენო ძვირფასებო!

როლანდ ჯალაღანია,

9 მაისი გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

მართლაც კატასტროფული სისწრაფით გარბის დრო – უკვე სამოცდაექვსი წელი გასულა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. თითქოს გუშინ იყო ყველაფერი – გამარჯვების დღესასწაული, თბილისის ქუჩებში მოლასლასე გერმანელი ტყვეები, რომლებიც ხან მათხოვრობით, ხან კი საკუთარი ხელით ნაკეთები ციბრუტებისა და სარეცხის სამაგრი "შპილკების" გაყიდვით ცდილობდნენ დამატებითი ულუფა პურის რამდენიმე ნაჭერის შოვნას...

თავადაც ძალიან უჭირდა მაშინ თითქმის ხუთწლიანი დამანგრეველი ომიდან ახლადგამოსულ საბჭოთა ხალხს, შიმშილი და სიღარიბე მძლავრობდა ლამის ყველა ოჯახში, მაგრამ გერმანელი ტყვეებისათვის ოქროს ფასის მქონე პურის ნაჭერი მაინც არავის დაუკავებია – ყველა უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცის მომლოდინეთა ფიქრი იმ მტანჯველ აზრს უტრიალებდა, რომ იქნებ ჩემიანიც ასე დადის სადღაც შორს და მათხოვრობით ირჩენს თავსო.

დიდი იყო იმედი იმ ხალხისაც კი, ვისაც ახლობლის დაღუპვის ცნობა ესვენა სახლში. ხომ ხდებოდა შევდომა იმ ორომტრიალში? მრავალი ჯარისკაცი, რომლის ოჯახსაც მისი დაღუპვის ცნობა ჰქონდა მიღებული, შემდეგ საღ-სალამათი დაბრუნდა!

იქნებ, ახლაც?..

მრავალმა თვალამოღამებულმა მომლოდინემ მხოლოდ ამ იმედით დაღლილმა დატოვა ეს ცოდვილი წუთისოფელი, ისე, რომ თავისი სათაყვანებელი ადამიანის საბოლოო განსასვენებელი თვალით არ უხილავს!

"შინმოუსვლელი" იყო მათი სახელი!

მართლაც დაუჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1945 წელს საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა ჯარისკაცებმა საბედისწეროდ შემოატრიალეს ბრძოლის ჩარხი მაშინ, როცა მტერი უკვე მოსკოვის მისადგომებთან თან იდგა და საბჭოა კავშირის დამარცხება-განადგურებას თითქოს ხელს აღარაფერი უშლიდა.

შვიდას ოცი ათასი ჯარისკაცი წავიდა მაშინ საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში და ნახევარზე მეტი დარჩა იქ. ეს მართლაც წარმოუდგენლად დიდი მსხვერპლი გახლდათ ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისათვის, მაგრამ იმდენად დიდი იყო მტერზე გამარჯვების ჟინი, რომ ომისათვის თავის არიდება სამარცხვინო საქმე გახლდათ.

ახლა გვინდა მოგითხროთ საბჭოთა კავშირში უმაღლესი საბჭოთა სამხედრო წოდების მქონე იმ სამ დიდ ქართველზე, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებისა და ქვეყნის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

(1879 – 1953)

საერთაშორისო არენაზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადად აღიარებული იოსებ ბესარიონის ძე სტალინი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს ისტორიულ ქალაქ გორში, მეწაღე ხელოსნის ოჯახში.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის 1899 წელს გარიცხეს გიმნაზიიდან, რის შემდეგაც არალეგალურად დაიწყო ცხოვრება და გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი. სტალინმა გაიარა მეტად რთული და ბრძოლებით აღსავსე რევოლუციონერის გზა. აქტიური მონაწილეობა მიიღო ცარიზმის თვითმპყრობელობის დამხობაში – 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში სტალინი ასრულებდა რკპ (ბ) ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს: იყო რუსეთის რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრი, პეტროგრადის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხრეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოში. იოსებ სტალინმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა და გონიერმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწემ. სწორედ ამ დიდი გამოცდილების საფუძველზე, ქარიზმატული ნიჭის წყალობით ჩამოყალიბდა იოსებ სტალინი, როგორც გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.

სტალინს მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის (1939), საბჭოთა კავშირის გმირის (1945), საბჭოთა კავშირის მარშლის (1943), აგრეთვე, უმაღლესი სამხედრო ტიტული – საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის წოდება (1945).

1941-1945 წლებში იოსებ სტალინი ხელმძღვანელობდა პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობას სსრკ თავდაცვის განმტკიცებისა და ფაშისტური გერმანიის განადგურების ორგანიზებისათვის. 1941 წლის 6 მაისს იოსებ სტალინი დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, 1941 წლის 30 ივნისს – სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, 19 ივლისს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრად, 8 აგვისტოს – სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს – **სსრკ**-ის, **აშშ**-ისა და დიდი ბრიტანეთის თეირანის (1943), ყირიმისა და პოტსდამის (1945) კონფერენციებში.

1959 წლის 21 დეკემბერს – სტალინის დაბადების 80 წლისთავზე ლონდონის თემთა პალატაში უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: **"დიდი ბედნიერება იყო რუსეთისათვის, რომ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი... იგი გახლდათ უჩვეულო რთული პიროვნება. მან შექმნა და დაიმორჩილა უზარმაზარი იმპერია. იგი იყო კაცი, რომელიც თავის მტერს მუსრავდა მტრისავე ხელით. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში,– კაცი, რომელმაც ჩაიბარა ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომურბომბიანი სახელმწიფო. ისტორია, კაცობრიობა ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს".**

საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია

(1899 – 1953)

საქართველოს ულამაზეს სოფელ მერხეულში დაბადებულმა ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ 1919 წელს დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ბერია ადრეული პერიოდიდან ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბერია იატაკქვეშა პარტიულ მუშაობას ეწეოდა, რისთვისაც დააპატიმრეს და თავისუფლებას მხოლოდ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ეღირსა. 1920 წლის აგვისტოდან ბერია მუშაობდა აზერ-

ბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცკ-ის აპარატში.

1921-1931 წლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (საგანგებო კომისიის) ორგანოებში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა. 1931-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ერთდროულად ხელმძღვანელობდა თბილისის საქალაქო პატრიულ ორგანიზაციას და აგრეთვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

საქართველოში მისი მუშაობის დროს განხორციელდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გენერალური რეკონსტრუქცია, აშენდა სახლები, ქუჩები, პარკები.

1938-1953 წლებში მუშაობდა მოსკოვში. 1946 წლამდე იყო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, 1941 წელს დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, ხოლო 1944 წლის მაისიდან თავმჯდომარის მოადგილე, 1953 წელს დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1943 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის, 1945 წელს – საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ უდიდესი როლი შეასრულა მძლავრი საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო აპარატის შექმნაში, კერძოდ, მსოფლიოში მართლაც უნიკალური სადაზვერვო სისტემის ჩამოყალიბებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი სამაგალითო ოპერაცია, რაც სახელმწიფოს მიერ მეოცე საუკუნის უახლესი ფუნდამენტური სამეცნიერო აღმოჩენების დაუფლებაში გამოიხატა. ყოველივე ეს ბერიამ მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა.

1943 წლის დამლევს მას დაევალა ყველაზე პასუხსაგები და საიდუმლო პროექტის – ატომური ბომბის შექმნის ხელმძღვანელობა. პროექტის ხორცშესხმაში მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერები. აკადემიკოსმა კურჩატოვმა არაერთხელ აღიარა, რომ, თუ არა ლავრენტი ბერიას უბადლო ორგანიზატორული ნიჭი და მუხლჩაუხრელი, დაძაბული შრომა, საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა მრავალი წლით გადაიდებოდა.

მეორე მსოფლიო ომში სრულიად გამოვლინდა ბერიას სამხედრო ნიჭი – კავკასიაში გერმანელი ფაშისტების შემოჭრის აღმკვეთი ზომების მიღების სახით.

15 წელი ედგა სათავეში ბერია საბჭოთა სტრატეგიულ დაზვერვას, რომლის სწორუპოვარ პროფესიონალად ითვლებოდა. ფლობდა რვა ენას. როგორც ირკვევა, ბერიას შემუშავებული ჰქონდა სოციალიზმის მოდერნიზაციის გეგმა, კერძო სექტორის გაძლიერების კონცეფცია, ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების პარადიგმა. მაგრამ ყოველივე ეს მას არ დასცალდა – შინაპარტიული ბინძური ინტრიგების მსხვერპლად იქცა.

სწორედ ლავრენტი ბერიას დიდი დამსახურება გახლდათ ის, რომ საბჭოთა კავშირში შეიქმნა ატომური ბომბი, რამაც ქვეყანა პრაქტიკულად გადაარჩინა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული აგრესიისაგან.

ლავრენტი ბერია ვერაგულად მოკლეს 54 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც მას შეეძლო საბჭოთა იმპერიის გარდაქმნა. ბერიას სიკვდილიდან 58 წელი გავიდა, თუმცა, დღესაც ბურუსით არის მოცული მისი ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი ცხოვრების არაერთი ეპიზოდი. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ცნობილი სადაზვერვო საქმის პროფესიონალები მას მეოცე საუკუნის უპირველეს მზვერავს უწოდებენ.

საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი

(1915-1978)

დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ სპათაგორში. იგი იყო საინჟინრო ჯარების მარშალი (1977), საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე სამხედრო მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში (1974-1978), ლენინური (1968) და სახელმწიფო (1977) პრემიების ლაურეატი, საბჭოთა და უცხოეთის ორდენების კავალერი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახური დაიწყო 1939 წელს, სკოლისა და ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. დაამთავრა ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთან არსებული მოკლევადიანი კურსები.

დიდ სამამულო ომში, შავი ზღვის მთელ ფლოტთან ერთად, არჩილ გელოვანის საინჟინრო შენაერთები თავდადებით იბრძოდნენ და შრომობდნენ – მათი უპირველესი მოვალეობა იყო საზღვაო ბაზის დაცვისათვის მაღლობებზე სანაპირო საარტილერიო ბატარეების დაყენება, ტანკსაწინააღმდეგო კვანძების

მოწყობა, საზენიტო არტილერიის საბრძოლო პოზიციების გამართვა... მონაწილეობდა სევასტოპოლის, ყირიმის კავკასიის დაცვაში. ჯერ კიდევ ერთ-ერთ პირველ საბრძოლო წარდგინებაში ვკითხულობთ: **"ბრძოლების დროს არის გაბედული, მშვიდი და მოხერხებული, წინდახედული და ძლიერი ნებისყოფის მეთაური".**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი შეუდგა დანგრეული ქალაქების აღდგენას. თითქმის მიწასთან გასწორებული სევასტოპოლი არჩილ გელოვანის უშუალო ხელმძღვანელობით აღორძინდა, რისთვისაც სევასტოპოლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

1962 წლიდან მსახურობდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში და სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. პირადად მეთაურობდა ურთულესი ზეტრალურ აპარატში. პირადად მეთაურობდა ურთულესი ზეაიდუმლო საინჟინრო-თავდაცვითი და კოსმოსური ობიექტების მშენებლობას.

1974 წლიდან დაინიშნა სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ სამხედრო მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში, 1977 წელს კი სამხედრო ინჟინერ-მშენებელთა შორის პირველს მიენიჭა საინჟინრო ჯარების მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება.

იგი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება გახლდათ – შესანიშნავად ხატავდა, უკრავდა ფორტეპიანოზე, დეკლამირებდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, უყვარდა ლიტერატურა, თეატრი, კინო...



სერგეი კრემლიოვი

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ახლა კი მუზრუკოვის თემას რამდენადმე გადავუხვევ და მოვიყვან ლავრენტი ბერიას მიერ 1947 წლის 27 ივნისს გაგზავნილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დირექტივას, რომელიც, მართალია, პირადად მის მიერ არ არის ხელმოწერილი, მაგრამ მისი ხელითაა შედგენილი:

"ამხანაგებს კრუგლოვს, ვანნიკოვს, ზავენიაგინს, ჩერნიშოვს (სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე), ბორისოვს (პირველი მთავარი სამმართველო და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი), კომაროვსკის (მშენებლობის დიდი სპეციალისტი, სსრკ შინსახკომის "მთავარხიდმშენის" სამმართველოს უფროსი):

სასწრაფოდ განიხილეთ სლავსკისა და ტკაჩენკოს წერილი და მომახსენეთ №859 ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.

დაუკავშირდით ამხანაგ ხრულიოვს (საბჭოთა არმიის ზურგის სამსახურის უფროსი) **და კაფტანოვს** (სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრი) **და მათთან ერთად შეიმუშავეთ №859-ე მშენებლობაზე აუცილებელი რაოდენობის უმაღლესდამთავრებული უმცროსი და საშუალო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ახალგაზრდა მშენებლების და სამხედრო-სამშენებლო ბატალიონების სამეთაურო შემადგენლობის გამწესების შესახებ.**

ამხანაგმა კრუგლოვმა 2-3 თვით მიავლინოს №859 ობიექტის მშენებლობაზე თავისი მოადგილე ჩერნიშოვი, სამუშაო პროცესებზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, ადგილზე ყველა აუცილებელი ღონისძიების გასატარებლად, რათა ობიექტი დროულად და ხარისხიანად იქნეს გაშვებული ექსპლოატაციაში, მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

ამხანაგებმა ჩერნიშოვმა, ზავენიაგინმა, კურჩატოვმა, კომაროვსკიმ, ბორისოვმა, რომლებიც ჩადიან მშენებლობაზე, ადგილზე განიხილონ №817 ქარხნის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა, მიიღონ აუცილებელი ზომები და შედეგების შესახებ მომახსენონ.

ამხანაგებმა კრუგლოვმა და ვანნიკოვმა პირად კონტროლზე აიყვანონ №817 ქარხნის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა და ყოველ 10 დღეში მომახსენონ მიღებული ზომების თაობაზე და ადგილზე არსებული მდგომარეობა.

ლ. ბერია"

მაგრამ მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და 1947 წლის 8 ივლისს ბერია პირადად ჩავიდა №10-ე ბაზაში, თანამდებობიდან გაანთავისუფლა დირექტორი პ.ტ. ბისტროვი და მის ადგილზე დანიშნა ეფიმ პავლეს ძე სლავსკი (ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით მას). მაგრამ სლავსკისაც გაუჭირდა პრობლემები და ურალში გაემგზავრა სსრკ სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრი ა. მალიშევი, რომელიც ხუთ თვეში დაწინაურებულ იქნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

უკვე წარმოიქმნა კონფლიქტი ძალაუფლებისმოყვარე მალიშევსა და საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულ სლავსკის შორის. ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძემ დაურეკა ბერიას და მოსთხოვა, რომ სასწრაფოდ მოეხსნათ სლავსკი. ამის შედეგად 1947 წლის 20 ოქტომბერს ბერია კვლავ ჩავიდა კომბინატში. და მაშინ მალიშევმა შესთავაზა, რომ სლავსკი მუზრუკოვით შეეცვალათ, რომელსაც ბერია და მალიშევი კარგად იცნობდნენ ჯერ კიდევ სატანკო დარგიდან, კერძოდ – **"ურალმაშიდან"**. ლავრენტი პავლეს ძე დაეთანხმა და სტალინს მიმართა, თანხმობის მიღების შემდეგ კი მუზრუკოვი მოსკოვში გამოიძახა.

მოისმინა რა ბერიას წინადადება (და არა ბრძანება!), ბორის გლების ძე ჩაფიქრდა – ეს საქმე მისთვის სრული სიახლე იყო. და, აი, როგორ მოიქცა ბერია... მას ფეხები არ დაუბაკუნებია (ჩემის აზრით, იგი არასოდეს არ აბაკუნებდა ფეხებს და მაგიდაზე მუშტებს არ ურტყამდა – ეს არ გახლდათ მისი სტილი). მან ბრძანების გაცემისაგან თავი შეიკავა მან ჯერ ერთმანეთს შეახვედრა კურჩატოვი და მუზრუკოვი. და კურჩატოვმა ოპერატიული და ამომწურავი **"ლიკბეზის"** კურსი ჩაუტარა თავის პოტენციურ კოლეგას. მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა მუზრუკოვი ბერიასთან და თანხმობა განუცხადა შემოთავაზებაზე.

პირველი... კურჩატოვი მანამდეც ფორმალურად ითვლებოდა კომბინატის სამეცნიერო ხელმძღვანელად, მაგრამ მუზრუკოვმა ითხოვა, რომ კურჩატოვი (რა თქმა უნდა, მისი თანხმობით) დაენიშნათ დირექტორის დარგობრივ მოადგილედ.

მეორე... კომბინატის გენერალური პროექტის პასუხისმგებელი წამომადგენლები – **ბსპ0**-11 და სამონტაჟო სამუშაოების გენერალური შემსრულებელი – ქიმიური მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასევე პირველი მთავარი სამმართველო, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს უნდა ხელმძღვანელობდნენ არა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, არამედ ადგილზე უნდა წყვეტდნენ ყველა საჭირბოროტო და პრობლემურ საკითხს, მუზრუკოვთან ერთად.

თავიდან სლავსკის რამდენიმე საფეხურით დაქვეითება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მუზრუკოვის თხოვნით იგი მთელი კომბინატის მთავარ ინჟინრად დატოვეს. სლავსკი თავდაუზოგავად მუშაობდა (მაშინ დასხივებას კომბინატში იღებდა ყველა, მათ შორის ხელმძღვანელობაც), იგი გახდა სამგზის სოციალისტური შრომის გმირი და პირველი ვარსკვლავი ლავრენტი ბერიას დროს მიიღო. მაგრამ, სამწუხაროდ სლავსკი ავმეხსიერი გამოდგა და მთელი სიცოცხლე ატარა ბოღმა მუზრუკოვზე, მიუხედავად იმისა, რომ სლავსკი მოგვიანებით **"ატომური"** მინისტრი გახდა. მუზრუკოვი, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირის პირველი ვარსკვლავი სატანკო საქმეებისათვის მიიღო, ხოლო მეორე – საბჭოთა პლუტონიუმისათვის, ვედარ ეღირსა მესამე ვარსკვლავს, მიუხედავად იმისა, რომ 17 წელი ეფექტურად ხელმძღვანელობდა (1955 წლიდან 1972 წლამდე) **"არზამას –16"**-ს.

სიტყვისათვის, ამ უკანასკნელ ფაქტთან ბერიას არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია, მაგრამ რაც შეეხება მუზრუკოვის წინადადებას, იგი არ აღუშფოთებია, მთლიანად დაეთანხმა სლავსკის საკითხში და ყოველმხრივი დახმარებაც აღუთქვა. ეს კი თავისთავად მეტყველებს, რომ ბერიასათვის აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი გახლდათ არაჯანსაღი ამბიცია და ჭირვეული პატივმოყვარეობა.

ამის შემდეგ კი ლავრენტი ბერიას სახელი არაჯანსაღი ჭორებისა და ცილისწამების ბურუსში გახვიეს. მოგვიანებით, იგივე სლავსკის ჩამოქვეითებას იარაღის დარგში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტები საკუთარ მემუარებში დარწმუნებით სწერდნენ, რომ მეცნიერის დევნის მიზეზი თითქოს ბერია იყო, რომელიც ოდესღაც უხეშად მოექცა სლავსკის.

არავითარ შემთხვევაში! ბერია გამოდიოდა მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და დიდ პატივს მიაგებდა მას, ვინც მისი ცხოვრების წესით ცხოვრობდა... და თუ ისინი იდეის ადამიანები იყვნენ, ბერია მათ სერიოზულ შეცდომებსაც კი პატიობდა. მაგალითად, უკვე №817 კომბინატის დირექტორის პოსტზე ყოფნისას მუზრუკოვმა, პირველი მთავარი სამართველოს სათანადო სანქციის გარეშე, სამუშაოზე, მიიწვია **"რეჟიმის"** თვალსაზრისით არც თუ მთლად საიმედო პიროვნება. ეს შემთხვევა თვით სტალინის განსჯის საგნადაც კი იქცა, მაგრამ საქმე მხოლოდ დირექტორის მკაცრი გაფრთხილებით შემოიფარგლა და მუზრუკოვმა პირობა დასდო, რომ მსგავს შემთხვევას მის პრაქტიკაში ადგილი ადარ ექნებოდა.

სულ **"სოროკოვკაში"** ბერია ოთხჯერ ჩავიდა. მისი მეორე ჩასვლა – 1947 წლის 20 ოქტომბერს, დასრულდა მუზრუკოვის დირექტორად დანიშვნით. 1949 წლის ოქტომბერში კი ჩავიდა მესამედ, რათა იქაურები გმირული შრომისათვის დაეჯილდოვებინა.

რაც თვალსაჩინოა – **"ჩელიაბინსკ-40"**-ში ბერიამ ჩაატარა სპეციალური კომიტეტის 86-ე სხდომა უპრეცედენტო დღის წესრიგით. იგი იყო ერთ-ერთი იშვიათი გამსვლელი სხდომა და, მიუხედავად იმისა, რომ ბლანკზე ტიპოგრაფიული შრიფტით იყო მითითებული **"ქ. მოსკოვი, კრემლი"**, იგი მელნით იყო გადაშლილი და მის ნაცვლად ხელით ჰქონდა მიწერილი **"კომბინატი №817"**.

მთელი სხდომა ერთ საკითხს მიეძღვნა, მისი ოქმი კი იმდენად შთამბეჭდავია, რომ მე მას სრულად გამოვაქვეყნებ! ახლა ლეგენდად არის ქცეული ის ამბავი, რომ ქალაქის გასტრონომში შესული ბერია როგორ შეხვდა ერთ-ერთ რიგით მომხმარებელს, რომელიც უკმაყოფილებას ვერ მალავდა მაღაზიაში პროდუქტების ასორტიმენტის სიმწირის გამო. შეიძლება ეს მართლაც ლეგენდა იყოს, მაგრამ სხდომის ოქმი რეალობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტი გახლავთ.

აი, ისიც:

"22 ოქტომბერი 1949 წელი
№817 კომბინატი
სრულიად საიდუმლოდ
(განსაკუთრებული საქაღალდე)

ესწრებოდნენ: **ამხანაგები ლ.პ. ბერია, ბ.ლ. ვანნიკოვი, ი.ვ. კურჩატოვი, ბ.ა. მახნევი.**

მონაწილეობდნენ (შესაბამისი საკითხების განხილვისას): ამხანაგები სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბორისოვი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე საზიკინი, სსრკ შინსახკომის მთავარმრეწვმშენის უფროსი კომაროვსკი, საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანი ბელობოროდოვი, №817 კომბინატის დირექტორი მუზრუკოვი, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს №247 მშენებლობის უფროსი ცარევსკი, კომბინატის მთავარი ინჟინერი სლავსკი, სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული ტკაჩენკო, კომბინატის დირექტორის მოადგილე ბისტროვი, კომბინატის დირექტორის მოადგილე კადრების დარგში მორკოვინი, კომბინატის მშენებლობის პოლიტგანყოფილების უფროსი ანტონოვი, კომბინატის დირექტორის მოადგილე მუშათა მომარაგების ხაზით სმირნოვი, კომბინატის დირექტორის მოადგილე საყოფაცხოვრებო დარგში ოვჩინნიკოვი, კომბინატის სანიტარული ნაწილის უფროსი მოისცევი, კომბინატის მშენებლობის კვებისა და ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ივანოვი.

№817 კომბინატის თანამშრომელთა უზრუნველყოფის კუთხით ვაჭრობაში, კულტურულ სამოსამსახურეო და სამედიცინო სფეროებში არსებული ჩავარდნების შესახებ

(ამხ. ბერია)

1. დაევალოს ამხანაგებს კოსტიგოვს, მუზრუკოვს, ცარევსკის, ჩესტნიხს და პანიჩკინს 5 დღეში გადაამოწმონ № 817 კომბინატის თანამშრომელთა უზრუნველყოფის კუთხით ვაჭრობაში, კულტურულ სამოსამსახურეო და სამედიცინო სფეროებში არსებული ჩავარდნების მიზეზები, მიიღონ სასწრაფო ზომები ამ ჩავარდნების აღმოსაფხვრელად და დამნაშავე პირებს პასუხისმგებლობის დასაყენებლად.

№817 კომბინატის თანამშრომელთა უზრუნველყოფის კუთხით ვაჭრობაში, კულტურულ სამოსამსახურეო და სამედიცინო სფეროებში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად აუცილებელი შესაბამისი წინადადებები წარმოადგინონ სსრკ მინისტრთა საბჭოში 7 დღის ვადაში.

2. დაევალოს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პირველ მთავარ სამმართველოს, რომ ერთი თვის ვადაში გადაამოწმოს №817 კომბინატის თანამშრომელთა უზრუნველყოფის კუთხით ვაჭრობაში, კულტურულ სამოსამსახურეო და სამედიცინო სფეროებში არსებული მდგომარეობა და შემოწმების შედეგები წარმომიდგინოს პირადად მე.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე

ლ. ბერია"

თვით სხდომაზე გამოცხადებულ პირთა შემადგენლობა ცხადყოფს, რომ ეს იყო მთლიანად **"სოციალურ"** საკითხს მიძღვნილი ფართო ღონისძიება, სადაც გაიხსენეს უკლებლივ ყველა ქმედითი სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხი. და მკითხველი ეჭვს ნუ შეიტანს იმაში, რომ სხდომა მოწვეული იყო სწორედ ლავრენტი ბერიას მიერ. იგი ხომ ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ზრუნავდა ბაქოში მუშების სოციალური პრობლემების მოგვარებაზე. და იმ შორეული დღეების გაკვეთილები აითვისა იმდენად მკვიდრად, როგორც ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწე ლიდერ-ბოლშევიკს ეკადრებოდა.

რა თქმა უნდა, **"სოროკოვკას"** ტერიტორიაზე გამართული სპეცკომიტეტის საგანგებო სხდომის კომპეტენცია აშკარად სცილდებოდა ამ ქალაქის ცხოვრების ფარგლებს. ამბავი იმის თაობაზე, რომ ლავრენტი ბერიამ მუზრუკოვთან ჩაატარა ასეთი სერიოზული ღონისძიება, წამიერად მოედო მთელ საბჭოთა კავშირს და იგი მხედველობაში მიიღო სსრკ ყველა **"ატომური"** ობიექტის ყველა დირექტორმა, რათა თავადაც არ აღმოჩენილიყვნენ უხერხულ მდგომარეობაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ლავრენტი ბერიას, როცა №817-ე კომბინატში ჩაატარა სპეცკომიტეტის გამსვლელი სხდომა.

აი, ქალაქ საროვში **("არზამას-16")**, გენერალ ზერნოვთან და პროფესორ ხარიტონთან ბერია არცერთხელ არ ჩასულა. ლეგენდები ამის თაობაზეც უხვად არსებობს, მაგრამ ის, რომ უშუალოდ ატომური ბომბის შექმნის ადგილზე ბერია არცერთხელ არ ჩასულა, ეს დოკუმენტურადაა დადასტურებული.

ბერიამ, ამერიკიდან წამოსულ ყველა **"ატომურ"** სადაზვერვო სამუშაოებზე დაშვების უფლების მქონე კურჩატოვზე არანაკლებ კარგად იცოდა, რომ უშუალოდ ბომბის ქმედითუნარიანი კონსტრუქცია აუცილებლად გაკეთდებოდა – გარდა საბჭოთა წამყვანი მეცნიერების მიერ შემუშავებული სქემებისა, საბჭოთა კავშირი ფლობდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან საბჭოთა დაზვერვის მიერ მოწოდებული ინფორმაციასაც. და ბერიას კარგად ესმოდა: თუ კომბინატი №817 შეიმუშავებდა **"პროდუქტს"**, საბჭოთა კავშირს უკვე ექნებოდა თავისი ბირთვული ფარი.

მაშ რატომ უნდა ჩასულიყო იგი ფიზიკოსებთან? მისი გამოცდილება და რწმუნებულება ურალში რეალურად დადებით გავლენას ახდენდა მუშა პროცესებზე. და ბერია სრულად და ეფექტურად იყენებდა ამ პირად რესურსს. მაგრამ, რა სასარგებლოა რჩევა შეეძლო მიეცა მას მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს თეორეტიკოსებისათვის, ექსპერიმენტატორებისა და კონსტრუქტორებისათვის? ზოგადი რჩევების მიცემა და საქმეში ზერელე ჩარევა კი მას არ სჩვეოდა.

არა, ბერია შიშსა და ძრწოლვას არ სთესდა თვით კრიტიკულ სიტუაციაშიც კი. მაგრამ, ეს არ გამორიცხავდა, გარკვეულ სიტუაციაში ობიექტურად გამართლებულ სიმკაცრეს. ურალის დასახლება ვერხ-ნეივინსკთან (დახურული ქალაქი **"სვერდლოვსკ-44"**, შემდგომში – ნოვოურალსკი) შენდებოდა №813 ქარხანა, რომელსაც აირდიფუზიური მეთოდით უნდა ეწარმოებინა იარაღისათვის აუცილებელი ურან-235. მაგრამ, საქმე წინ ვერ იძვროდა. ბერია **"ობიექტზე"** ჩავიდა და ხელმძღვანელობას მკაცრად განუცხადა, რომ კონკრეტული ტექნოლოგიის შემუშავება მნიშვნელოვანი სახელმწიფო დავალებაა და თუ იგი დაწესებულ ვადებში არ შესრულდება, მაშინ ჩაითვლება, რომ კოლექტივი დავალებას ვერ გაუმკლავდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი" (ავტორისეული სტილისტიკა შენარჩუნებულია).

დავითის საქმეთა აღნუსხვა. სხვა და სხვა მოგონებანი.

აღდგომის დღეობა. მეტადრე განთქმული იყო გურია-სამეგრელოში და იმერეთში დავით დადიანისაგან აღდგომის დღესასწაულის გადახდა. ყოველგნით მოდიოდნენ ამ დღისთვის ზუგდიდს: გურიელები, ერისთავები, წერეთლები, ჭავჭავაძენი, თარხნიშვილები, დადიანები, აფხაზეთის თავად-აზნაურნი, რჩეულის მომღერლებით, მოთამაშეებით, საუკეთესო ცხენებით და მორთულ-მოკაზმულობით. ერთჯელ დღესასწაულზე მთავარმა მიიწვია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ცოლით და როცა სტუმრები მიუახლოვდნენ ზუგდიდს თითონ მთავარი და დედოფალი მეგებნენ წვეულებს ცხენდაცხენ. წვიმიანი დღე შეიქმნა და დედოფალს წითელი მაუდის საწვიმარი ესხაო, მიამბო თავადმა კონსტანტინე ერისთავმა – რაც მაშინ მოდა იყო.

ერთის ამგვარი დღეობის დამსწრე იყო 1848 წელს საქართველოს ისტორიკოსი მარი ბროსსე. აი, რა გვარად ასწერს ის ამ დღესასწაულს:

"შაბათ საღამოს, 10-11 საათზე დაიწყო ლიტურგია. დადიანი, მდიდრად ჩაცმული, თავის მეუღლით და სხვა თავადნი და მათი ოჯახობა დაესწრნენ წირვას. ეკლესია გაჭედილი იყო ხალხით. სხვათა შორის აქ ნახავდით ქრისტიანობა მიღებულ აბხაზებს, რომელთაც გამოიცნობდით მოპარსულის თავებით და მხრებზე გადაგდებული თეთრი ბაშლაყებით; მეგრელებს და იმერლებს რუსულ სერთუკებში გამოწყობილებს, წითელის საყელოებით და მკერდზე ორდენებით და ქართლელებს ფერად-ფერადის ტანისამოსით, ძველის ჩვეულებისამებრ წითლად შეღებილი წვერულვაშებით. ეკლესია იყო ბრწყინვალედ განათებული შიგნით და გარედამ. მლოცველები იყვნენ წირვაზე კრძალვით და აყოლებდნენ ხმას ძილისპირების გალობას. რელიგიური მდუმარება მათი დაირღვა მხოლოდ მაშინ, როცა ბრწყინვალედ შემოსილმა მიტროპოლიტმა გააღებინა აღმოსავლეთის კარები და წარმოთქვა ეს ორი სიტყვა: **"ქრისტე აღდგა"**. ეს სიტყვები რომ გაისმა, შეიქმნა ეკლესიაში ერთი ყოფა, მხიარულება, მილოცვა, დაუსრულებელი ამბორის ყოფა. ყველანი უახლოვდებოდნენ მთავარს და დედოფალს, რომ მიელოცნათ დღესასწაული და დაემოწმებიათ მათთვის პატივი და ერთგულება, ყველას ეტყობოდა პირის სახეზე და თვალებში მხიარულება... წირვა გაგრძელდა დილის ხუთ საათამდის: არც დადიანს, არც ქალებს ერთი წამი რა არის არ შეუსვენებიათ შვიდი საათის განმავლობაში... ნაწირევს დადიანის სტუმრები და მათ შორის მეც მიგვიწვიეს სუფრაზე სალხინო ზალაში (ამ ზალის აღწერილობა მოთავსებულია ზუგდიდის სასახლის აღწერაში).

მთავრის სუფრიდამ რომ ავდექით გავემართენით მიტროპოლიტთან, საცა გველოდა სხვა სუფრა, ზოგიერთებს კიდევ შერჩენოდათ მადა და აქაც იგემეს საჭმელი, თუმცა აქაური ჭამა-სმა უფრო საინებისა და ჭიქების რახა-რუხი იყო, მაგრამ როცა აქედამ გადავედით მთავრის ძმასთან, გრიგოლ დადიანთან და დავინახეთ სუფრა მძიმედ დატვირთული ჰომერიულის საუზმით, ჩვენ სიცილი ვერ შევიკავეთ... სულ ყველა ამას, დილის შვიდ საათამდის მოუნდით და შვიდ საათზე კი დავიშალენით მოსასვენებლად.

სამ საათს შემდეგ სასახლის მაიდანი აივსო ხალხით. მთავარი და მანდილოსნები გამობრძანდნენ სასახლის აივანზე და აქ იღებდნენ დღესასწაულის მილოცვას. უკანასკნელი მეგრელი არ დარჩენილა, რომ არ მოსულიყო მთავართან და დედოფალთან, არ ეამბორნა მათის ტანისამოსისათვის და არ მიერთმია მათთვის წითელი კვერცხები.

მალე დაიწყო მაიდანზე სხვა და სხვა თამაში და შექცევა. შუაგულ მინდორში ამართეს გრძელი ოთხ-საუენიანი ჭოკა, რომელზედაც დაადეს ერთი მშვენიერი ვერცხლის თასი. ცხენოსნები ჭენებით გამოქანდებოდნენ ჭოკისკენ და რა დაუახლოვდებოდნენ, ესროდნენ ჯოხს, რომ თასი ძირს ჩამოეგდოთ. თუ ჯოხი ჭოკას მოხვდებოდა და იმის შერყევით თასი ჩამოვარდებოდა ჯერი არ იყო, ჯოხი უთუოდ უნდა თასს მოხვედროდა. რომ ამგვარად გადმოგდებული თასი მსროლელს მოეგო, წარმდგარიყო მთავართან მადლობის მოსახსენებლად და მთავრისაგან მისი სიმარჯვის ქება მოესმინა. ამ თამაშს ეტყვიან ყაბახს. ერთი საათის, საათ-ნახევრის განმავლობაში ორმოცდა ათზე მეტმა ცხენოსანმა სინჯეს თავიანთი მკლავის სიმარჯვე, მაგრამ ამათში მხოლოდ სამმა ისახელა თავი: მალხაზ აფაქიძემ, დავით ფაღავამ და ბათუ ფაღავამ, რომელთაც ტაში დაუკრეს.

სხვაგან, ბაზრის მხრით, ამართული იყო სხვა ჭოკა, რომელზედაც დადებული იყო ვერცხლის აზარფაშა. ეს აზარფაშა უნდა ჩამოეგდოთ შორიდამ თოფის სროლით, ნაცვლად იმისა, რომ ზეზე მდგარიყვნენ და ისე ამოეღოთ ნიშანში აზარფაშა, ესენი ჯდებოდნენ, თოფის თავს უდებდნენ ორჯოხზე და ისე სროლობდნენ, მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ მოახვედრა ნიშანს, მხოლოდ მეორე დღეს ჩამოაგდეს ეს აზარფაშა და ისიც იმიტომ, რომ ამ დღეს უფრო ახლოდამ დაუწყეს სროლა. ამას მოჰყვა ცხენების ჭენება...

ნაშუადღევის ორ საათზე დადიანმა მიიწვია სადილად თავად-აზნაურობა იმ მშვენიერ ზალაში, სადაც გათენებამდის ვიჯექით საუზმედ და ხალხი – ბაღში. ვინ ჩამოთვლის რამდენი ხარი და ძროხა დაიკლა იმ დღეს და რამდენი ბოჭკა ღვინო დაილია, რომ დაეკმაყოფილებინა შვიდის კვირის მარხვით დამშეული წვეულები. სადილი გაგრძელდა ხუთი საათის განმავლობაში... დიმიტრი გურიელს მოეყვანა აქ განთქმული მომღერლები, რომელნიც ყველას დიდად მოსწონდა და რომელნიც მართლა ღირსნი იყვნენ ყურადღებისა. რა შეწყობილი სიმღერა, რა დაუღალავი ყელები, რა საკვირველი ჰარმონიული ხმა გამოდიოდა იმათის აღყვანებულის მკერდითგან და ფარავდა ამ ვეებერთელა ლხინის ხმაურობას. უნდა ვთქვათ მეგრელთა პატივ-საცემად, რომ გარდა ხმაურობისა და სიხარულით აღტაცებისა თითოეულს ისე ზრდილობიანად ეჭირა თავი, რომ ქალები დაურიდებლად იღებდნენ მონაწილეობას საერთო მხიარულებაში. არც ზალაში, არც ბაღში, არსად, მე არ შემინიშნავცს ერთი კაციც, რომელსაც ღვინოში დაეხრჩოს თავისი ჭკუა-გონება და ღმერთმა იცის რა ნექტარიც რამ არის ოჯალეში. მეტადრე ახალი, სხვა ღვინოებთან გარეული. მთავარმან მოატანინა ჩვენთვის 18 წლის ოჯალეში. სასმელად ცოტა მაგარი, მაგრამ კარგი. მე არ შემიძლია არ შევადარო ის საუკეთესო ბორდოს; საქართველოში იმის მეტოქედ მე არ ვიცნობ სხვა ღვინოს, გარდა ატენის ღვინისა. მთელ დედამიწაზე იმას მარტო ტოკაის ღვინო თუ სჯობია.

მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი. მეორე დღეს ორშაბათს, იმავე ადგილზე შეიკრიბნენ წინადღის წვეულები და გაიმართა ლხინი მიტროპოლიტის სახელით, მესამე დღეს წვეულება იყო სახლთ-უხუცესისა.

ყოველ საღამოს ხალხი იკრიბებოდა მინდორზე და იმართებოდა მეგრული ნაციონალური თამაში – ფერხული. ფერხულს იწყებდნენ ორი-სამი წყვილი ერთიმეორესთან მკლავებ გაყრილი ან ხელებ ჩაკიდებული რითმიული მოძრაობებით – ჯერ უკან დაწევით, მერე წინ წამოწევით და სიმღერით "ო, ა, გორა და შარა (მეგრულად მღერიან "ვოო რაშა" და არა "გორა და შარა", როგორც მოსმენია ბროსეს – ი. მეუნარგია), რომელსაც იმეორებენ განუწყვეტლივ. ცოტ-ცოტად დამწყებ წყვილებს ემატებიან სხვები და მალე იშლება ვეებერთელა მრგვალი წრე...

ოთხშაბათს, 14 აპრილს, ერთმა, დადიანის ძმამ გამართა ნადირობა, რომელსაც დაესწრო 200 ცხენოსანი კაცი...

ხუთშაბათს, 15 აპრილს, მე წავედი ზუგდიდამ აბხაზეთს..."

ბროსეს აღწერილობას აქ უნდა დავურთო ზედ ის ორი-სამი მცირე რამ, რომელიც მე ჩამიწერია ჩემს დღიურში სხვა და სხვა პირთაგან განაგონად.

ჯერ ერთი, მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის ნაამბობი: "ჩემი ძმა საადგომოდ ხალათს გასცემდაო: აღმოსავლეთის წესის მიმსგავსებით ხალათს ეტყოდნენ ჩოხას, ახალუხს, შალს, ბაშლაყს და სხვას, რომელითაც ის აჯილდოებდა მის მეგობრებსა და ერთგულებს.

თავადმა დათა სალუკის ძე ჩიქვანმა მიამბო: დათა გუგუნავას შეკაზმულ ცხენზე გალესილს ლეკურს დაუდებდნენ პირადმა და გუგუნავა იმას გადაახტებოდაო.

მანვე მითხრა: აღდგომის ლხინში, როცა ყოველი კაცი იძახოდა ურა-ურას, სიკოია გიგინეიშვილი ყვიროდაო: **"გავხედნი, გავხედნიო"**.

(გაგრძელება იქნება)

ევროპარლამენტის რეზოლუცია სოხუმსაც მოსწონს

ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ სოხუმი მაინც გამოეხმაურა **„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის – აღმოსავლეთ განზომილების მიმოხილვის თაობაზე რეზოლუციას“,** რომელიც ევროპარლამენტმა 2011 წლის 7 აპრილს მიიღო.

„როგორც ევროპის ნაწილი, აფხაზეთი მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ახლო თანამშრომლობა მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია“, – განაცხადა სოხუმის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 13 აპრილს გავრცელებულ განცხადებაში.

სხვა საკითხებთან ერთად, რეზოლუცია მოუწოდებს ევროკავშირის ახლად შექმნილ დიპლომატიურ სამსახურს **(European External Action Service - EEAS)**. **„ნდობის აღდგენისკენ მიმართული უფრო მეტი ღონისძიება და პროგრამა მოამზადოს, რაც გულისხმობს ახალი მისიების დაწყებასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის გატარებას, ასევე, პრაგმატული ინიციატივებისა და ინოვაციური მიდგომების შემუშავებას, როგორიცაა არაოფიციალური კონტაქტები და კონსულტაციები განდგომილი რეგიონების საზოგადოებებთან, როცა შენარჩუნებული იქნება ევროკავშირის არაღიარების პოლიტიკა“.**

სოხუმის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმა რეზოლუციას და განაცხადა, რომ ეს აფხაზეთის **„დეიზოლაციასა“** და ევროკავშირთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებას შეუწყობს ხელს.

მისივე თქმით, რეზოლუციას **„დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტთან აფხაზეთის თანამშრომლობის დაგეგმარებაში“.**

სამინისტროს განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ სოხუმი დადებითად აღიქვამს რეზოლუციის გზავნილებს, რომლებიც ფრთხილად გათვლილ **„პრაგმატულ პოლიტიკას“** ეფუძნება.

აფხაზეთი მხარს უჭერს გარესამყაროსთან კონტაქტების დივერსიფიცირებას, პირდაპირი და უშუალო კონტაქტების გააქტიურებას ევროკავშირთან, რაც **„წარმოადგენს ერთადერთ რაციონალურ“** მიდგომას და **„მოწოდებულია, მოხსნას აფხაზეთის მრავალწლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია“.**

„უფრო მეტიც, აფხაზეთის დეიზოლაცია და პირდაპირი თანამშრომლობა ევროკავშირთან ხელს შეუწყობს აფხაზეთში დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, შექმნის კონფლიქტის მოგვარების ხელსაყრელ პირობას“, – ნათქვამია ევროპარლამენტის განცხადებაში.

„თავის მხრივ, აფხაზეთი ყოველთვის გამოხატავდა მზადყოფნას კონფლიქტის მოგვარების პრაგმატული ინიციატივებისა და ნოვატორული მიდგომების განხილვის მიმართ“, – ნათქვამია განცხადებაში.

რეზოლუცია, ასევე, მოუწოდებს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლეს წარმომადგენელ კეტრინ ეშტონსა და ევროპის საგარეო საქმეთა სამსახურს **(EEAS)**, **„გააძლიერონ თავიანთი ჩართულობა გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში... საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით – როგორიცაა ძალის გამოუყენებლობა, თვითგამორკვევა და ტერიტორიული მთლიანობა, უფრო აქტიური პოლიტიკური პოზიციის დაკავებით, უფრო აქტიური მონაწილეობით და უფრო გამორჩეული როლით კონფლიქტების მოგვარების მუდმივ და სპეციალურ სტრუქტურებში, მათ შორის, მოლაპარაკების უკვე არსებულ ფორმატებში“.**

რეზოლუციის ამ ნაწილის კომენტირებისას სოხუმელმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის მოგვარება **„უნდა აიგოს არა მხოლოდ სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, არამედ ერის თვითგამორკვევის უფლებაზეც“.**

„აღნიშნული პრინციპის რეზოლუციაში ასახვით ევროპარლამენტმა, არსებითად, დააფიქსირა ერის თვითგამორკვევის უფლების თანასწორობა საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპებთან“, – ხაზგასმულია აღნიშნულ განცხადებაში.

საქართველოს სახელმწიფო გირგვლიანის საქმეზე ხელახალი გამოძიების ჩატარებას არ აპირებს

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანის განცხადებით, ევროსასამართლოს სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში არ მიუთითებია, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ხელახალი გამოძიება ჩაატაროს. **„სიცოცხლის უფლების დარღვევის კონტექსტში, თუკი საგანგაშოდ იქნებოდა მდგომარეობა, ევროსასამართლო აუცილებლად მიუთითებდა საქმის ხელახალი გამოძიების ჩატარებას და ამის პრეცედენტი არაერთხელ მომხდარა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. თუმცა ამ შემთხვევაში ევროსასამართლოს ეს არ გაუკეთებია და ერთადერთი, რაზეც ქვეყანას მიუთითა, გამოძიებაში დაშვებული ხარვეზების გამო კომპენსაციის გადახდაა და მხოლოდ ამის გაკეთებას აპირებს საქართველოს ხელისუფლება. აღნიშნული ხარვეზები ამჟამად გასწორებულია საკანონმდებლო კუთხით“**,– განაცხადა ბურჯალიანმა.

რაც შეეხება ევროსასამართლოსთან თანამშრომლობის საკითხს, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ არცერთი მტკიცებულება არ იყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ევროსასამართლოს არ წარუდგინა. გირგვლიანის საქმე დაარქივებული იყო, რის გამოც რამდენიმე მტკიცებულების გადაგზავნა გაჭიანურდა, თუმცა ისინი მაინც იქნა წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი 2007 წლის ზაფხულში შევიდა. ადვოკატები გირგვლიანის საქმეზე ევროკონვენციის მუხლების – სიცოცხლის, სამართლიანი სასამართლოს უფლების, წამების აკრძალვისა და დაცვის უფლების დარღვევად ცნობასა და მორალურ კომპენსაციას ითხოვდნენ. ევროსასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს მოსარჩელე მხარისთვის 50 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში კი კიდევ ერთხელ მოვიხსენიებთ სანდრო გირგვლიანს და ყველა იმ წამებულთა სულებს, რომლებიც ხელისუფლების ძალმომრეობასა და უსამართლობას ემსხვერპლნენ.

დაგვიანებული პასუხი გულბათ ტორაძეს

(დასასრული)

ერთი პერიოდი თითქოსდა მიყუჩებული იყო მეგრელთა დაშანტაჟების მოყვარულთა ვიშ-ვიში და ბორგვა. მაგრამ ვითარება უმალ შეიცვალა, როგორც კი საქართველო მიღებულ იქნა ევროსაბჭოში, 1999 წლის აპრილში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას ერთ წელიწადში ევალებოდა რატიფიკაცია ევროსაბჭოს კონვენციებისა, მათ შორის, კონვენციისა მცირერიცხოვანი ხალხების ენებისა და უმწერლობო ენების დაცვის შესახებ.

ვაიპატრიოტ ავისმზრახველებს კი, თურმე, არ ეძინათ. არიქა, მეგრული და სვანური ენების დაცვა არ იკისროს საქართველოს მთავრობამო, – და, 2002 წლის მაისის თვეში ერთ-ერთ პოლიტიკურ გაზეთში **„ქუჯი“** გამოაქვეყნეს ე. წ. **„ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმი“,** რომელშიც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ ქართველური ენები, – მეგრული, ჭანური და სვანური არასოდეს არსებულან, არც ახლა არსებობენ, ისინი ქართული ენის დიალექტებია ქართლურის, კახურის და სხვათა მსგავსად, და, მათი ენებად გამოცხადება (თითქოსდა ეს გუშინდელი ამბავი ყოფილიყო, ანდა ამგვარ გამოცხადებაზე იყოს დამოკიდებული ენების არსებობა), ხელს უშლის ქართველთა ერთიანობასო.

ამ ე. წ. **„მემორანდუმის“** მიზანი ნათელი იყო და გაზეთ **„ფარტაზის სამრეკლოში“** (№1, ოქტომბერი, 2002) გამოვაქვეყნეთ ვრცელი საპასუხო წერილი **„ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმი – ქართველური ენების უგულებელყოფის ცდა“**. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღმიშნულ სიმპოზიუმს ეს **„მემორანდუმი“** არც კი მიუღია, იგი უარუყვიათ. მისი შემოქმედი ყოფილა პროფ. ტ. ფუტკარაძე, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად.

რატომღაც, არც **„მემორანდუმს“** და არც ჩვენს საპასუხო წერილს მაშინ არავინ გამოხმაურებია. სათანადო სამეცნიერო დაწესებულებები დუმილის პოზიციაზე იდგნენ. **„მემორანდუმელებმაც“** ერთხანს დუმილი არჩიეს. მაგრამ, მალე ხელი გამოიღეს... იქამდეც კი, რომ აშკარა რევანშზე გადავიდნენ: **„მეგრელებმა აღიარონ, რომ მეგრული დიალექტია და არა ენა, არადა, აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან“;** ქართველური ენების აღიარებით **„ევროსაბჭო დივერსიას გვიწყობს“** და თუ საქართველოს მთავრობა ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს, ამ დივერსიის განმხორციელებელი იქნებაო, – აცხადებდნენ და იმუქრებოდნენ ტ. ფუტკარაძე და მისი ამფსონები. როცა თავიანთ არამეცნიერულ თეორიას მხარი არ დაუჭირა მეცნიერებათა აკადემიამ და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (გარდა აქ მობოგინე ზოგი ვაიმეცნიერისა), მტრებად მონათლეს აქ მომუშავე სპეციალისტებიც. დიახ, ერთხელ უწოდეს მტრები ენათმეცნიერებს და ვერ მოითმინეს მათ (ჩვენ კი, მთლიანად მეგრელ ხალხს, რა ხანია მტრად გვაცხადებენ, მეგრელთმოძულენი, ალბათ იმიტომაც, რომ აქამდე ვითმენთ იობის მოთმინებით), და საკადრისი პასუხიც გასცეს. მოაწყვეს სპეციალური შეკრება-შეხვედრა ენათმეცნიერების ინსტიტუტში და ტ. ფუტკარაძის, თ. გვანცელაძისა და მათი თანამზრახველების **„ახალი თეორია“** ქართველური ენების არარსებობის შესახებ სავსებით სამართლიანად შეაფასეს როგორც ყოველგვარ ლინგვისტიკურ საფუძველს მოკლებული, არამეცნიერული და იდეურად საშიში თეორია, ხოლო მისი ავტორებისა და თანამზრახველების საქმიანობა – როგორც ანტიმეცნიერული, პროვოკაციული საქმიანობა. თუმცა, **„ახალი თეორიის“** ავტორები კვლავ არ ისვენებენ, სახელისუფლებო ორგანოებში, საპატრიარქოში და სად არ მოიძიებენ მომხრეებს...

ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამართული შეხვედრიდან თვალშისაცემია ასეთი ფაქტიც:

საკითხის განხილვაში მონაწილეთა უმრავლესობა, სხვა ქართველურ ენებთან ერთად, მეგრულსაც, ჩუულებრივ, ენად მოიხსენიებს, ზოგიერთი კი, ხმარობს გამოთქმას **„მეგრულ- ჭანური ენა“,** რითაც მეგრულსა და ჭანურს, ცხადია, დიალექტებად წარმოადგენს, და მაშასადამე, ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით დასაცავ ენობრივ ერთეულებად (ენებად) არ ასახელებს. მეგრულსა და სხვა ქართველურ ენებზე და მათს ამგვარ დამცველებზე ხომ ზედგამოჭრილია ანდაზა: **„რა მგელს შეუჭამიხარ და რა მგლისფერ ტურასაო“.**

ხომ გასაგებია, თუ რატომ სდუმან, ზოგიერთები, ჩვენს შვიდტომეულთან და სხვა ნაშრომებთან დაკავშირებით, ბატონო გულბათ?! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისიც მიღწევაა, რომ მგლები და ტურები (ვისაც ეს ეხებათ) აქამდე სდუმან და კულისებშიღა ყმუიან.

არის ერთი გარემოებაც: მცირე ტირაჟის გამო, ჩვენს ნაშრომებზე ყველა მკითხველს როდი მიუწვდებოდა ხელი. ასეთები, ცხადია, მათ ვერც შეაფასებდნენ და ვერც თქვენს წერილს გამოეხმაურებოდნენ. ჩვენი შენიშვნა მათ არ ეხებათ.

მამანტი ძაძამია

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“„NDI“-ს გამოკვლევები მოწმობს, რომ საქართველოს მოსახლეობა შეშფოთებულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით

საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა („**NDI**“), როგორც უკვე იუწყებოდა საქინფორმი, მარტში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები 6 პრილს წარუდგენა მედიას. კვლევის თემა ასეთი იყო: „საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკური გარემოს მიმართ საქართველოში“.

კვლევა 4-დან 17 მარტამდე საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა 2 893 ინტერვიუერის წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე.

პრეზენტაციაზე მიწვეული იყვნენ მხოლოდ მედიასაშუალებები, ისიც – შერჩევით.

შვედეთის განვითარების სააგენტოს („**SIDA**“) მიერ დაფინანსებული „**NDI**“-ს კვლევები კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრმა („**CRRC**“) ჩაატარა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო რვა თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება.

რესპონდენტთა მხოლოდ 35 პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველო „ნამდვილად“ ან „ძირითადად“ სწორი მიმართულებით ვითარდება.

ეს მაჩვენებელი, ივლისში ჩატარებული ანალოგიური კვლევის თანახმად, 51 პროცენტს შეადგენდა, რაც თითქმის უცვლელად იყო შენარჩუნებული 2009 წლის დეკემბრიდან.

თუმცა ბოლო რვა თვის განმავლობაში საგრძნობლად იმატა იმ რესპონდენტთა რაოდენობამ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „საქართველო საერთოდ არ იცვლება“. ივლისში ჩატარებული კვლევის დროს ასეთი პასუხი გამოკითხულთა 15 პროცენტმა გასცა, ხოლო მარტში ეს რიცხვი 37 პროცენტამდე გაიზარდა.

ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური და სოციალური პრობლემები კვლავ რესპონდენტთა შეშფოთების მთავარ საგნად რჩება.

კვლევის თანახმად, სამუშაო ადგილები მოსახლეობისთვის კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთა ნუსხის სათავეშია; მას მოსდევს ფასების ზრდა. ეს უკანასკნელი ივლისში ჩატარებულ კვლევაში მხოლოდ მეექვსე ადგილზე იყო.

კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ტერიტორიულ მთლიანობას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ასახელებენ, კვლავ იკლებს. თუ 2009 წლის დეკემბერში ჩატარებულ მსგავს კვლევაში ეს მაჩვენებელი 49 პროცენტი იყო, 2010 წლის ივლისში ის 45 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2011 წლის მარტში – 38 პროცენტამდე.

რესპონდენტთა 55 და 62 პროცენტი, შესაბამისად, თვლის, რომ სამუშაო ადგილების შექმნისა და ინფლაციის პრობლემებს პოლიტიკოსები ნაკლებად განიხილავენ. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს პოლიტიკოსები საკმარისად განიხილავენ.

რესპონდენტთა 46 პროცენტი მიიჩნევს, რომ, 2008 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, დასაქმების კუთხით ვითარება გაუარესდა; 55 პროცენტი კი გაუარესებას ტერიტორიული მთლიანობის მიმართულებით აღნიშნავს.

რესპონდენტთა 44 პროცენტის აზრით, საქართველოში ამჟამად დემოკრატია არ არის; 39 პროცენტი კი თვლის, რომ არის; ხოლო 17 პროცენტმა არ იცის, ქვეყანაში დემოკრატია არის თუ არა.

თუმცა ამ საკითხზე დადებით და უარყოფით პასუხებს შორის ივლისში დაფიქსირებული 13-პროცენტიანი სხვაობა მარტში 5 პროცენტამდე შემცირდა.

ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობის აღქმით, დემოკრატია, უპირველესად, ნიშნავს სიტყვისა და მედიის თავისუფლებას (48 პროცენტი), შემდეგ მოდის, ზოგადად, თავისუფლება (45 პროცენტი), კანონის წინაშე თანასწორობა (40 პროცენტი), ადამიანის უფლებათა დაცვა (32 პროცენტი), სამუშაო ადგილები (24 პროცენტი) და სამართლიანი არჩევნები (18 პროცენტი).

კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 60 პროცენტი სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება, რომ არსებული ხელისუფლება მისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს, 34 პროცენტი კი საპირისპიროს ფიქრობს.

გამოკითხულთა უმრავლესობა (42 პროცენტი) საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვნად განათლების რეფორმას ასახელებს, თუმცა მხოლოდ 25 პროცენტი მოელის, რომ ამ მიმართულებით მომდევნო 6 თვის განმავლობაში რაიმე განხორციელდება; შემდეგ მოდის საგადასახადო რეფორმა 33 პროცენტით; საარჩევნო რეფორმა – 31 პროცენტით; სასამართლოს რეფორმა – 29 პროცენტით. მედიის რეფორმას პრიორიტეტულად მხოლოდ 8 პროცენტი ასახელებს.

ბოლო კვლევის თანახმად, 71 პროცენტამდეა გაზრდილი იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც „სრულად“ ან „ძირითადად“ მხარს უჭერენ ქვეყნის ნატოში გაწევრებას. ივლისში ჩატარებული კვლევის დროს ეს მაჩვენებელი 65 პროცენტი იყო. 51 პროცენტმა არ იცის, როდის მოხდება ალიანსში ინტეგრაცია, ხოლო 34 პროცენტი იმედოვნებს, რომ ეს 2013 წელს ან შემდგომ წლებში განხორციელდება.

რესპონდენტთა 49 პროცენტი, ივლისში დაფიქსირებული 59 პროცენტის ნაცვლად, თვლის, რომ საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში „ნაწილობრივ“ ან „სრულად“ მიუღებელია, საწინააღმდეგო აზრისაა 38 პროცენტი, ხოლო 12 პროცენტმა არ იცის.

გამოკითხულთა 71 პროცენტი ფიქრობს, რომ რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს. ამასთან, 74 პროცენტი რუსეთთან დიალოგის გამართვის შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდებას მისაღებად მიიჩნევს.

კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 55 პროცენტს, ასევე, მისაღებად მიაჩნია საქართველოს ხელისუფლების თხოვნა – დასავლეთმა გაზარდოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა.

თუმცა რუსეთთან დიალოგის მომხრეა გამოკითხულთა 74 პროცენტი. ამასთან, გამოკითხულთა 28 პროცენტისათვის აბსოლუტურად მიუღებელია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, 12 პროცენტისათვის – მისაღებია, 26 პროცენტისათვის – ნაწილობრივ მისაღებია, 12 პროცენტმა თავი შეიკავა პასუხისაგან.

ჯონი თარბა: „პოლიცია ჩრდილს ვერ მიაყენებს ქართველებთან ჩემს დამოკიდებულებას“

საქინფორმის კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან გვატყობინებს:

„40 წლის ოჩამჩირელი ჯონი თარბა, ეროვნებით აფხაზი, როგორც დევნილი, ზუგდიდშია რეგისტრირებული. აქ ნათესავებთან ცხოვრობს. ის ხშირად ენგურის ცენტრალური ხიდის გავლით მოძრაობს ზუგდიდსა და ოჩამჩირეს შორის; ქართველებსა და აფხაზებს შორის ძმობისა და მეგობრობის ურთიერთობის აღდგენას ცდილობს. ამ დღეებში ზუგდიდელ სამართალდამცველებს მის ქმედებაში რაღაც არ მოეწონათ. მას, თავის ნათესავებსა და მეგობრებთან ერთად, მანქანაში მყოფს, 15 პოლიციელი „დაესხა“ თავს. ყველანი წაიყვანეს პოლიციაში, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოუჩინეს. საღამოს დაჭერილები დილით გამოუშვეს. ჯონი თარბას განმარტებით, პოლიცია ყველგან ერთნაირია. მათი ქმედება ჩრდილს ვერ მიაყენებს მის დამოკიდებულებას ქართველების მიმართ“.

ამ ინფორმაციამ ერთი ამბავი გამახსენა, რომელსაც, 2006 წელს, მე და დავით ქობალია შევესწარით ზუგდიდში.

ჩვენს ავტომანქანას სავალი ნაწილი დაუზიანდა და ავტომექანიკოსს მივაკითხეთ. იგი ვიღაც ახალგაზრდას გულთბილად ესაუბრებოდა რუსულ ენაზე. შემდეგ ერთამანეთს დაემშვიდობენ და ის ახალგაზრდა მანქანით გაემგზავრა.

– ვინ იყო? – ვერ დავფარეთ ცნობისმოყვარეობა.

– ჩემი ახლო ნაცნობია, ოჩამჩირელი აფხაზი. წლების განმავლობაში მე ვურემონტებდი მანქანას და ახლაც, რამე რომ დაუზიანდება, ჩემთან მოჰყავს მანქანა...

– ეს ხომ სახალხო დიპლომატიის კლასიკური ნიმუშია, ასე თანდათან, აფხაზ ხალხთან დამეგობრებით, ძველი კეთილი ურთიერთობების აღდგენაც კი შეიძლება! – გახარებულებმა ვუთხარით მექანიკოსს.

– კი, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, ამას წინათ ზუგდიდის **სოდ**-ის თანამშრომლები მოვიდნენ ჩემთან და მკაცრად გამაფრთხილეს: **“მაგ აფხაზთან მეგობრობას თავი დაანებე, თორემ უსიამოვნებაში გაეხვევიო”.**

მაშინ ჩვენ ვერაფერს მივხვდით, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციის შემდეგ შევიგნეთ, თუ როგორ **“გულით”** სურდა ჩვენს არაქართულ ხელისუფლებას **“აფხაზეთის დაბრუნება”.**

მუბარაკს სიკვდილით დასჯა ემუქრება

ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის – ჰოსნი მუბარაკის მიერ დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემის დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლებელია მის მიმართ სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანოს.

სავარაუდოდ, ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის სასამართლო პროცესი დაახლოებით ერთ წელიწადს გაიწელება, რადგან გამომძიებლები ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს კვლავ ერთადერთ კითხვას უსვამენ – გასცა თუ არა დემონსტრანტების მიმართ ცეცხლის გახსნის ბრძანება. მუბარაკი კი, ცხადია, უარყოფით პასუხს იმეორებს.

უდანაშაულო ადამიანების სისხლში ხელგასვრილმა ყველა დიქტატორმა უნდა იცოდეს, რომ იგი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩება!

შევარდნაძე სააკაშვილს ურჩევს, მედვედევს შეხვედრის თაობაზე ევედროს

საქართველოს ექს-პრეზიდენტი საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს ურჩევს, რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან პირად შეხვედრას მიაღწიოს. **„ეს საქართველოს პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი გზაა, რადგან რუსეთი ძალზე გავლენიანი ქვეყანაა იმისათვის, რომ ვინმემ შეძლოს საქართველოს გამო მასზე ზეწოლა“,** – ბრძანა შევარდნაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ადგილას რომ იყოს, გაემგზავრებოდა მოსკოვში და მედვედევთან პირად შეხვედრას იქ დაელოდებოდა. **„რუსეთს მანამდე არ დავტოვებდი, ვიდრე ეს შეხვედრა არ შედგებოდა. რა თქმა უნდა, მედვედევს ახლა არ სურს სააკაშვილთან შეხვედრა, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობაა საჭირო. ჰააგის სასამართლომაც კი არ მოინდომა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის განხილვა. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მსოფლიოში რუსეთის გავლენაზე და საქართველოს ამასთან შეგუება მოუწევს“,** – განაცხადა ექს-პრეზიდენტმა.

და ამას ამბობს ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იღონა რუსეთთან ურთიერობების გასაუარესებლად და საკუთარი თავისათვის უნიჭოდ მოწყობილი **“ტერაქტების”** რუსეთზე გადაბრალებით გაგვთიშა რუსეთისაგან, პრეზიდენტობა კი მის მიერვე რუსეთის სიძულვილით აღზრდილ სააკაშვილს გადაულოცა!

როგორ დავიჯერო, რომ დიდ პოლიტიკაში მხოლოდ შევარდნაძისთანა სულბინძური ფარისევლები და ნაძირალები გრძნობენ თავს კომფორტულად?

ოლეგ ტიმჩენკო: „საქართველოსა და რუსეთის ბედი კიდევ გადაიკვეთება!“

(საუბარი პირველი)

სამხატვრო აკადემიის პროფესორი ოლეგ ტიმჩენკო ცნობილი და მოთხოვნადი მხატვარია, იტაცებს ექსპერიმენტები. რომანტიკოსია, უყვარს მუსიკა და თავის ნაწარმოებებში მის ხორცშესხმასაც მშვენივრად ახერხებს. თუმცა ყურადსაღები თემა, რომელზეც დღეს საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო „საქინფორმთან“ საუბრობს, მხატვრის მორიგი ხმამაღალი პროექტი კი არა, თავად გახლავთ: მისი წარსული და აწმყო, გვარიშვილობა, ცხოვრებისეული ფილოსოფია და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მრწამსი – დღეს ხომ პოლიტიკაზე მარტოოდენ ზარმაცები არ ლაპარაკობენ...

ოჯახური საქმეები

– მე პეტერბურგელი თავადი და, ამავე დროს, ციმბირელი ვარ! ბებიაჩემი და პაპაჩემი, დედის მხრიდან, პეტერბურგიდან თბილისში ნაჩქარევად გამოიქცნენ. ესმოდათ, რა შეიძლებოდა დაყოვნებას მოჰყოლოდა. მდიდარი თავადების დევნის უამრავი მიზეზი არსებობდა. 1917 წლის რევოლუცია განაჩენად იქცა. ევგენი და ელიზავეტა (ქალიშვილობის გვარით – ნიკოლაევა) გულიცკეებს ორი სახლი ჰქონდათ – ნევის პროსპექტსა და ვასილიევის კუნძულზე. ბინა ჰქონდათ სმოლენსკის გუბერნიაშიც. აგარაკზე ცხოვრება ჩეხოვის **„თოლიას“** ჰგავდა. ბებია კაპიტოლინა მიამბობდა, როგორ ატარებდნენ უქმეებს – დგამდნენ სპექტაკლებს, იწვევდნენ პროფესიონალ მსახიობებს, აწყობდნენ საღამოებს. ცხოვრება თვალის დახამხამებაში დაენგრათ... გულიცკებმა ხელს ვერაფერი გამოაყოლეს, გარდა საგვარეულო ძვირფასეულობისა, რომელმაც დიდხანს გამოკვება ისინი, სამამულო ომის დროსაც კი. ჩემი დიდი ბაბუა, როგორც დღეს ამბობენ, პირველი ავიატორების სპონსორი იყო. მის ძმას – კონსტანტინეს კი, დიდი თანამდებობა ეკავა ზამთრის სასახლესთან არსებულ კანცელარიაში. დიდ ბებიას ორი და ჰყავდა – მათაც მოუხდათ ემიგრირება გერმანიასა და აშშ-ში. ასე გაჰყარა ცხოვრებამ სამი და...

– თქვენი წინაპრებისთვის თავშესაფრად კავკასია იქცა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– კავკასია იმ წლებშ ჯერ კიდევ თავისუფალი იყო ბოლშევიზმისგან. აქ ინგლისის ჯარები იდგა. მოკლედ, რევოლუციას ჯერ ვერ მოეღწია. გულიცკეებს ძალიან მოსწონდათ თბილისში ცხოვრება, უწინაც ხომ ჩამოსულან დასასვენებლად. და როცა დადგა საკითხი – სად გაქცეულიყვნენ, არჩევანი თბილისზე შეაჩერეს. ის უფრო ახლობელი იყო და არც ენობრივი ბარიერი დააბრკოლებდათ. რა თქმა უნდა, გულიცკეებს კაპიტალურად გადასახლება არ სურდათ, ბოლომდე სჯეროდათ, რომ შინ დაბრუნდებოდნენ და აქ მხოლოდ ავი ჟამის გადავლას ელოდებოდნენ. დიდი ბაბუა ბოლშევიკებს სერიოზულად არ აღიქვამდა. ბებია ჰყვებოდა, მამას ეგონაო, რომ ბანდიტები ცოტას აურ-დაურევდნენ და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. იმხანად ბებია 17 წლის იყო, მისი ძმა ალექსანდრე – თხუთმეტის. ოჯახმა აქ სახლი იყიდა, რკინიგზის სადგურის სიახლოვეს. შემდეგ გულიცკებმა ის გაყიდეს და არდონის ქუჩაზე (დღევანდელი – მამარდაშვილის ქუჩა) მდებარე სახლში გადასახლდნენ, რომელიც მათთვის საგვარეულო ბუდედ იქცა. თუმცადა თბილისურ ცხოვრებას ვერ შეეგუენ. დიდ ბაბუას ნოსტალგიამ შემოუტია, იტანჯებოდა, ხოლო როცა გააცნობიერა, რომ აქედან ვეღარ გაემგზავრებოდა, დროსტარებას მიჰყო ხელი. მანამდე სასმელს არ ეკარებოდა, ახლა კი ვერის ბაღში მეგობრებთან ერთად სტუმრობას მოუხშირა! მოკლე ხანში გარდაიცვალა. საქმე ისაა, რომ ევგენი გულიცკი დიდი ოხუნჯი იყო. ერთხელ მეგობრებს შესთავაზა, გაჩვენებთ, დათვი მთიდან როგორ მოგორავსო. ისინიც გაბრიყვდნენ და დათანხმდნენ. ბაბუაც დაგორდა და კუნძს დაეჯახა. პენიცილინი იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა და ბანალური სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა.

ბავშვებთან მარტოდ დარჩენილმა ბებიამ იფიქრა, დასთან გერმანიაში ან საფრანგეთში გადავსახლდებიო, მაგრამ ვერ შეძლო. მეტად აღარც გათხოვილა. ელიზავეტა გულიცკაია კარჩაკეტილად ცხოვრობდა, სახლიდან გარეთაც არ გადიოდა, მხოლოდ ეკლესიაში ან ბიბლიოთეკაში თუ წავიდოდა. მახსოვს, პატარას ხელს ჩამკიდებდა და სახლის შორიახლო რუსულ ეკლესიაში მივყავდი. მეხსიერებაში ჩამრჩა, როგორ მეშინოდა მუყაოსგან გამოჭრილი ქრისტეს ჯვარცმის ფიგურისა. იცით, ქაღალდზე რომ ყოფილიყო დახატული, სულ სხვაა, **„ჩემი“** ქრისტე კი თითქოს ჰაერში, სივრცეში დაფარფატებდა. ის **„ცოცხალი“** იყო! თუმცა, მიუხედავად ყველა ბავშვური შიშისა, ძალიან მიყვარდა ეკლესიაში ყოფნა, განსაკუთრებით, დღესასწაულებზე.

– დედათქვენისა და ბებიას ცხოვრება როგორ აეწყო?

– ბებიაჩემი კაპიტოლინა 17 წლისა გაჰყვა ცოლად პოეტ და მევიოლინე სემიონ ბოლოტოვს. მათი ქალიშვილი, დედაჩემი – ვალენტინა სემიონოვნა ბოლოტოვა, ძალიან კარგად ხატავდა, მაგრამ სამხატვრო აკადემიის დამთავრება ვერ შეძლო – ომმა შეუშალა ხელი. თბილისის აკადემია ფასიანი გახდა, ფული არ ჰყოფნიდათ. ვის სცხელოდა სწავლისათვის? დედა მარჯანიშვილის თეატრში, ბუტაფორიის საამქროში მხატვრად მუშაობდა. რაც შეეხება მამაჩემს, ივან ტერენტის ძე ტიმჩენკოს – ეს სრულებით სხვა ისტორიაა. მამა ვიტებსკში დაიბადა, თითქმის მაშინვე ოჯახი ომსკში გადასახლდა. ბაბუა მამის მხრიდან კომბინატში ინჟინრად მუშაობდა. აი დიდ ბაბუას კი არ ვიცნობ, ციმბირთან კონტაქტი არ მქონდა. ბაბუაზე ბევრი რამ მამის მონათხრობიდან შევიტყვე...

ბაბუა ტერენტი ინჟინრად მუშაობდა და ხეირიანი შემოსავალიც ჰქონდა. ის და მისი ძმა პეტრე ტიპური ციმბირელები იყვნენ, მაღლები და ჯანმაგრები. ტერენტის უბედურება შეემთხვა – ბაბუა შემთხვევით პირდაპირ ქუჩაში დაჭრეს. გაუგებარია, როგორ მიაღწია სახლამდე 17 ჭრილობით... ნამდვილი ციმბირელი იყო! ერთი კვირა სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ... მწირი ცნობები შემორჩა ბებია ანასტასია ბარსუკოვაზეც. მამაჩემმა ომსკის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. დიდხანს სპეციალობით მუშაობდა. ბროლის ძებნაში ნიადაგს აფეთქებდა. ექსპედიციებით ომისშემდგომ წლებში მთელი კავკასია შემოიარა – დაღესტანი, ყაბარდო, სვანეთი. ომის მონაწილე არ ყოფილა, ომსკის სატანკო ქარხანაში მუშაობდა. საქართველოში პროფესიამ ჩამოიყვანა, სამუდამოდ კი აქ სიყვარულმა დატოვა. გეოლოგიური სადგურის ბიჭებთან ერთად სოხუმში ისვენებდა და დედას შეხვდა, რომელიც ამ ქალაქში დამატებით კარტოგრაფად მუშაობდა. სად გაიცნეს ერთმანეთი, ზუსტად არ ვიცი – დეტალები ჩემთვის არ გაუნდვიათ. მარტო ის ვიცი, რომ გაჩაღებული რომანისას მამამ დედა ტყიბულში წაიყვანა და იქ, მთაში, ქვის ქოხში თაფლობის თვე გაატარეს. რაკიღა დედამ ციმბირში გამგზავრებაზე ცივი უარი განაცხადა, მამა იძულებული გახდა, საქართველოში დარჩენილიყო. მისი სპეციალობა აქ მოთხოვნადი არ აღმოჩნდა, ამიტომ მამა მეორე მექანიკურ ქარხანაში ოსტატად მუშაობდა და ფოტოგრაფიითაც სერიოზულად დაკავდა. იმ დროისათვის დედა აღარ მუშაობდა, საკუთარი თავი მთლიანად ოჯახს მიუძღვნა. სამწუხაროდ, მშობლები ამქვეყნად აღარ არიან, 90-იან წლებში გარდაიცვალნენ. მამა საქართველოს შეეჩვია, უყვარდა აქაურობა, ბევრი მეგობარი შეიძინა – სომხები, ქართველები, რუსები... არასოდეს მსმენია მამისგან ან ბებიისგან, რომ თბილისში ნაციონალური საკითხი წამოჭრილოყოს. ასეთი რამ არ მომხდარა! თავადაც არ ვგრძნობ თავს უცხოდ. რუსეთში ქართველს მეძახიან. მეგობრები ზოგჯერ მეხუმრებიან ხოლმე – აი ჩვენი ქართველიც ჩამოვიდაო! აქ კი რუსი ვარ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. პრობლემა არ შექმნილა ენობრივი თვალსაზრისითაც. ბედმა გამიღიმა, ჩვენი ეზო „ქართული“ იყო. თავიდან სკოლაში საერთოდ არ ვესწრებოდი ქართულის გაკვეთილებს – არ მაინტერესებდა. ისედაც ყველაფერი ვიცოდი. ენა უკვე სამხატვრო აკადემიაში გავიწაფე, ფერწერის ფაკულტეტზე – რუსული განყოფილება იქ, უბრალოდ, არ იყო.

არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა – კორნელი სანაძე, დავით გაბითაშვილი, ჟორა ჯაში, მიტო ხახუტაშვილი – სამხატვრო აკადემიის მთელი ნაღები. ბევრი რამ მასწავლეს. მიუხედავად ამისა, უმაღლესის დამთავრების შემდეგ არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და რით დამეწყო. ხელოვნებაში ხომ უამრავი მიმდინარეობაა. ერთი წელიწადი საერთოდ არ დამიხატავს, ხელი ჩავიქნიე. მიმაჩნდა, რომ ფერწერა აქტუალური აღარ იყო, აი კინო კი სულ სხვა საქმეა. მარტო კოლაჟებს ვაკეთებდი.

„მკრთალსახიანო, როდის დაქორწინდები?!“

– საუბარში ერთხელ სერგო ფარაჯანოვის გავლენა ახსენეთ თქვენს შემდგომ ცხოვრებაზე. ხანგრძლივი ურთიერთობა გქონდათ. მეგობრობდით?

– აკადემიის მესამე კურსზე გავიცანი, ჩემი მეგობრის – თემურ ტორჩინოვის წყალობით. მანამდე ფარაჯანოვის შემოქმედება არ აღმომეჩინა და ვერც კი გავაცნობიერე, რა საჩუქარი მიწყალობა ბედმა! სერგო სახლში მუშაობდა, სახელოსნო არ ჰქონდა. იმხანად საპატიმროდან გამოვიდა. რა თქმა უნდა, ვიცოდით, რისთვის დაისაჯა. ცხადია, ხმები ვრცელდებოდა ამის თაობაზე. თუმცა საკუთარ თავზე არ ვღელავდი, მე ეს, პრინციპში, არ მეხებოდა. სერგომ ჩინებულად იცოდა, ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო. დღეს მესმის, რომ აკადემიაში სწავლა ერთი პროცენტია, მიზერი, ფარაჯანოვის **„სკოლასთან“** შედარებით. ცხოვრების ბოლომდე მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. ასე რომ, თამამად შემიძლია თავს მისი უმცროსი მეგობარი ვუწოდო. ის ძალიან ხელგაშლილი იყო, თავისებურად მზრუნველიც. მაგალითად, როცა დედა გარდამეცვალა, ქელეხში ცხვარი გამომიგზავნა. მატერიალურად მეხმარებოდა, ჩემს ნამუშევრებს ყიდულობდა და, სხვათაშორის, არცთუ იაფად. როგორც უკვე ვთქვი, ერთი წელიწადი მხოლოდ კოლაჟებს ვაკეთებდი. სერგო მთელი ცხოვრება იყო ამით დაკავებული, გადაღებებს შორის შესვენებებისას. გენიალურად გამოსდიოდა. ერთხელ ფარაჯანოვმა ჩემთან სტუმრობა გადაწყვიტა – კოლაჟების სანახავად. 82 წელი იდგა, ათკაციანი დელეგაციით მოადგა. მარტო არსად დადიოდა. ძალიან ვნერვიულობდი, ჩემს ნამუშევრებს როგორ შეაფასებდა. სერგო პირდაპირი ადამიანი იყო, შეეძლო მიუკიბ-მოუკიბავად ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა. განსაკუთრებით, მაშინ, როცა საქმე ხელოვნებას ეხებოდა – ვერავითარი სიმპათია და მეგობრობა ვერ გიხსნიდა! მოკლედ, არ ვმალავ, მეშინოდა. თუმცა ნამუშევრები მოწონა, რაც ჩემთვის დიდ სტიმულად იქცა. მოეწონა პატარა ფერწერული ტილოც, აკადემიის დამთავრების შემდეგ ჩემი პირველი ნამუშევარი, სახელწოდებით **„მკვდარი ბელურა“**. რამდენჯერმე მთხოვა, **„ბელურა“** მომყიდეო. უარით ვისტუმრებდი, რაღაც იმგვარს ვეუბნებოდი, რომ დიდი პატივისცემისა და სიყვარულის მიუხედავად, ვერ მივყიდიდი, რადგან **„ბელურა“** გამორჩეულად მეძვირფასებოდა! **„მაშინ მათხოვე“,** – მთხოვა სერგომ. უარი ვეღარ ვუთხარი.

– დაგიბრუნათ?

– დიახ, სამი თვის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში **„ბელურა“** მის სახლში ეკიდა, თუმცა – უკუღმა. ვკითხე, ასე უცნაურად რატომ დაკიდე-მეთქი, მან კი მომიგო: **„ასე უფრო ფატალურია“**. მახსოვს, როგორ შეიძინა სერგომ ჩემი ნამუშევარი **„ორი მეძავი“**. ტილოს გენიალური ნაწარმოები უწოდა, ისევე, როგორც ყველაფერს, რაც თვალში მოსდიოდა. 150 მანეთი შემომთავაზა, რაც ძალიან გამიხარდა. შეთანხმებისამებრ, მეორე დღეს მივაკითხე და 150-ის ნაცვლად სულ ხუთი მანეთი მომცა! ასე მაწვალა მთელი თვე; იცოდა, რომ ფულისთვის აუცილებლად მივაკითხავდი. თუმცა ისედაც ხშირად ვსტუმრობდი.

ერთხელაც, ვესტუმრე და გამლანძღა – სად დახეტიალობდიო. **„როცა საჭირო არ არის (არანორმატიულ ლექსიკას გამოვტოვებ), სულ ზიხარ და ზიხარ... ეს-ესაა ვისოცკი წავიდა, მე კი ისე მინდოდა, ერთმანეთი გაგეცნოთ!“** ფარაჯანოვის წყალობით ურთიერთობის საშუალება მომეცა ძალიან საინტერესო ადამიანებთან: ბელა ახმადულინა, ალა დემიდოვა, მაია პლისეცკაია, ანდრეი ტარკოვსკი, მარჩელო მასტროიანი. სატირის თეატრი და **„ტაგანკა“** ხშირად აწყობდნენ **„ტუსოვკებს“** ფარაჯანოვთან. მსახიობები ჩემთან – ღარიბ სტუდენტთან, უბრალოდ, თავმდაბლურად ურთიერთობდნენ, პირქუში შირვინდტის გამოკლებით. სამწუხაროა, რომ ფოტოები არ შემომრჩა. სერგოს სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველასთვის, თუმცა ყველას ერთნაირად როდი ეპყრობოდა. ზოგიერთს ფარაჯანოვი უხიაკ ადამიანად მიაჩნდა. მისი იუმორი, სარკაზმი და ცინიზმიც კი, გაგებას საჭიროებდა. თუმცადა ამასაც ერთობ შემოქმედებითაც აკეთებდა. ვუყურებდი სერგოს და ნელ-ნელა ვხვდებოდი, რამდენად მნიშვნელოვანია იდეა ხელოვნებაში. რასაკვირველია, ოსტატობა აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ ამის გარდა, არსებობს ხელოვნებაც. ეს კი სულ სხვა სფერაა, – გვიხსნიდა ფარაჯანოვი. შეიძლება მხატვარი იყო, მაგრამ შორს იყო ხელოვნებისგან. ასე არაა?

ფარაჯანოვი **„მკრთალსახიანსა“** და, ვითომ შეცდომით, ტიმჩენკოს ნაცვლად, სსრ კავშირის მარშლის მსგავსად, ტიმოშენკოს მეძახდა. ხშირად მეხუმრებოდა, როდის უნდა დაქორწინდე, **„მკრთალსახიანოო“**?

თუ ის ვინმეს მიიღებდა, ბოლომდე გვერდით ედგა. სხვათაშორის, ფარაჯანოვის სიტყვები ყურად ვიღე და ორჯერ, მოკლე ინტერვალებით, დავქორწინდი! ჩემმა პირველმა მეუღლემ – მედეა წულაიამ ქალიშვილი – ლიზი მაჩუქა, რომელსაც ეს სახელი პეტერბურგელი ბებიის პატივსაცემად ეწოდა. მეორე ცოლის – ია კაჯერიშვილისგანაც ქალიშვილი მყავს, სალომე. როგორც ხედავთ, ორივე მეუღლე ქართველი მყავდა. ნაციონალური საკითხი ჩემს ოჯახში არ იდგა. მეორე ნახევრის არჩევა, პასპორტის გრაფის მიხედვით, არანორმალურია.

ესაუბრა დიანა შერეშაშვილი

ბრეკ ქრეიგი დარწმუნებულია, რომ „ებრაელ ბიზნესმენთა დაკავება საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დაიგეგმა“

საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი ებრაელი ბიზნესმენების – ზევე ფრენკიელისა და რონი ფუქსის – ირგვლივ ატეხილი სკანდალი. ამ საქმესთან დაკავშირებით სპეციალური რეპორტაჟი მოამზადეს სტუდია **„ji en es“-**მა და ჟურნალისტმა ნანა ლეჟავამ, სადაც საქმის ჯერ კიდევ უცნობი დეტალებია მოყვანილი.

რეპორტაჟში ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ყოფილი იურიდიული მრჩევლის – გრეკ ქრეიგის, კომენტარიც არის შესული, რომელიც დარწმუნებულია, რომ ბიზნესმენთა დაკავება უმაღლეს ეშელონებში დაიგეგმა.

„ფაქტია, რომ იყო კოორდინირებული მოქმედება მთავრობის ოთხ მინისტრსა და პრეზიდენტს შორის. მთელი ეს გეგმა ფინანსთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრებმა და პრემიერმა სააკაშვილთან ერთად შეიმუშავეს, რათა რონი ფუქსი ციხეში ჩაესვათ“, – აცხადებს ქრეიგი.

ამასთან, გადაცემაში ბიზნესმენების ოჯახის წევრების კომენტარებიც არის მოყვანილი, სადაც აღნიშნულია, რომ **„ქართველებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ფუქსი და ფრენკიელი საქართველოში ჩაეტყუებინათ, კარგად მოახერხეს და უდანაშაულო ადამიანები დააპატიმრეს, ხაფანგში შეიტყუეს და ხელში ჩაიგდეს“.**

„სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი სასამართლო არ იქნებოდა. მიდის პოლიტიკური თამაში, სადაც სასწორზე ასობით მილიონი ამერიკული დოლარი დევს“, – აცხადებენ ბიზნესმენთა ახლობლები.

ამასთან, უცხოური გამოცემები წერენ, რომ ბიზნესმენები საქართველოს ხელისუფლებამ ციხეში გამოკეტა და ამით შეეცადა, თავი აერიდებინა 100 მლნ დოლარის გადახდისთვის.

ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები კი ქვეყნის იმიჯის შელახვისთვის პასუხისმგებლობას პრემიერ ნიკა გილაურს აკისრებენ.

შალვა ბრეუსი: რკინიგზა მებიუსის ლენტს ჰგავს

ავტორის შესახებ: შალვა პეტრეს ძე ბრეუსი – ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი **„ვოლგას“** დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ცხოვრობს მოსკოვში, მისამართზე: სკატერტნი პერეულოკ №18.

დაიბადა 1957 წლის 1 ნოემბერს ქ. ბათუმში; 1981 წელს დაამთავრა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით **„საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა“,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; 1982-1989 წლებში იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1989-1991 წლებში – საბჭოურ-ავსტრიული ერთობლივი საწარმო **„ტეკონის“** მოსკოვის ფილიალის დირექტორის მოადგილე კომერციულ საქმიანობაში; 1991-1992 წლებში – საბჭოურ-გერმანული ერთობლივი საწარმოს **– „მარკეტინგი – XXI“** (ქ. მოსკოვი) – გენერალური დირექტორი; 1992-1993 წლებში - სააქციო საზოგადოება **„ტრასტის“** (ქ. მოსკოვი) გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ საქმიანობაში; 1993-1994 წლებში – ინდივიდუალური კერძო დაწესებულება **„ბიაროს“** (ქ. მოსკოვი) პრეზიდენტი; 1994-1995 წლებში – მოსკოვის დამოუკიდებელი სამაუწყებლო კორპორაცია **„ტვ-6 მოსკვას“** პროგრამების წამყვანი; 1995-1998 წლებში – ღია ტიპის სააქციო საზოგადოება **„ომპექსის“** კონსულტანტი (მოსკოვი) საინვესტიციო საქმიანობის საკითხებში; 1998-1999 წლებში – კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის მოადგილე; რფ-ის მთავრობასთან არსებული კრასნოიარკის მხარის ადმინისტრაციის მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე; საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი წყალბურთში. 1998 წელს აქტიურად მონაწილეობდა კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორ ა. ლებედევის საარჩევნო კამპანიაში. კერძოდ, 1998 წლის მაისში კრასნოიარსკში ფრანგი მსახიობის – ალენ დელონის ჩამოსვლის ორგანიზატორი გახლდათ. ვიცე-გუბერნატორის პოსტზე კურირებდა ნორილსკის საწარმოო რაიონს და მხარის ადმინისტრაციის საგარეო ეკონომიკურ მოღვაწეობას. 2000 წლიდან 2003 წლის იანვრამდე რუსეთის ფედერაციის ქონებრივი ურთიერთობის მინისტრის მოადგილე იყო.

ავტორია ლიტერატურული მინიატიურებისა, ნაბოკოვის პროზის თარგმანისა. არაერთხელ დაიბეჭდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა **„როდინა“, „ლიტერატურნოე ობოზრენიე“, „ნოვაია როსია“, „სიბირსკიე ოგნი“.** ამჟამად გამომცემელია ჟურნალისა **„არტხრონიკა“,** რომელიც უნიკალურია იმ მხრივ, რომ მისი მასალები კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების შერწყმას წარმოადგენს და უაღრესად საინტერესოა როგორც დარგის მცოდნეების, ისე მოყვარულთათვისაც.

1890-იანების ტფილისი: მოკალმე შალიაპინი, შეგირდი პეშკოვი და მემუხრუჭე კონდუქტორი ფიროსმანი ერთად მუშაობდნენ. შეხვედრიან კი ერთმანეთს?

წვრილმანებში გულდასმით, სიყვარულითა და თითქმის უმიზნოდ ქექვა... არადა, სწორედ ამ ძველმანებისგან იშვება ყველაზე საინტერესო რამეები ამქვეყნად. ასე მაგალითად (რისთვის, ნეტავ?), კონდუქტორი ფიროსმანი ვაგონის მინებზე დაისის შუქის ანარეკლს უცქერდა. მუშა ალექსეი პეშკოვი ტფილისელი ავარების საუბრებს უსმენდა. თითქმის, ასევე, ლიტერატორი, მთარგმნელი, ჟურნალ **„არტხრონიკის“** გამომცემელი შალვა ბრეუსი საქართველოს ისტორიის ნამსხვრევებს აკოწიწებდა.

და პოულობდა კიდეც – გასაოცრად ცოცხალ და თბილ **„უჩვეულო დაახლოებებს“.** ისინი ფანტასტიკად მოჩანს. თუმცა სწორედ ყველაზე წარმოუდგენელი სიუჟეტები (როგორც ძველ ტფილისს შეშვენის!) რეალობა აღმოჩნდება ხოლმე, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზა მებიუსის ლენტივით იხლართება, რვიანის მსგავსად – მარადისობის ნიშნად.

ამიერკავკასიის სარკინიგზო გზის ისტორია დასაბამს 1872 წელს ფოთი-ტფილისის ხაზზე მოძრაობის საზეიმო გახსნიდან იღებს.

საინტერესო დრო იყო. ბოლოს და ბოლოს, დასრულდა 50 წელზე მეტხანს გაგრძელებული კავკასიის ომი. შამილის სიკვდილიდან ერთი წელი თუ იყო გასული. კავკასიაში უწინდებურად ვაჭრობდნენ ადამიანებით, ხოლო ტყეებში აბრაგები დათარეშობენ. თუმცა ისტორიას ვერ შეაჩერებ. ბაქოს ნავთობი ზღვისკენ გასასვლელს ეძებს. სადაცაა თურქეთთან სისხლისმღვრელი ომი დაიწყება. რუსეთის იმპერიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სარკინიგზო გზების ფოლადის კარკასად ერთ მუშტად შეკრას კავკასია.

1883 წელს იგება ბაქო-ტფილისი-ბათუმის მონაკვეთები. მის კვალდაკვალ, 1894 წელს, ამუშავდება მიხაილოვო-ბორჯომის, შემდეგ კი ტფილისი-ყარსის მონაკვეთებიც.

თუმცა გვერდზე გადავდოთ მშრალი სტატისტიკა. მაზუთის სუნით გაჟღენთილი მთელი ეს თავსამტვრევი ციფრები, ფულადი და სატვირთო ნაკადების რთული განტოლებები არქივშია შემონახული.

ჩვენთვის კი სხვაგვარი ცნობები უფრო მნიშვნელოვანია.

სწორედ კავკასიის სარკინიგზო გზაზე, ტფილისის მთავარ სარკინიგზო საამქროებში, 1892 წლის ზაფხულში მომნიშნავად მუშაობდა ვინმე პეშკოვი, 20 წლისა. მომავალი პროლეტარი მწერალი სამმართველოს მოანგარიშე ალექსანდრე კალუჟნისთან ცხოვრობდა.

იქვე, ტფილისში, გასართობ ბაღში, სადაც პუბლიკა ღის სცენაზე გამოსულ არტისტთა მოსასმენად დაიარებოდა, აყლაყუდა, გამუდმებული შიმშილისგან გაძვალტყავებული ავარა ლუკმაპურის მოსაპოვებლად ანეკდოტებით ართობდა რესტორნის სტუმრებს. ამ საქმიანობისას გაიცნო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკები და ერთხელ ბაღში მორიგ სუფრასთან თავისი აწეწილი ცხოვრების შესახებ მოუთხრო. და ჰოი საკვირველებავ! მისმა მონათხრობმა თანაგრძნობა გამოიწვია.

მსმენელებმა, რომლებმაც გაარკვიეს, რომ ის განათლებული კაცი იყო და **„საკანცელარიო სამუშაოსაც“** იცნობდა, შესთავაზეს, თხოვნით მიემართა რკინიგზის ბუღალტრისთვის (სავარაუდოდ, იმავე სუფრასთან, გვარიანად შეზარხოშებულისთვის). თხოვნა დაიწერა და გუშინდელი ავარა ამიერკავკასიის სარკინიგზო გზების სამმართველოს მოკალმედ იქცა, თვეში 30 მანეთის ჯამაგირით. თუმცაღა, რკინიგზაზე მისი კარიერა არ აეწყო და იძულებული შეიქნა, პროფესია შეეცვალა.

ავარას თეოდორ შალიაპინი ერქვა.

ამავე დროს, სწორედ ამიერკავკასიის სარკინიგზო გზებზე 1890 წლის 17 აპრილს სატვირთო ვაგონების მემუხრუჭე კონდუქტორად მოეწყო კიდევ ერთი უიღბლო კაცი:

„ხელწერილს ვუდებ ამიერკავკასიის სარკინიგზო გზების სამმართველოს მასზედ, რომ ჩემი მოვალეობის განმმარტებელი ინსტრუქცია მივიღე; ამასთან, ამიხსნეს თითოეული პუნქტი, რომლებიც გავიგე და ჩემს თავზე ვიღებ, განუხრელად შევასრულო მასში გადმოცემული ყველა წესი. ასევე, ვივალდებულე, დავემორჩილო ფულად ჯარიმებს სამსახურში, რომლებსაც რკინიგზის ხელმძღვანელობა დამიწესებს.

კონდუქტორი ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი, 1890 წლის 17 აპრილი“.

ამგვარად, გამორიცხული არ არის, რომ რიგი საკანცელარიო დოკუმენტებისა, რომლებიც ფიროსმანიშვილს ეხებოდა, შალიაპინის ხელით იყოს დაწერილი. დასაშვებია, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ კიდეც.

1891 წლის ზაფხულში შალიაპინი ბაქოში აღმოჩნდა. ჯგუფი, რომელთან ერთადაც ჩამოვიდა, გაემგზავრა და ის სრულებით მარტო დარჩა უცხო ქალაქში სამსახურისა და ჭერის გარეშე. შიმშილობდა. თანაც, იმხანად ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა. ხალხი პირდაპირ ქუჩებში იხოცებოდა. ასეთ მძიმე, თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაში, მოულოდნელად ბედმა გაუღიმა – ქუჩაში ოთხი ორგრივნიანი იპოვა. ჯერ ქაბაბით დანაყრდა, შემდეგ კი რკინიგზის ვაგზლისკენ გაეშურა და კონდუქტორს თბილისში ჩაყვანა სთხოვა. კონდუქტორი კეთილი კაცი აღმოჩნდა და სულ 30 კაპიკად წაიყვანა.

ბაქოდან თბილისამდე შალიაპინმა სატვირთო ვაგონის სამუხრუჭე ბაქანზე მყოფმა იმგზავრა. საინტერესოა, ვინ იყო ეს უცნობი კონდუქტორი, ეს კეთილი **„ბიჭი“**? იმ დროს ხომ მატარებელი ბევრი არ იყო და იშვიათადაც დადიოდნენ, ხოლო ნიკო ფიროსმანიშვილი არაერთხელ დაუჯარიმებიათ უბილეთო ხალხის მგზავრობისთვის...

შეხვედრის კიდევ ერთი სავარაუდო ადგილი ტფილისში სამმართველოს საავადმყოფო შეიძლებოდა ყოფილიყო. მეისრე კონდუქტორები ზამთარ-ზაფხულ გადაუხურავ ღია ბაქნებზე იდგნენ ქარის, მზისა და წვიმის ქვეშ. ფიროსმანიშვილი ხშირად ავადმყოფობდა, სამსახურიდან დათხოვნამდე კი ჯანმრთელობის შერყევისათვის ფულადი კომპენსაციის მიღებას ცდილობდა. ბოლოს კი მიაფურთხა შემწეობასა და სამსახურს და 1893 წლის 30 დეკემბერს სამსახურიდან განთავისუფლდა.

შალიაპინი სამმართველოს საავადმყოფოში დიფტერიტს მკურნალობდა. თუმცა იქ მცირეხანს დაჰყო და მალე, როგორც ეს ვოლუსკელ ავარას შეეფერება, ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა.

ერთობ უჩვეულო რკინიგზაა, სადაც კონდუქტორად ფიროსმანი მუშაობს, მოკალმედ – შალიაპინი, ხოლო შეგირდად – გორკი...

შალიაპინს საკანცელარიო მუშაობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა.

ფიროსმანს სახეზე ეწერა, რომ უხეირო კონდუქტორი იყო. ტყუილად კი არ აჭრელდა მისი სამსახურებრივი ნუსხა საყვედურებითა და ჯარიმებით: **„უბილეთო მგზავრის წაყვანისთვის – 3 მანეთი“, „მთავარი კონდუქტორის დაუმორჩილებლობისთვის – 3 მანეთი“, „მორიგის ბრძანების შეუსრულებლობისთვის – 3 მანეთი“, „მატარებელში გამოუცხადებლობისთვის – 2 მანეთი“** და ა. შ.

სარკინიგზო საამქროების მუშაკად პეშკოვის გამოსადეგობაც ერთობ საეჭვო იყო.

თუმცაღა შალიაპინმა ამ სამსახურის წყალობით ამოისუნთქა, ტფილისში დარჩა და პირველად თავის სიცოცხლეში მუსიკის გაკვეთილები პროფესიონალი პედაგოგის – სიმღერის პროფესორისგან აიღო.

გორკიმ თავისი პირველი მოთხრობა **„მაკარ ჩუდრა“** და პოემა **„ქალიშვილი და სიკვდილი“** აქ დაწერა. **„მაკარ ჩუდრა“** გაზეთ **„კავკასიაში“** დაიბეჭდა (მწერლის პირველი პუბლიკაცია!) კალუჟნის დახმარებით, რომელმაც ავტორს რეკომენდაცია გაუწია თავის მეგობართან, ჟურნალის თანამშრომელ მარევთან. როგორც ჩანს, რკინიგზის მოკრძალებული მოანგარიშის როლი დიდი პროლეტარი მწერლის შემოქმედებითი ბედის წარმართვაში ამ ერთი რეკომენდაციით არ შემოფარგლულა. წიგნში **„მაქსიმ გორკის ცხოვრება და თავგადასავალი“** ი. გრუზდევი წერს:

„კალუჟნი ადგა, მას (გორკის) მხრებზე ხელი მოხვია და სხვა ოთახში გაიყვანა. შიგნით უბიძგა და კარი მიუკეტა.

– მანდ, მაგიდაზე, ფურცელია, – უთხრა კარს მიღმა გაოცებულ ალიოშას, – დაწერეთ, რაც მიამბეთ. სანამ არ დაწერთ, არ გამოგიშვებთ“.

თავად კალუჟნი ირწმუნებოდა, რომ ამგვარი არაფერი მომხდარა, თუმცა უკვე სახელმოხვეჭილი გორკი მას სწერდა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო ალექსანდრე მეფოდის ძევ!

თქვენ პირველმა... შემომხედეთ როგორც არა მარტო უცნაურბიოგრაფიიან უბრალო ბიჭს, უმიზნო მაწანწალას, რაღაც თავშესაქცევს...

თქვენ პირველმა... მაიძულეთ, საკუთარი თავისთვის სერიოზულად შემეხედა.

თქვენს ბიძგს უნდა ვუმადლოდე, რომ აგერ უკვე 30 წელია, პატიოსნად ვემსახურები რუსულ ხელოვნებას...“

ფიროსმანი მუშაობისას გაეცნო და დაუმეგობრდა ახალ ადამიანებს, ძირითადად, რკინიგზის მუშაკებსა და მოსამსახურეებს. ურთიერთობდა მათთან სამსახურის შემდეგაც, ხშირად ხატავდა. ჩვენამდე მოაღწია „რკინიგზელის პორტრეტმა“ (მიშა მეტეხელი). მოგონებებითაა ცნობილი „ორი მეგობრის პორტრეტი – რკინიგზელი მუშები“, რომელიც ეკიდა სატრაქტირო დაწესებულება „ვარიაგში“, და რკინიგზის უფროსის, ვინმე ყიფიანის, პორტრეტი.

სატვირთო ვაგონის სამუხრუჭე ბაქნიდან ფიროსმანიშვილმა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხე იხილა – ბათუმი, მიხაილოვო (ხაშური), ელიზავეტოპოლი (განჯა)... და ეს მის შემოქმედებაზეც აისახა. შემთხვევით როდი გამოჩნდა მთვარის შუქით მოფენილ დაბლობზე „კახეთის მატარებელი“.

არც ვაგზალი, არც ბაქანი, რელსებიც კი არ მოჩანს. უბრალოდ, მატარებელი დგას მინდორზე, ალაზნის ლენტი, დამეული მთები... მგზავრთა კონტურები ფანჯრებში. გლეხი რაღაც ნუგბარის გაყიდვას ჩქარობს.

„ბათუმი“ – სათამაშო ხომალდებით სავსე უბე, მთებზე მიხუტებული ქალაქი, გვირაბიდან მატარებელი გამოდის, ორთქლმავალი ქშინავს და კვამლს უშვებს... სადღაც, ტილოს მიღმა მიექანება, რელსები დროის მდინარებას მიჰყვება, გაიელვებს სადგურის ბაქნები და იცვლებიან მგზავრები...

გაჩერება. ვაგზლის ბუფეტში დიდებულის უტიფრობით ახალგაზრდა ოფიცერი იარაღს ისვრის. ვაგონის ფანჯარაში ნორჩი სატრფო მოჩანს, შიშით დაზაფრულ გულს ქვემოთ მის შვილს რომ ატარებს. საბედისწერო გასროლა. ოფიცერი უსულოდ ეცემა, უბედური დედა კი მშობიარობისას იღუპება. **„არ დაიდარდო“,** მკითხველო, – ბავშვი არ დაობლდება. მას აღზრდის და სწორ გზაზე დააყენებს სახელგანთქმული ექიმი ღლონტი, მეტსახელად – ბუბა.

სამტრედიის სადგური. მოხუცი ვარლამი მხარზე შემომჯდარი უცნაური ფრინველით ბაქანზე დაიარება. ჩიტი მილივით დაგრაგნილ ბარათებს იღებს, რომელთა საშუალებითაც შაურად გაიგებ საკუთარ ბედისწერას. მოხუცის ცოლი დასკინტლულ სარკინიგზო გზას ქლორით წმენდს. რკინიგზა მათ შიმშილით სიკვდილის საშუალებას არ აძლევს, ერთმანეთი უყვართ, ხოლო ჩიტი, დედაბრისთვის ფულს რომ იპარავს სახელმწიფო ბანკიდან და ციხეში მეგობრების გამო ხვდება, სიკვდილამდე მათი ერთგულია.

მატარებელი კი მიქრის და მიქრის... სამუხრუჭე ბაქანზე მოაჯირზე ჩამოყრდნობილი ფიროსმანი დგას. გორკი, რა თქმა უნდა, ორთქლმავლის მემანქანეებთან გადამჯდარა. შალიაპინი მარტო ზის და ვერცხლის ფინჯნიდან ჩაის მიირთმევს. გაბრიაძე და დანელია ქვების რახარუხით დომინოს თამაშობენ და რაღაცაზე ბაასობენ...

ერთ მშვენიერ დღეს მატარებელი (მგზავრები ვერცკი შეამჩნევენ!) გიგანტურ მოსახვევში ნარნარად მობრუნდება და ბათუმის გვირაბში გაუჩინარდება. გარკვეულ ხანს სიჩუმეს მამაკაცის ხმა დაარღვევს, **„ფაუსტის“** არიას რომ მღერის. შემდეგ სიმღერა სუბტროპიკებით გაჟღენთილ ჰაერში ჩაიკარგება. მასთან ერთად გაუჩინარდება მთელი სურათი. მის კვალდაკვალ კი ოდესმე ჩვენც გავქრებით და გავუჩინარდებით...

და მაინც, არაჩვეულებრივი ხალხი მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე!

მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

“ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი”

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ნოველებს მწერალ რაფიელ გელანტიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

სოხუმის საძმოს ბიჭები

სოხუმი ძმობის და სიყვარულის ქალაქი იყო. სოხუმის საძმოში შეურაცხყოფად მიაჩნდათ ვინმეს ეთნიკური ნიშნით ხსენება. ასეთი უხამსობა მიანიშნებდა მის არასოხუმელობას.

საძმო რჩეული სოხუმელი ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფს აერთიანებდა, რომლებიც აგრძელებდნენ წინა თაობების დაუწერელ კოდექსს – **შენი ქალაქი შენი ციხე-სიმაგრეა, მისი ყველა მცხოვრები შენი ახლობელი.**

საძმოში ხელმძღვანელს არ ირჩევდნენ. ლიდერი თავისი სიტყვის პატრონი და საქმის გამკეთებელი ახალგაზრდა იყო, სამართლიანი, დაჩაგრულთა მფარველი.

საძმოს ნაცნობები, მეგობრები, თანამზრახველები ჰყავდა აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში, აფხაზეთს გარეთ.

საძმო პოლიტიკაში არ ერეოდა, მილიციასთან კონფლიქტში არ შედიოდა. წესრიგის დამცველებიც მათ ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ, როგორც წესი, ლიდერთა თხოვნას ანგარიშს უწევდნენ.

საძმოს ავტორიტეტი და მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა აფხაზეთის ხელისუფლებაში ეროვნული ნიშნით ბზარის გაჩენის კვალობაზე. მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობის შიშით საძმოს უერთდებოდნენ ადამიანები რომელთა ეთნიკური წარმოშობა იმჟამად საბჭოურ პასპორტში ჩანაწერს არ სცილდებოდა.

საძმო შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს ქალაქში განვითარებულ მოვლენებს: პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით ჩატარებულ მიტინგებს, დაპირისპირების გამწვავების მცდელობას, ქართველთა შორის განხეთქილებას, რაც ცხადია, ქალაქის მოსახლეობის უმეტესობისთვის მიუღებელი იყო.

1989 წლის 17 ივლისს, სადამოს, **„ამრაში“** ქალაქის საძმოს ოცდაათამდე ლიდერი შეიკრიბა. 15-16 ივლისს, აფხაზეთში მომხდარი სისხლისღვრა დასასრულის დასაწყისად მიიჩნიეს, დაღუპულთა სახსენებელი წარმოთქვეს და მოქმედების გეგმა დასახეს. შეკრების წინამძღოლს, ქართველ ჯემალს, მოუწია ეხსენებინა საძმოს წევრთა ეთნიკური დაყოფის დაუშვებლობა, და შემოეტანა საძმოს ლიდერთა არაფორმალური სათათბიროს არჩევის წინადადება.

სათათბიროში ხუთი სოხუმელი შევიდა: აფხაზი სერგი, სომეხი რაფიკი, ბერძენი დიმა, რუსი საშა და ქართველი ჯემალი. გადაწყდა ჩარეულიყვნენ ქალაქის მოსახლეობაში გაჩენილ გაუგებრობათა მოგვარებაში, ტრადიციული ერთობის გადარჩენაში. საჭიროდ მიიჩნიეს საჯარო პოლიტიკისგან თავშეკავება, მაგრამ დამის შეხვედრების მოწყობა ყველასთან, ვისაც გავლენა ჰქონდა სოხუმში, მიუხედავად მათი პოზიციის, ხელისუფლებაში თანამდებობისა და ეროვნების; გამოიკვეთა ოპერატიული სამოქმედო მიზანი: მტრად ქცეულთა შერიგება ჯვარზე დაფიცებით, ეროვნული ნიშნით დაპირისპირების შეჩერება, კონფორმისტთა და შეკვეთილ პროვოკატორთა მხილება.

როცა საკმაოდ ნასვამი სათათბიროს წევრები იშლებოდნენ, თვალში ვერ უყურებდნენ ერთმანეთს, თითქოსდა თითოეულ მათგანს განსხვავებული ცხვირი, თვალი, თმა, ჩაცმა, ხმა და თავისებური აქცენტი ჰქონდა, რაც ადრე არ შეუმჩნევიათ.

სოხუმის საძმო მუშაობას შეუდგა. ქალაქი დაწყნარდა, რამდენიმე თვეში მინელდა დია მუქარა ნაციონალური ნიშნით, აგრესიული მიტინგები, თუმცა სათათბიროსთვის საიდუმლო არ იყო რომ, ყოველივე ეს დროებითი იყო, რადგან უხილავ, უსახელო, მაგრამ ძლევამოსილ რეჟისორს სულ სხვა სცენარი ჰქონდა დაწერილი.

ცოფის ვირუსი ფართოდ ვრცელდებოდა აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში. ქალაქში მომრავლდნენ მანამდე უჩინარი და უცნობი ახალი ლიდერები, ე. წ. სახალხო წინამძღოლები, გააქტიურდნენ ემოციური ქალები, რომლებიც ადვილად ახერხებდნენ უბრალო ადამიანთა გონების პარალიზებას, თუთიყუშის ლექსიკონის დამკვიდრებას. საძმოს ბიჭებმა, შესანიშნავად იცოდნენ ბევრი მათგანის წარსული, მაგრამ მათი საჯარო მხილება მეტად რთული იყო, რადგანაც სტიქიად ქცეული ბრმა და ყრუ მასა მესიას ეძებდა და სასწაულების დაჯერება სურდა. დადიოდა ხმები, რომ სოხუმში, და მთლიანად აფხაზეთში, უამრავი **„სპეცი“** საქმიანობდა, რომლებიც უხვად არიგებდნენ ფულსა და დაპირებებს. ვრცელდებოდა ჭორი, თითქოსდა მრავალ კრიმინალს, საიდუმლო დავალებით, ციხის კარებიც გაუღეს თურმე.

საძმოს წევრები დღე და ღამე იმყოფებოდნენ სოხუმის უბნებში, რაიონულ ცენტრებში, ხალხს აფრთხილებდნენ შესაძლო საფრთხის შესახებ.

სათათბიროს წევრებმა გუდაუთაში პირველად იგრძნეს სერიოზული აგრესია მათ მიმართ, განსაკუთრებით **„მოხვდათ“** სერგის და ჯემალს, პირველს მოღალატე უძახეს, მეორეს – საზიზღარი ქართველი, სტუმრებს ვახშამიც არ შესთავაზეს, რაც ადრე არასდროს მომხდარა. დარწმუნდნენ, რომ გუდაუთაში **„აიდგილარას“** კარგად ემუშავა.

საძმო ცივად მიიღეს გულრიფშის სომხურ სოფლებშიც. მხარდამჭერები დუმდნენ, კრუნკისტებმა კი საკმაოდ გაბედულად შეუტიეს ქართველებს. ხელწერა იგივე იყო, რაც გუდაუთაში, მაგრამ ნაკლებ აგრესიული. საუბარი მაინც შედგა, ასაკოვანმა სომხებმა საქმიანობა მოუწონეს ბიჭებს, თანადგომა აღუთქვეს.

ოჩამჩირეში საძმომ რაიონის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთსულოვნება ნახა. აქ ფიციც დადეს, რომ აფხაზები და ქართველები არ აიღებდნენ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ. გვიან დამთავრდა ჩვეული სიყვარულით აღსავსე სუფრა.

აფხაზეთის პარლამენტის 1991 წლის არჩევნებმა გარკვეული დროით გადადო მოსახლეობასა და ელიტაში უკვე გამოკვეთილი დაპირისპირება. პარადოქსი ის იყო, რომ აფხაზები აშკარად ერთსულოვანი იყვნენ, ვიდრე ქართველები.

საძმომაც გადაწყვიტა დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას, ტაქტიკაც შეცვალა: შეეცადა კონტაქტებზე გასულიყო აფხაზეთის პარლამენტის ახლად არჩეულ წევრებთან, გაეგო მათი მოტივაცია და პოზიცია. ბევრი საინტერესო შეხვედრა შედგა, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ცალკეულმა ქართველმა და აფხაზმა ლიდერებმა მათ უსაქმური ქუჩის ბიჭები უძახეს, რის გამოც რიგი მათგანი. მალე ქუჩის ბიჭების მიერ ქალაქგარეთ გამართულ ვიწრო შეხვედრაზე აღმოჩნდა და ბოდიშებით დატოვა იქაურობა.

ჯემალს მეგობრებმა მოსკოვიდან შეატყობინეს რომ მალე აფხაზეთში ხიდები აფეთქდებოდა, რკინიგზის ვაგონები გაიძარცვებოდა, გაფიცვების ახალი ტალღა დაიწყებოდა, პოლიტიკურ ელიტაში მწვავე განხეთქილება მოხდებოდა. ამასთან დაკავშირებით საძმომ ნახევრად ოფიციალური დელეგაცია მიავლინა პარლამენტის ქართველ, აფხაზ, სომეხ, რუს წევრებთან, პოლიტიკური თანამდებობის პირებთან.

ამჯერად უფრო ყურადღებით მოუსმინეს.

1992 წლის იანვრიდან ვითარება უკიდურესად დაიძაბა საქართველოში. აფხაზეთში ფეთქდებოდა ხიდები, იძარცვებოდა რკინიგზის ვაგონები, ელექტროსადენები, საწარმოები და დაწესებულებები, ჩვეულებად იქცა ადამიანთა გატაცება, გაიხლიჩა აფხაზეთის პარლამენტი. ავტონომიის რეალური ხელისუფალი უზენაესი საბჭოს აფხაზური პრეზიდიუმი გახდა.

კვლავ აგორდა მიტინგებისა და საპროტესტო გამოსვლების ტალღა, პოლიტიკური ნიშნით დაქუცმაცდა აფხაზეთის ქართველობა, რასაც გარეგნულად მშვიდად შესცქეროდა, მაგრამ ფარულად ახალისებდა აფხაზური ხელმძღვანელობა.

სოხუმელთა ჩვეულ ერთობას წყალი შეუდგა, მტრის მიზანი თითქმის მიღწეული იყო.

კვლავ დაფაცურდნენ საძმოს ბიჭები, დღედამეში რამდენიმე შეხვედრას აწყობდნენ ქართველებთან, აფხაზებთან, რუსებთან, სომხებთან. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს არავინ არაფერი იცოდა, არავითარი მოქმედების გეგმა არ არსებობდა, ყველა რაღაცის მოლოდინში იყო.

საძმოს ლიდერთა ოჯახებში მუქარის ზარები გაისმა. საძმოს ზოგიერთ წევრსაც დაეტყო გულგატეხილობა, იმატა პასიურობამ. ამ მოვლენას ახსნა ჰქონდა, ზოგიერთ ქართულ და შერეულ ოჯახში ცოლ-ქმარი, შვილები განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, საკუთარი აზრის გამოთქმა საშიში გახდა.

სომხები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, როგორც წესი, გაჩუმდნენ, დროს დაელოდნენ. დრო და მოვლენები კი უფსკრულში მიაქანებდა აფხაზეთს, საყოველთაო ამნეზია სუფევდა ყველგან და ყველაფერში.

შეძრწუნებულმა საძმომ უკვე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა სცადა, ცალ-ცალკე შეხვდა აფხაზ და ქართველ პოლიტიკოსთა ელიტას, არაფორმალ ლიდერებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, შავი სამყაროს ავტორიტეტებს და ჩიხიდან გამოსასვლელად აფხაზეთის პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარება შესთავაზა. ეს უკვე არავის სჭირდებოდა.

ივლისის შუა რიცხვებში გუდაუთიდან მომავალი სერგი, ავტომანქანით ხრამში გადაიჩეხა-წინ მიმავალმა მძიმე სამხედრო ავტომანქანამ მოულოდნელად დაამუხრუჭა და სერგის არჩევანი არ დაუტოვა. მის გასვენებაში ათასამდე კაცი შეიკრიბა, უპირატესად ქართველი ახალგაზრდები. სახელდახელო მიტინგზე ქუჩის მეგობრების სახელით სიტყვით ჯემალი გამოვიდა და აფხაზი მეგობრის მკერდზე ხელდადებულმა დაიფიცა, რომ სერგის მეგობრები შურს იძიებდნენ აფხაზეთის მტრებზე.

21 ივლისს, სოფელ არადუსთან, ოჩამჩირედან მომავალ საძმოს ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნეს, მანქანა ხეს შეასკდა. ჯემალი, დიმა და რაფიკი დაზიანდნენ. უცნობმა პირებმა ისინი სოხუმში გადაიყვანეს. ახლობლების და საძმოს მეგობარ ექიმთა რჩევით რაფიკი საოპერაციოდ ერევანში, დიმა კი ათენში გადააფრინეს. ბარძაყდამსხვრეული ჯემალი სოხუმში დარჩა. ჯემალის დაჟინებული მოთხოვნით შეთხელებულ საძმოს სათავეში საშა ჩაუდგა.

14 აგვისტოს ძმათამკვლელი ომი დაიწყო. იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს პოლიციის და გვარდიის ნაწილები წითელ ხიდს მოადგნენ და იქვე შეჩერდნენ. ვლადისლავ არძინბამ საომარი მდგომარეობა და საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. იგი გუდაუთაში გადავიდა. ომის შეთანხმებისთვის ერთკვირიანი პაუზა საკმარისი არ აღმოჩნდა. ქალაქიდან დაიწყო არაქართველი მოსახლეობის, უპირატესად, აფხაზების გასვლა.

საძმოს ასამდე წევრი საავადმყოფოს ეზოში შეიკრიბა. ჯემალმა საკაციდან მიმართა მათ და სამი ამოცანა დაუსახა: არ მიეღოთ მონაწილეობა ძმათამკვლელ ომში; მისულიყვნენ ყველა არაქართველის ოჯახში და ეთხოვათ, რომ არ დაეტოვებინათ სოხუმი, საკუთარი ეზო-კარი; ყველაფერი გაეკეთებინათ უბედურებაში ჩავარდნილი მოსახლეობის დასაცავად.

სოხუმში ბევრი აფხაზი, სომეხი, რუსი, ებრაელი, ბერძენი დარჩა. საძმოს ბიჭებმა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად მორიგეობა დააწესეს...

ოქტომბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ საშა გაგრის სტადიონზე დახვრიტეს. საშა გაგრაში ჩასულა დაობლებული ძმისშვილების სოხუმში გამოსაყვანად.

ჯემალი სამუდამოდ დაკოჭლდა. ცხადი იყო, რომ ომის მანქანის შეჩერება საძმოს ძალებს აღემატებოდა.

ჯემალი ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მოხალისედ ჩაეწერა და ქალაქის მოსახლეობისთვის გამოგზავნილი პურის ფქვილის გადმოტვირთვაზე აგებდა პასუხს. იგი კვლავ რჩებოდა საძმოს იმ წევრების ლიდერად, რომლებიც ქალაქის დამცველ-მოხალისეთა რიგებში ჩადგნენ. დიმა საბერძნეთში დარჩა, რაფიკმა, მარჯვენა ზედა კიდურების ამპუტაციის გამო, სოხუმში დაბრუნებას თავი აარიდა, მეომარ ქალაქში ზედმეტ ტვირთად ჩათვალა თავი.

16 მარტს, ღამის 2 საათზე, ჯემალს აცნობეს მდინარე გუმისთაზე რუსეთის სპეცრაზმებისა და ვოლონტერების მიერ ქართველთა პოზიციებზე დიდი ძალებით შემოტევის შესახებ. მან უმალ მოუყარა თავი ოცამდე საძმოელს და გამთენიისას შეთხელებული ქართველი მებრძოლების რიგებში ჩადგა. იგი სიკვდილს ეძებდა: სანგარში ჩასვლა იუკადრისა, მთელი ტანით წამომართული მჭიდს მჭიდზე ცლიდა.

დილით სოხუმის დამცველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ.

გაწმენდის ოპერაციების დროს ჯემალის დაფლეთილი სხეული მეგობრებმა იმ ქურთუკით ამოიცნეს, რომელიც მას განსაკუთრებით მოსწონდა და საზეიმო შეხვედრებზე იცვამდა.

31 მარტს მას 25 წელი შეუსრულდებოდა. ოჯახი არ შეუქმნია.

ჯემალის დედა, ობლად გაზრდილი ერთადერთი შვილის დარდს გადაჰყვა.

სოხუმელთა საძმოს უმეტესობა დაიღუპა. ზოგმა აფხაზეთში ჰპოვა სამარე, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიებს შეემატა. ნაწილის გულმა დევნილის მძიმე ხვედრს ვერ გაუძლო და ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

დაიკარგა სოხუმი და მასთან ერთად ქალაქის უთანამდებებო ბიჭები, რომელთა მთავარი მოწოდება მხოლოდ სოხუმელის სახელი იყო.

რაფიელ გელანტია
თბილისი-სენაკი,
27 სექტემბერი, 1998 წ.



გული – სოხუმის სამკვიდრებელი

სოხუმი განსაკუთრებული სილამაზის ქალაქი იყო და არის. ამაზე ორი აზრი არავის აქვს. მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც ამ, თავისი არსებობის განმავლობაში მუდმივად მრავალეროვნული, ქალაქის ისტორიაში მისი მოსახლეობის მეგობრული, ფაქიზი ურთიერთ-დამოკიდებულება იყო.

მართლაც, მის ყავა თუ ჩაიხანებში, ძველთუძველესი დიოსკურიისა არ იყოს (როდესაც იქ **"მილეთის ხალხი ირეოდა"**), რა ენაზე არ გაიგონებდით საუბარს – ქართულად, აფხაზურად, რუსულად, ბერძნულად, სომხურად, უკრაინულად, ოსურად, ესტონურად...

ყველაზე ხშირად კი, მაინც თავის ცნობილ **"ბრეხალოვკაში" ("სალაყბოში")** მეტყველებდა სხვადასხვა ენაზე ქალაქი. საერთოდ, **"ბრეხალოვკა"** სოხუმის **"სანაპიროს პარლამენტი"** გახლდათ. გამორჩეული იყო **"ბრეხალოვკას"** დემოკრატია – ვის არ ნახავდით აქ: პროფესორებსა და მძღოლებს, ჩინოვნიკებსა და პორტის მტვირთავებს, ინჟინრებსა და მუშებს, მხატვრებსა და მწერლებს, სტუდენტებსა და ფოტოგრაფებს... მოკლედ, იმ ადამიანებს, რომლებიც წლების, უფრო ზუსტად, საუკუნეების განმავლობაში ძირძველ სოხუმელთა კასტას ქმნიდნენ. სოხუმელი – ეს ერთი სიტყვა აერთიანებდა სხვადასხვა ეროვნების ქალაქელს და ისინიც ამაყობდნენ ამ განსაკუთრებულობით.

იკრიბებოდნენ სოხუმელები, ასევე, ცნობილ **"ამრაში", "აფრაში", "კუკურჩაიში", "პინგვინში", "ინტურისტთან", "დიოსკურიაში", "უ აკოფა"**... სხვაგანაც.

მიირთმევდნენ ყავას, ჩაის, თამაშობდნენ ჭადრაკსა და დომინოს, და თან რაზე არ საუბრობდნენ, რაზე არ კამათობდნენ თავიანთ **"პარლამენტში"**: პოლიტიკაზე, ფეხბურთზე, ამინდზე, ცხელ-ცხელ ამბებზე, იგონებდნენ და ყვებოდნენ ანეკდოტებს სომხებსა და სხვებზე.

ყოველ ქალაქს თავისი ხასიათი და ენა აქვს. სოხუმსაც! ის, ვინც მისი ენა და ხასიათი არ იცოდა, უჭირდა ქალაქთან ურთიერთობა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომ ორივეს სწრაფად ითვისებდა და ლაღად ურთიერთობდა ამ, დამსვენებელთა საკურორტო-საზეიმო განწყობის წყალობით ნათელი აურის მქონე, საქმიან ქალაქთან.

ზაფხულში დამსვენებელთა რაოდენობა ადგილობრივთა რაოდენობას ბევრად აღემატებოდა, მაგრამ სოხუმს არც ზამთარში აკლდა სტუმრები – აქ საშუალო წლიური ტემპერატურა +15 გრადუსია, ქალაქს ჩრდილოეთით ცივი ქარებისაგან კავკასიონის ქედი იცავს, ზღვაც თავის სითბოს უნაწილებს და ამიტომაც, ყოველგვარი სათბურის გარეშე, პირდაპირ ქუჩაში უხვად ხარობენ ფაქიზი სუბტროპიკული თუ ტროპიკული მცენარეები, გალობენ იშვიათი სახეობის ფრინველები, რომლებიც გასამრავლებლად აფხაზეთში ინდოეთიდან და აფრიკიდან მოფრინავენ, რადგანაც იქ შესაბამისი სითბოა და წვიმებიც ზომიერი იცის.

სოხუმის **"აბობოქრებულ სიმწვანეში"** (კონსტანტინე პაუსტოვსკის ფრაზაა) ჩაფლულა: რკინიგზის სადგური, პორტი, **"დიდი საათი"**, სასტუმროები – **"აფხაზეთი"** და **"რიწა"**, მაიმუნთსაშენი (ევროპაში სულ ორია), თამარ მეფის (იგივე ვენეციის) ხიდი, თეატრი, სამხატვრო გალერეები, მუზეუმები... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

მას, ვინც ერთხელ მაინც ნახა, რა თქმა უნდა, არასოდეს დაავიწყდება მისი ზღვის სილურჯე, ბოტანიკური ბაღი, სანაპირო, სოხუმის მთა, დენდროპარკი, პლაჟი, თეატრის წინ მდგარი გრიფონები, წითელი და თეთრი ხიდები, ბაგრატის ციხე-სიმაგრე, შუქურა...

ზღვის ხიბლის გამო ჩამოსულ დამსვენებელს ორი ანკარა მდინარეც იზიდავს: კელასური და გუმისთა (სოხუმი მათ შორისაა განლაგებული). ქალაქის შუაგულში მდინარე ბესლეთი ჩამოედინება და კიდევ პატარა ხაკიფსი **("სუხუმკა")**.

დიოსკურიიდან მოყოლებული დღემდე, მითითა და რეალობით დამუხტული კულტურათა კვეთის, უმნიშვნელოვანეს გზაგასაყარზე მდგომი ქალაქის გენეტიკური მახსოვრობა.

სოხუმელები თავიანთ ქალაქზე, როგორც ცოცხალ არსებაზე, ისე ლაპარაკობენ. ქალაქელების რბილი და თავისებური ხასიათი კი (არსებობს ასეთი ცნებაც – **"სოხუმური ხასიათი"**) მათი მშობლიური ქალაქის რბილი კლიმატით, უმშვენიერესი ფლორითა და ფაუნით, ლამაზი ნაგებობების ჰარმონიულობითაც არის განპირობებული.

მაგრამ სოხუმი, უპირველესად და ყოველთვის, ადამიანთა გულთბილი ურთიერთობის ქალაქი იყო. ამიტომაც, გარდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, მისი სამკვიდრებელი ნებისმიერი ეროვნების სოხუმელის, იმ სოხუმელის გულშია, რომელმაც სამუდამოდ შეიყვარა იგი და საკუთარი სულის ნაწილად გაიხადა.

გურამ ოდიშარია,
მწერალი

ცოტნე დადიანი

მეგრულ სიმღერებიდან თუ მეგრული მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც მოდიდდა.
იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან,
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?

მთვარის ყაბალახიანი, ღამის ნაბდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.

რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები მონღოლთა.
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!

– მაშ გაფრინდი, ბედაურო, გრძელფაფარა, კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა, არც ძილი,
ახრამუნე ჰორიზონტი, გადახუხე მანძილი.

ჩქარობს, ჩქარობს, ჩქარობს ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანის რაინდული გული.
* * *
ისევ ისმის თქარუნი და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ აჩრდილს.
მოჭენაობს, მოგელავს, თოხარიკით, ჩორთით,
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი.

ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად თქმული,
პატარა საქართველოს რაინდული გული.

შოთა ნიშნიანიძე

ომარ ხაიამი

ამ ქვეყნად გმართებს არ გადასცდე სიფრთხილის კიდეს,
მოსავალს შენსას ქვეყნად უნდა უჩუმრად მკიდე,
სანამ გაქვს ენა, ურები და თვალებიც გიჭრის,
უნდა დამუნჯდე, დაყრუვდე და დაბრმავდე კიდეც.

დღას ვეგნაჩირთა თე ქიანას სიფრთხილეშ კირდეს,
სქან მუნაწიშა, ქირგუქუდა, ხე ვემკირკიტე,
ოდო გიღუ ნინა, ყუჯეფი დო თოლით იბირდე,
ოკო დემუნჯე, დეყუნგე დო ყვერეთ გინირთე.
თარგმანი ბიორბი შენგელიასი

ნორჩი "ილორელების" ტრიბუნა
"ოქროს პერგამენტის" ნომინანტები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა "ოქროს პერგამენტის" კონკურსი, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია.

მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებებს.

ირაკლი ქარდავა

მინდა, რომ რამე მოგიგონო, დავწერო ცუდი,
მაგრამ ტყუილიც კი კარგია შენზე ნაფიქრი,
სიზმარშიც ვეღარ მოგეკარე და მხოლოდ მსურდი,
ჯერ კიდევ ბევრი დამრჩენია შენზე საფიქრი.
მე მიყვარდა შენი ყურება, არა შეხება,
მაგრამ მშურს ქარის, რომ უბერავს და შენ გეხება.
მე გამაოცა ლამპიონმა, აქ რომ ანათებს,
წყვდიად ღამეში შენი სახე გამოანათებს.
შენზე თქვეს ალბათ – უხდებაო ამას ცხოვრება,
მე ყველა შენი მოძრაობა მემახსოვრება.
მე გამაოცა შენმა თმებმა, ზურგზე გაშლილმა,
არ მახსოვს, მაშინ რა გავაკეთე, აზრებაშლილმა.
მე გამაოცა თავის დახრამ და სიარულმა,
თვალების ნაზად ამოხედვამ, თანაც ფარულმა.
შენმა თითებმა გამაოცეს, ქვას რომ ეხები,
ქვამ გამაოცა, რომ დნებოდა შენი შეხებით.
მე წამწამებმა გამაოცეს ნაზი ხამხამით,
მე შენი სახე მოჩვენებად მექცა ღამ-ღამით.
შენი ტკბილი ხმა მაოცებდა, გისმენდი როცა,
ერთადერთი ხარ, ასე ძლიერ ვინც გამაოცა.
ერთხელ გაკოცებ, მხოლოდ ერთხელ ჩაგეხუტები
და მერე თუნდაც სამუდამოდ გაგებუტები,
ისევ და ისევ გაოცებული დავრჩები შენით,
გული მკარნახობს სიტყვებს, მაგრამ ვერ ვამბობ ენით.
მე შენ მაოცებ და ვეღარ ვმალავ ამ გაოცებას,
ფრთები შეისხას, ნუ დამიშლი ამგვარ ოცნებას.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, **ბატონ გივი ბოჯგუას** მიერ შედგენილი წიგნიდან **"მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი".**

ქორძირუნქინი, გური მაჭუ

ქორძირუნქინი, გური მაჭუ,
ვარძირუნქინი – უფურაში.
შურ(ი) დო გურით ვიჭუუქი,
მუდა დრაშა ვორდა თაში?
ჩქიმი გური სქანწკუმა რე,
სქანი გური შხვაწკუმა რე,
ჩქიმ დო სქანი გოჯოგაფა
ნტერიშ(ი) აკუნაწყ(უ)ა რე.
ჩქიმი გური თეში იჭუ,
ობედი ვაჭვე საკვეცის,
ჩქიმი გური თეშ მიკობუ,
მუჭოთი ჩხომი ანკესის.
ბედინერო დუს ვორწყედი,
თურმე მიჭოფუნო ჭირი,
სქანი ნათხორა სამარეს
კისერიშა გობძუ კირი.
მეურქია, შიივტყვი დო
მუშ იმედის დომიჩინანქ,
თი ზომაშა ქომიყორქი,
გურსუ ჭლექის გომირჩქინანქ.
სერით ლურსუ ვამარძენს,
სიზიმარი მაფოცეწნსი,
ჩქიმი დო სქანი ყოროფა
ღურადღაშახ ვაკოცენსი.
ხეს მიკებუნი – ვარდი რე,
გურსუ მიღუნი – დარდი რე,
ჩქიმ დო სქანი ართო რინი,
ნანა, მუჭომი მარდი რე!

ბადიდი

ბადიდ – ყებურს,
თუნთი გოლას,
ჩქიმ დაჩხირი –
ჩე გოთანას

რომ დაგინახავ, გული მტკივა

რომ დაგინახავ, გული მტკივა
რომ არ გნახავ – უარესი.
სულითა და გულით ვიწვი,
სანამ (რა დღემდე) ვიყო ასე?
ჩემი გული შენთანაა,
ჩემი და შენი შეძულება
მტრის მოწყობილია.
ჩემი გული ისე იწვის,
აბედს ვერ დაწვავს კვესი,
ჩემი გული ისე ჰკიდია,
როგორც თევზი ანკესზე.
ბედნიერად თავს ვთვლიდი (ვხედავდი),
თურმე დამიჭერია ჭირი,
შენს მიერ გათხრილ საფლავში
ყელამდე მაკრავს კირი.
მოვდივარო, შევიტყვე და
რა იმედს დამიბარებ
იმ ზომამდე მიყვარხარ,
გულში ჭლექს გამიჩენ..
ღამე ძილს არ მაძლევს,
სიზმარი მაკრთობს,
ჩემი და შენი სიყვარული
სიკვდილამდე არ დაირღვევა.
ხელში რომ მიჭირავს – ვარდია,
გულში რომ მაქვს – დარდია,
ჩემი და შენი ერთად ყოფნა,
დედა, რა მადლია!

ბერიკაცი..

ბერიკაცი კერიასთან,
დათვი მთაში,
ჩემი ცეცხლი –
(თეთრი) განთიადისას.

„ყ ა ს ტ ო ჭ ყ ა ლ ი“

ბორჯი პირველი

ამას წინათ ჩემს ძუძუმტესთან საუბარში გავარკვევ მთავარზე უმთავრესს — დღესაც პირველი განცდის ტყვეა თურმე, დღესაც პირველი შთაბეჭდილება თანგავს. ჩემი სული კი ათასმეერთე დონესთან შეჩერებულა და წუთისოფელი თავისი კანონზომიერებით მიაგრიალებს ირგვლივეთს კვლავაც ზემორე თუ ქვენა, მარცხნივ თუ მარჯვნივ, შიგნით თუ გარეთ, თუმცა ამ ფერმჭვირვალობის უკუმიქცევა უკვე არარას ძალუძს, აღარც — მატერიალიზმს და მით უფრო — მეუფეს ჩვენსას.

მიუტაცნიხარ საწუთროს ოღროჩოღროებს, მიუტაცნიხარ ქვეყნიერების უმართავ მდინარებას.

გაბედითებული ვნებები თუ უსამანო წრიალი ხან თიხაში გადაგაქვს, ხანაც — ტიღოსა და ქაღალდზე, მაგრამ მათი დატყვევება მესამედითაც ვერ ხერხდება გარდახდილთან, არსებულთან შედარებით და სევდიანი ღიმილით ეალერსები შენს დაუდგრომელ ბიჭუკელას — მოდერნისტულ მეობას, შენსას — კოკას, რომელსაც რამდენიმე წელიწადში უცილობლად ესტუმრება ეს მოურჩენელი ცოდვა-მადლი ბუნებისა.

ჰოდა, ყველაფერი გინდა იღონო, რათა მისთანებმა მაინც შეძლონ შემმუსვრელი განცდების მართვა, მათი დაურვება — შეუთავსებელთა შეთავსება.

დიახაც, ყველაფერი უნდა მოიმოქმედო ამ თორმეტი წლის ონავრების სულიერი წონასწორობის აღსადგენად. კბილიდან ოფლის გამოდენანიც ვერ თოკავს ხოლმე მოზღვავებულ ემოციათა რემას; ვერც — ბურთის ბაწარაღებით დევნა, ვეღარც — ცეკვა-თამაში, ლახტი, ვერანაირი ფიზიკური დატვირთვა გადაფარავს თორმეტი წლის მალხაზის ღრუბლიან ამოოხვრას, რომელიც სამყაროს წარღვნის ტოლფასია პროპორციათა გათვალისწინებით, ოდეს სანუკვარ მტრედს მოშინაურებული ძერა დაპატრონებია. ხოლო მე ვამბობდი და ვიმეორებ:

ჰეი, თქვენ, ბიწიერთა კასტავ, თავად მემრუშენო და მესმურენო, სხვათათვის ურცხვად რომ ჭედავთ სიწმინდის არტახებს, უკაცრიელ ნაპირზე დასტოვეთ პატარა ბიჭი და გოგო, დანარჩენი ყველა წამოდით-მეთქი, ვახტანგ ხარჩილავასებურად, ყველა უკლებლივ, მოკეთე-მოყვარეცა და გარმიანელიც, თავიანთი ცნობისწადილა ამალითურთ, ყველანი წამოდით-მეთქი! ისინი თავად მიხედავენ მშობლიურ სატკივრებს. განაღა ავხორცობის მორევში გადაეშვებიან! ერთმანეთის გამონათება-სიკამკამით დაიმწყურვალებენ დაშაშრულ ბაგეებს და არც რამ მწიკვლის ტალღები წალეკავენ. მიუშვით ნებაზე-მეთქი პატარა ბიჭი და გოგო. აფავებული ატმის დაღალულმა რტოებმა, დაე, იმთავითვე იგრძნონ მაცოცხლებელი მანათობლის მოახლოება, რათა ნაადრევად გამოტყუებული პეული — ფთილა მრისხანე გრიგალის ამოვარდნამდე დასტკბეს სამყაროს იდუმალი მშვენიერებით. დასტოვეთ მდინარის პირას პატარა ბიჭი და გოგო-მეთქი, ერთმანეთის ნუგეშად, ერთმანეთის ციხე-გოდოლად, ერთმანეთის უღლის შემამსუბუქებლად, ხვალ-ზეგ უბატონო ქედზე რომ დაედგმებათ წუთისოფლისგან, თუმცა ამისთანა შემთხვევაში მათი გულებიდან ნაკლებად აღმოსკდება ოხვრა-ჩივილი საწუთროს უკუღმართობაზე: სასურველთან ყოფნა გააცამტვერებს ყოველგვარ საკვნესელს და სამარემდე ასე ხელიხელჩაჭიდებულნი ივლიან ერთმანეთის სურვილითა და წადილით მთვრალი დაფნისი და ქლოა.

სუფრა შუაღამემდე გასტანს. გატრეტილი, ფეხარეული ნადი უკვე ლოგინს მინებებია. სძინავს ყველას, ძმის გამქირდავ სილოვანს თუ ნაპო ბიძიას ქომაგ თამშუქ მარღანიას; სძინავთ ყრუ-მუნჯ დებს, ცუცას და ლუბაშას. წყალიც კი მითვლემს წამით. მხოლოდ ჩვენ ორს გვღვიძავს დუნიაზე, ძუძუმტეს მამას და ჩემში ნაადრევად ამოზიდულ სულს შემოქმედისას. გინესის წიგნის საკადრისი ნაპო ბიძიას ფილტვები კი კვლავინდებურად მიფინთიხებს ძილქუშს. დარწმუნებული ვარ, ხვალ ვერავინ მოიცლის ხარის კუდზე გადამტვრეული საქმის დასასრულებლად. ნაბახუსევ თავებს ვერ წამოსწევენ. მერე საკუთარი ყანების აღების დროჟამიც დადგება. გადაებმება ქორწილს — ქელეხი და უკვე სისხამზე მივიჩქარი ეთერ დეის სამოსახლოსკენ, მაგრამ იქ ფუჩეჩის ნატამალს ვერსად პოულობს გაფაციცებული მზერა. როგორც ჩანს, შემოუთენებიათ თურმე და მოსავალი სრულფასოვნად დაუბინავებიათ. სიხარულის ცრემლი მეყლაპება. კუდის ქიცინით მომაცილებს კავკასიური ნაგაზი. აღმოსავლეთს ჯიღასავით დაადგება თავზე ყირმიზი მანათობელი.

ბორჯი მეორე

ახლა, რადგანაც თემშარაზე გამოვსულვართ, ბარემ მივყვეთ მას სოფლის ცენტრის მიმართულებით.

გზა მოხრეშილია და სქელი მტვრით დაფარული.

ჩვენი სამოსახლოს პირდაპირ ვაჰანიები ცხოვრობდნენ მუჭა ფიცრულში. უფროსები ბუნდად შემომრჩენია. მეხსიერება განსაკუთრებით მათ რძალ ნარგიზას და ბაჩუკას შემოინახავს.

ძუძუმტე მობანღვალდება ჩვენთან. მესერს ზემოთ გამტვერილი წყავი ღუის. სკოლის მოსწავლეები ამტვრევენ უსულგულოდ და დედა თუ ილანდება სადმე ჰორიზონტზე, გარბიან კისრისტეხით.

— შემოდით, გარეცხეთ და ისე შეჭამეთო, — ყვირის გელენახე და მაინც გარბიან.

ბაჩუკას რვაწლედი კი დაუმთავრებია, მაგრამ ოთხჯერ თუ ხუთგზის ჩარჩენილა კლასიდან კლასში და სტაჟიანობის მხრივ ჯუმბერ გამისონია თუ შეედრება. ძვალმსხვილია. გამიგონია ლევანიას მინდორში ჭაკი ცხენების დევნაში სიქა ეცლებაო. მეღიმება ახლა მეგრელის გაოცებაზე კახეთში:

— შეხედე, თხა ხომ არ ჰგონია იმ ოხერსო, — უკვირს ძუკუს მიხოს ზოოფილია ვირთან მიმართებაში.

ასეა ამათი საქმეც.

გზისპირზე ლაკვატიებს, იგივე ტაღანას ვაბზრიალებთ მე და ჩემი ძუძუმტე. ღელეში სათამაშო წისქვილს ვაციბრუტებთ. ერთი ჯოხი მაღალი ძაბვის ელსადენს მოხვდება და ბაჩუკას ამფსონების ცხვირწინ დავარდება.

დაიხრება ვაჰანიების ვაჟა მის ასაღებად, მაგრამ ძუძუმტე იწივლებს:

— აცალე, ცოტა ხანს, ტოკი გაუვიდეს თორემ დორჩვარჩვალანსია, — დაგნაცრავსო და ბაჩუკაც ორი ნაბიჯით უკუდგება.

მივყვეთ ახლა გზას ძუძუმტეს შუკიდან.

კუთხეში ყრუ-მუნჯი დები სახლობენ. მათ მოსდევს ძეძვნარით დაბურდული, ვაჰანიებისგან შეძენილი ჩვენი სათადარიგო სამოსახლო. შემდეგ მამია რატიას თხილნარია, წნული ღობით შემოკავებული. მერე ისევ შუკაა მარო ღურწკაიხეს ბიჭების საცხოვრისებით დაგვირგვინებული.

მამია რატიას ეზო-კარი ტრიფოლიატით შემორაგვულა. ბოკონებზე შეყენებული ოდა უდგას. ყველაფერი ბლაგვია მათსას. ეზოში გაფაშფაშებული ნამყენი თუთა აგვისტოს მიწურულს უცილობლად გაიჩხოტება, ვინაიდან წარბმობზაკუნე ბუბცა ხუფენხეს ორმოც გრამ აბრეშუმის ჭიას არაფერი ყოფნის კანში შესვლის შემდეგ. აქ უამრავი ბლის ხეა და მუხლმორყეული ჩექერი, ყალიონს რომ აფუტებს დღემოსწრება ჩაცვენილი კბილების ჩლოფინით.

რატიების ეზო გადატიტვლებულია, ვინაიდან აქ განუწყვეტლივ იმართება შეჯიბრი ლახტში, კოტობანაში; დროშობაია და მგელობანა ხომ ზედგამოჭრილია გატკიცინებული მიწის ზედაპირისთვის.

მამიას ეზოს გვერდით საარვისო მინდორია, სიღრმეში კი — ტყე, სადაც **„დრახობანას“** ვთამაშობთ ხოლმე ნაშუადღევს თუ ბინდისპირზე.

ამ ტყეს მალე გაკაფავს ნოდარ გამსახურდია და დაეფუძნება კიდეც მისიანების გარემოცვაში.

მინდორს არლენ ელიავა ემეზობლება. მათი იზოლდა ჩემი კბილაა, დედასავით ჯეირანი. სოსო — ძუძუმტეს კბილაა, თამაზს ჯერ სათვალავში არ ვაგდებთ.

მერე იწყება დაღვარკნილი მავთულბადით შემოკავებული სკოლის ტერიტორია. ათასჯერ გადაბელილი ჭადრების მწკრივი.

სტადიონი სანაქებო გვაქვს.

ფიზიკურ აღზრდას სამი პიროვნება უდგას სათავეში: ჩამოსიძებული, პირმრგვალი ილიკო ცეკვაშვილი, ღაჟღაჟა, ქალების მუსუსი აჩქარა ზანთარაია და სკოლის მომმარაგებელი — შალიკო გუნჯუა.

ეს უკანასკნელი დაწყებით კლასებს მეურვეობს და რადგანაც ამ ასაკის ბავშვებისთვის დედაქართული ჯერაც ინდის ხურმაა, მათთვის გასაგები ენით ამეცადინებს.

— მამია რატიას ოჭკადრეს — კენ!

მიბრუნდებიან ბავშვები.

— არლენ ელიავას უბორნიას — კენ!

კვლავ შეციბრუტდებიან. გზა სკოლის ტერიტორიასთან სამად იყოფა.

ქუჩის კუთხესთან, ბეტონის ფილები, ფიჩორელებს მერხის მაგივრობას უწევს ავტობუსის გამოჩენამდე. გაგიდელები ფეხით მიტუსტუსებენ.

ნაძვის ხეების კორომი მეგონა ბჟინავას სამოსახლოს ესაზღვრება. გაჭირვების ტალკვესია სწორედ. ქორწილსა და ქელეხში ათი მამაკაცი ვერ შეცვლის. მაჯამსხვილია, ბოხხმიანი. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი თინა ჩემს პარალელურ კლასში სწავლობს, მათემატიკის ტრფიალია.

მეგონა ბჟინავას აივნის ტახტაზე უყვარს ძილი საღამოობით. შუადღისით იმდენად არა, მაგრამ მიმწუხრიდან რომ მისთვლემს და ხვრინვას ამოუშვებს, უმწიფარი ხილიც კი პანტაპუნტით ცვივა გარშემო.

ბჟინავების მოპირდაპირედ ყალიჩავების სამფლობელოა. ნაპო ბიძიასავით ისტორიის მასწავლებელია ჯოტო ყალიჩავა, ტანდაბალი, ვერცხლისწყალივით მოძრავი და ცალი, შუშის თვალით განმგმირავი ყალთაბანდობის შემთხვევაში.

სამხერხაოს, ალეს წისქვილს, ჩვენთვის კარგად ცნობილი საპარკო ემეზობლება. ცოტა იქით პაპაშვილების არემიდამოა. ოქროსფერთმიანი ჰერიკო გარმონის ჯადოქარია, ხოლო უმცროსი ედნერი ჩემი განუყრელი მეგობარი, პელეს მაისურით და ეუსებიოს დაუდგრომლობით.

დასახელებულ სივრცეს უპირისპირდება საკმაოდ ვრცელი ღელე, რომელშიც არეკლილი მთვარე სულგუნის ყველად მოეჩვენება ბედოვლათ ზანთარაიას და ისკუპებს კიდეც გაქანებულ ყიამეთში.

ღელეს მიმდებარე ტერიტორია სკოლის საკუთრებაა. ანჩაბაძეების წაგრძელებული, აივნიანი ოდასახლი დაწყებითი კლასის მოზარდთა საუფლოა. აქ მოსვლას ვერვინ დაასწრებს ჟორა რურუას და რუსულის ზემოთგაცნობილ მასწავლებელს, ტრიფონ ალფენიძეს — **„სი ძუიკის“, („შე ჟულიკო“)**.

მოვუბრუნდეთ ფიჩორის გადასახვევთან შექუჩებულ მგზავრებს და ნაძვის ხეების კორომს. მისი მოსაზღვე მამია რატიას სამჭედლოა, ცალკე მავთულხლართით შემოკავებული. ეზო მოფენილია რკინის ნაჭრებით. გახუნებული ნალები ცხვირჩამოშვებულნი მისცემიან ჟანგის მარწუხებს. დღე არ გავა სამჭედლოს ეზოში მშობიარე ქალივით ფეხებაჩაჩხული გათოკილი კამეჩები თუ ცხენები არ ქშინავდნენ ნალების ამოკვრის პროცესში. მამიას თანაშემწე ნოდარ ჭედია მეცხენე რაბოს ძმაა.

სიგარეტის მოსაკიდებლად მამია რატიასთან შეივლის დიდ-პატარა ნაპო ბიძიას გამოკლებით, რადგანაც ამ უკანასკნელს ტომრობით მოაქვს ასანთი შინ. სამჭედლოში პირდაპირ ნაღვერდლიდან უკიდებენ პაპიროსს, განსაკუთრებით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, გითოლენდიები და მესხიები, ზანთარაიები და საჯაიები, ჯოჯუები და ხუფენიები.

აჩქარა ზანთარაია ამათი დაუძინებელი მტერია. ანჩაბაძეების მეორე სახლში სოფლის მთავარი სკოლაა გამართული. კედლები მუხისაა, კარ-ფანჯრები — წაბლისა, დანით აჭრელებული და ათასჯერ გადაღებილ-გადმოღებილი. ნაგებობა დაბალ ძეკვენებზე — სვეტებზეა შეყენებული, სადაც ხვლიკებივით დაძვრებიან ზარის მოთამაშენი, ან ხელცთუნობის მიმდევარი კვიცები ღრიჭოიანი იატაკის ჭუჭრუტანებთან. აჩქარა ზანთარაია აქაც არ აყენებს **„შატალოზე“** წასულ ყოჩებს. ვისაც მოიხელთებს სამასწავლებლოსკენ გაიგდებს და მერე იქ ლაზათიანად დაამუშავებენ, მაგრამ სამჭედლოში მათ დასაკვებლად არაფრისდიდებით შემოიხედავს. ეს უკვე სულ სხვა ტერიტორიაა. მთავარია სკოლაში არ მოწიონ, არ იყომარბაზონ და მის ფარგლებს გარეთ — თუნდაც კისერი უტეხიათ.

სამჭედლოს სოფლის საწყობი ეკვრის საკმაოდ დიდრონი ტერიტორიით. აქ ინახავენ ბენზინს და სალიარს. აქ აყენია გაფუჭებული თუ ახალშეკეთებული **„ბელარუსები“, „დეტეები“, „პოლტარატონკები“** და **„კოლხიდები“**.

წაგრძელებული ფარდული ინახავს სასოფლოსამეურნეო ინვენტარს, სათადარიგო ნაწილებს, თესლსა და ჯანდაბა-დოზანას.

ფარღალალა წავიწროვებულ ნალიაში ზუსტად იმდენი სიმინდი ყრია ყოველ შემოდგომა, რამდენიც ნაპო ბიძიასთან გავარჩიეთ მთვარიანში.

ჭიშკართან ბუჯგი საჯაიას სამორიგეო ჯიხურია ზამთარ-ზაფხულ აბოლებული მილით. ბუჯგი ქოსაა, დამსკდარი ხელები აქვს და მეორე ცოლს ელოლიავება.

ჩამოვიწევით დაბლა და შოთა მარღანიას ქვითკირის კოპწია სახლი შემოგანათებს, სულმუდამ კირით შეთეთრებული. მისი მეუღლე ლიზიკო მკერავია და განუწყვეტელი გრუხუნია ყურთასმენისათვის.

გადმოინაცვლებ ცოტას და თამშუქის სამკვიდრობელი შეგრჩება ხელთ.

შემდგომ სილოვან ხუფენიას მამულია, მწყაზარი თუთურიას სადედოფლო. სხედან კიბეებზე მეზობლის ბავშვები და „ფურტს“ ეთამაშებიან. თუთურიას მოგება იოლი არ არის, რადგანაც ოთხი ვალეტით თოთხმეტჯერ ფურტავს. შეეკამათები და ჭინჭრით აგიჭრელებს წვივებს, თანაც მოპაექრეს თავად დაგაკრეფინებს იმ დამსუსხავ მცენარეს. თუკი მოიგუნება მოტვლეპილ მიწაზე დაგაფურთხებინებს და მადიანად მოგალოკვინებს. მაინც ვერ ელევი, მაინც მას ეტმასნები.

ერგასი მეტრის მოშორებით იაშა აშორტიას, ქანქანესას, ბაშმალებია და საადრეო ჩაყურჭებული მსხლის ხეები. აქ გაქანებული ნარდის თამაშია დავი-დავბასეთი. ამჯერად ენვერ შამუგია მოუხელთებია ქანქანესას და ჭის წყლით გაუტიკნია. წყალს იმ შემთხვევაში ეწაფები, როცა **„პრიმის“** ღერები შემოგაკლდება.

ათიოდე ნაბიჯი და არჩიკო შამუგიას საცხოვრისია, ცხენოსანი კაცის სიმაღლეზე აწეული, აგურისგან ამოშენებული სვეტებით. დაშლილი მანქანიდან ზანგელა სახეებს გამოჰყოფენ შიგადაშიგ ჯუმბერი და ზაური. ჯუმბერი ჯერაც არ გადაბარგებულა გალში, ხოლო ზაური დარჩელელ ბიგვავებს გაუზრდიათ, მაგრამ ტაოტის სიყვარული ძმებისგან მოსდგამს.

ჩვენს გამოჩინებას ყოველთვის მოვასწრებთ, უმჯობესია ელიავების საკრებულოს მივაპყროთ მზერა.

სამთვლიანი ოდა ცემენტის ოთხკუთხა სვეტებზეა შეყენებული. სევერიან ელიავა გვარიანი ხნის გამოგლოვილია. ალიოშა ზანთარაიას თხრილისკენ გაექცევა სატვირთო მანქანა, ბორტი გადაიხსნება და გადაცვივდება ხალხი. შვიდი თუ რვა ადამიანი დაიღუპება, მათ შორის — სევერიანიც. მისი მეუღლე, კლარა ნარმანხე, სამგზის შეეცდება თავის მოკვლას, სიცოცხლის მოსწრაფებას.

დილაბნელიდან შემიჩნდება მარი ჯალაღონხე, შეჭამე გეჩახილიაო.

გეჩახილია ნადუღში ჩაფშვნილი პურის შეჭამადია. ტოლჩა კამეჩის რძით, მუჭისსისხო ყველით და ორი ნაჭერი ხაჭაპურით გამაძღრიანებულს გეჩახილია რა ჭირად მენდომება? ჩამაცვემენ ახალუხებს და დავიძრებით ოტობაიასკენ.

გზის ნახევარს უმტკივნეულოდ გამოვივლით, მაგრამ თანდათან ცეროდენას სუნთქვა გამიხშირდება, მუხლები მიმტყუნებს.

— რაღაჩ შუშტად ვარ, — ვეუბნები ბებიას.

სუსტად ყოფნა შიმშილის ეკვივალენტურია და მარი ჯალაღონხეც სავალ ჯოხს მოიმარჯვებს დავარსკვლავებული ლეღვების მოსახელთებლად. გადავსანსლავ ერთ-ორს. ნახევარ კილომეტრში ისევ **„სუსტად“** ვხდები. ბოლოს:

— ჩქიმ გეჩახილია მოკო, — ამოვუშვებ ღრიალს.

კვლავ მისწვდება მარი ბებია ფინიკის ხეს, მაყლაპებს გაფცქვნილ ლეღვს და ამგვარი ზიგზაგებით ჩავაღწევთ ოტობაიაში.

ელიავების ჭიშკარი ფარღალალაა. შუა ეზოში გამოუტანიათ ხის საწოლი და ზედ ულვაშიანი სევერიანი ასვენია.

გასაღვიძებლად მივეჩქარი. გადაჯვარედინებულ ხელებზე ვეპოტინები. ზლუქუნებენ ნუგზარი და ზაური. თმაგაშლილ თინას და კლარას მეზობლის ქალები ძლივს აკავებენ.

— მოვედი შენი გუძუბა, — ვეტიტინები და დიდ-პატარა ქვითქვითებს.

ვიხსენებაივნის ტახტაზე მოკალათებული ქუსლიდან როგორ მაძრობს ჩარჩენილ ეკალს ქინძისთავით.

ელიავების ჯალაბს სადილობისას ვესტუმრები ხოლმე. იტყვის შემატებული კაცი: თუკი მოკვდება, გეჩახილია ვაჭამოთო და მეც მოწყვეტით დავეცემი იატაკზე. მომიტანენ პირთან რძეში ჩაფშვნილი ღომის ფაფას და დავახელ თვალებს. იქიდან მოყოლებული ყოველ შუა პურობაში აივანზე მოვადენ ხოლმე ბრაგვანს და მყისვე გეჩახილიას მომირბენინებენ.

მას აქეთ მრავალი კვირა გაირბენს. ჩაივლის ორმოცი, წლისთავი. გახუნდება სამგლოვიარო ქსოვილი ოდის სვეტებზე, კლარა ნარმანხე კი კვლავინდებურად მოსთქვამს აივნიდან. საათობით გრძელდება ქვრივის გლოვა. მომწვდება დატირების ხმა და გამოვეშურები ბედით დაჩაგრული ბიცოლასკენ. კალთაზე წავეპოტინები, ლოყაზე ვეფერები ხელებით, სავარცხელს ამოვაცლი ხალათის ჯიბიდან და ნაადრევად გადათეთრებულ თმას ვუვარცხნი. ვუყვები ზღაპრებს სამონადირეო ხასიათისას, რომლის მთავარი გმირები მე, ჩემი მომდევნო ძმა თენგიზი, ძუძუმტე და დეიდაშვილი ემელიანეა, იგივე ბესიკი.

ეს უკანასკნელი ლამარას მეორე ვაჟია სამესხიოდან, ჩვენი სამეურვეო მიზეზთა გამო.

კლარა ბიცოლას მკლავები ჩამოსცვენია. თვალებში ცრემლი შეშრობია. ფიქრებში ჩაძირული მიგდებს ყურს. მუნდშტუკით პაპიროს ეწევა. ასეა მარო ღურწკაიხეც.

— სიგარეტი ქალისთვის მწუხარების შემსუბუქების წამალია კაცთაგან განსხვავებითო, — იტყვიან ხშირ-ხშირად თავის გასამართლებლად და ნუ ერწმუნები სიავე თუ გწადია!

დაიწყებს მოთქმა-გოდებას კლარა ნარმანხე და მყისვე ქორივით დავაცხრები თავზე. მორიგ ზღაპარს ვიშიშვლებ ჭინკებით სავსე წარმოსახვიდან. ასე მივთარევთ საწუთროს. ბიცოლა კლარას გლოვის ჟამს ელიავებთან სახელდახელო არაკებით გადმოსვლა იგივეა, რაც თავის დროზე აივნის იატაკზე წაქცეულის პირთან სუფრის კოვზით მიტანილი გეჩახილია.

ჰე, საიდან სად მოვეშურები, დროის საწინააღმდეგოდ, სამყაროს კანონების უარმყოფელი, ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობის ჯინაზე.

მართუდან, მღვრიე მორევიდან, ანკარა სათავეებისკენ მივექანები ქვირითისმყრელი ორაგულების მიმსგავსებით. ეთერში გადასულ, ასტრალურს შერწყმულ სახეებს აღვადგენ, ვცდილობმისხალი არ დავუკარგო მათ უმზაკვრო გამოხედვას, მაგრამ ნამცეცები მრჩება მთებს დახარბებულს.

წადინებულან ჭეშმარიტი საწყისისკენ, სადაც დღე და ღამე ერთი სარეცლის თანამეცხედრენია, სადაც მოშლილია ზღვარი ცივსა და ცხელს შორის, სადაც სული და სხეული სამყაროს შეუცვლელი საშენი მასალაა.

მიმქრალ ხატებს — სევერიან ელიავას, ჰერიკო პაპაშვილს, შალერ აფაქიძეს, სილოვან ხუფენიას, მამაჩემ მიხეილს, ბაბუებს და დიდედებს, კიდევ მრავალთ და მრავალთ, ახალი შეგზნებია — გუშინწინდელი, გუშინდელი — ბესო მესხია და ბოჩია მეფორია, დეიდაშვილ-მამიდაშვილი, თემურ გელენავა და ბექა ქეცბაია, მაჭკუტია ჩემი, ნაბიჯით მოშორებულნი გულის აუზიდან, რამზე ჯაბუა, გოგი ჯალაღონია, ჩემი კბილა მიხო...

„მე თუ რამე დამემართოს, ჩემი ქალიშვილი თამუნა, თამრიკო, აღზარდოს ჩემმა უფროსმა დამ მზისომ. ჩემი ბინა და რაც მე მეკუთვნის, გადაეცეს ჩემს გოგონას, რომელიც ცხოვრობს ქ. ზუგდიდში თავის ძმასთან, თამაზთან. სახლის ტელეფონია 2-37-18. მზისომ სწავლა გააგრძელებინოს თამრიკოს სამედიცინო ინსტიტუტში და როგორც თავის ასულს უპატრონოს, აღზარდოს თავისთან. ვინც წაიკითხოს ეს პატარა წერილი და ჩემი ნებასურვილი არ შეასრულოს, ღმერთმა დასაჯოს. მე, ბესიკ მესხია. 1997 წლის 8 სექტემბერი“.

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ლოთარ მათეუსი

დაიბადა 1961 წლის 21 მარტს, გერმანიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ბორუსია" მიონჰენგლადბახი, "ბავარია"** მიუნჰენი (გერმანია), **"ინტერი"** (იტალია), **"მიუნჰენი"** (გერმანია), **"მეტროსტარზი"** ნიუიორკი, ნიუ-ჯერსი (აშშ).

ძალიან ძნელია ერთხმად გახდე გულშემატკივართა კერპი ისეთი ქვეყნის ეროვნულ საფეხბურთო სპორტში, როგორიცაა გერმანია, რადგან ამ ქვეყანას არასოდეს აკლდა ფეხბურთის ჭეშმარიტი გრანდები. მაგრამ, მათ შორის, ნამდვილად ღირსეული ადგილი უჭირავს სახელგანთქმულ ნახევარმცველს, მოგვიანებით კი დაცვის ხაზის უბადლო დარაჯს ლოთარ მათეუსს, რომელმაც ფეხბურთის დიდ მოედანზე პირველი გამოჩენისთანავე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. მისმა კარიერამ ზენიტს 1990 წელს მიაღწია, როცა მისი კაპიტნობით გერმანიის საფეხბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, თავად ლოთარ მათეუსი კი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა აღიარებული. ათიოდე წლის წინ კი, 1980 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი მათეუსი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მისი აღზევება დაიწყო 1986 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე წრეში მან ფანტასტიკური გოლი გაიტანა მაროკოელთა კარში და გამარჯვება მოუტანა საკუთარ გუნდს. მაშინ გერმანიის ნაკრები ფინალში გავიდა, მაგრამ უაღრესად დაძაბული მატჩი დათმეს დიეგო მარადონას უძლიერეს გუნდ არგენტინელებთან.

მათეუსის საფეხბურთო კარიერა დაიწყო **"ბორუსიაში"**, 1984 წელს კი **"ბავარიაში"** გადავიდა იმ დროისათვის რეკორდული თანხის – 650.000 ფუნტი სტერლინგის საფასურად. იტალიელებმა კი მასში 2,4 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადეს. მუხლის ტრავმის გამო ლოთარმა მონაწილეობა ვერ მიიღო ევროპის 1992 წლის ევროპის ჩემპიონატში, მაგრამ 1996 წელს იგი უეფას თასს დაეუფლა **"ბავარიის"** შემადგენლობაში.

ალექსანდრე (სანდრო) მაცოლა

დაიბადა 1942 წლის 8 ნოემბერს, იტალიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბ **"ინტერში"** (იტალია).

სანდრო სპორტული ოჯახის წარმომადგენელი იყო, მაგრამ ამას ცხოვრების დასაწყისში ბედნიერება არ მოუტანია მისთვის. სანდრო სულ 6 წლის იყო, როცა მამამისი – იტალიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრებისა და კლუბ **"ტორინოს"** საუკეთესო ბომბარდირი ვალენტინე მაცოლა, იტალიის ქალაქ სუპერჯისთან მომხდარ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების მქონე პატარა მაცოლას, ჩვეული იტალიური სიამაყის გამო არ უყვარდა, როცა იგი ეცოდებოდათ, ამიტომ აერიდა მამამისის გუნდ **"ტორინოს"**, სადაც მამამისი მეგობრები მოღვაწეობდნენ და თამაში დაიწყო მილანის **"ინტერში"**. მაგრამ, ამ გუნდში მისი დებიუტი საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა – **"ინტერი"** ნამდვილად გამანადგურებელი ანგარიშით (9:1) დამარცხდა **"იუვენტუსთან"**. თუმცა, მაცოლა აქ არაფერ შუაში იყო. ეს **"ინტერის"** თავკაცებმა გამოიყენეს პროტესტის ნიშნად მოედანზე გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობა, რითაც გააპროტესტეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც **"ინტერს"** წინა მატჩში მოგება არ ჩაეთვალა და მატჩი გადაათამაშებინეს. 1962/63 წლების სეზონში **"ინტერი"** იტალიის ჩემპიონი გახდა, სადაც შემტევმა ინსაიდმა სანდრო მაცოლამ 23 მატჩში 10 გოლი გაიტანა. მომდევნო 1964 და 1965 წლებში ინტერმა ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასსაც დაეუფლა. ამ ტურნირთა ფინალში სანდრომ გოლები გაუტანა მადრიდის **"რეალსაც"** და პორტუგალიის **"ბენფიკასაც"**. ასევე, სანდრო მაცოლას ლომის წილი მიუძღვის იტალიის საფეხბურთო ნაკრების მიერ ევროპის 1968 წლის ჩემპიონატის ფინალის მოგებაში, რომლის შემდეგ მან თავი გაანება დიდ ფეხბურთს და მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი.

ბილი (დიძსი) დინი

დაიბადა 1907 წლის 22 იანვარს, ინგლისში.

თამაშობდა კლუბებში **"ტრანმერი", "ევერტონი"** და **"ნოთს ქაუნთი"** (ინგლისი.)

ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის ნაკრებში მოხვედრისთანავე პირველ 5 მატჩში გაიტანს 12 გოლს, უდავოდ იმსახურებს დიდი ფეხბურთელის საპატიო წოდებას, თუნდაც ეს მომხდარიყო **"შემტევი ფეხბურთის"** ეპოქაში, როცა ხუთი თავდამსხმელი სამი დამცველის წინააღმდეგ გამოდიოდა და თითო მატჩში ოთხიხუთი და მეტი გოლის გატანა არავის აოცებდა. მაშინ ბილი დინი 20 წლის თმახუჭუჭა ყმაწვილი გახლდათ, რომელსაც წინ დიდი სპორტული გზა ედო. დიდ ფეხბურთში მისვლიდან ერთ წელიწადში ბილი დინმა ინგლისის რეკორდი დაამყარა – 60 გოლი გაიტანა ერთი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში. გარდა ამისა, ბილი დინმა თავი გამოიჩინა ჩემპიონატების ბოლო სამ ტურში, სადაც შედეგიანობით ერთი ბურთით გაუსწრო **"მიდლსბოროს"** სახელგანთქმულ ფორვარდს ჯორჯ კემზელს. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ბილი დინმა ჩაატარა 16 მატჩი, რომლებშიც გაიტანა 18 გოლი, ხოლო კიდევ მოწყობილ 16 საჩვენებელ და ამხანაგურ მატჩებში 47 გოლი გაიტანა, რაც დღემდე სარეკორდოდ ითვლება. ამგვარი მატჩების ჩატარება უაღრესად პოპულარული იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელევიზია. მის

მიერ ჩატარებული მატჩების რიცხვს მიუმატეთ თასებზე გამართულ 33 შეხვედრაში გატანილი 38 გოლი და კიდევ 379 გოლი, რომელიც მან გაიტანა პრემიერ-ლიგის 438 მატჩში. ეს წარმატება დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ დინმა ჯერ კიდევ საფეხბურთო კარიერის დასაწყისში მიიღო თავის მძიმე ტრავმა, რაც ხშირად შეახსენებდა თავს ამ დიდებულ სპორტსმენსა და პიროვნებას.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– გამიგონია, რომ გახდომის საუკეთესო საშუალება ცურვაა, – ეუბნება კაცს ცოლი.

– არ დეიჯერო, ქალო. შეხედე ვეშაპს, რას ჰგავს, ის უპატრონო!

* * *

– ნაზიკია, მაჩუქე შენი სურათი! – ეხვეწება ქუთაისელი.

– რად გინდა ჩემი სურათი?

– შტეფსელთან მივაკრავ, ბაღნები დენთან რომ არ მივიდნენ!

* * *

– რაია, კარლოია, ასე ადრე რატომ წამოხვედი ყანიდან?

– დაკეტილი იყო, ვინცხა ჩინელს შეუძენია!

* * *

– თქვენი ანეკდოტი, სულ ცოტა, 50 წლის მაინც იქნება!

– მომილოცავს, ქალბატონო, თქვენ ფენომენალური მეხსიერება გაქვთ!

* * *

– მამი! – ეძახის 24 წლის შვილი მიტოს, – მე როდის დავიბადე?

– იმ წელს, თოფი რომ გავისროლე და თავში ვერ გდღლიზე, შე შობელძაღლო!

* * *

– ოფიციანტ!

– აგერ ვარ, ბატონო!

– ბევრი დავლიე და იქნება გამოსაფხიზლებელი მომიტანო რამე!

– აგერ, ბატონო, ანგარიში...

ალექსანდრე კელინი - თბილისის აგრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიაში ვითარების ნორმალიზებას ხელს უშლის

თბილისის აგრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიაში ვითარების ნორმალიზებას ხელს უშლის,– ამის შესახებ რადიო **„გოლოს რასიის"** ეთერში **დსთ**-ის ქვეყნების საკითხში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოთხე განყოფილების დირექტორმა, ალექსანდრე კელინმა განაცხადა. ინფორმაციას **„როსბალტი"** ავრცელებს.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების ქმედებები რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებისკენაა მიმართული. ამის მიმანიშნებელია შპიონაჟთან დაკავშირებული რამდენიმე სკანდალი, რომელიც ფაქტობრივად სუფთა ადგილზე გათამაშდა და სააკაშვილის განცხადებები იმის შესახებ, რომ დამდეგი **"ახალი წლის შეხვედრას სოხუმში გეგმავს"**,- განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ოფიციალური თბილისის დესტრუქციული პოლიტიკა შესამჩნევია როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის მიმართაც. სააკაშვილი კვლავ უარს აცხადებს მათთან რაიმე ტიპის დიალოგზე. ის ცდილობს ამ რესპუბლიკების მიღმა ისაუბროს და მათ არსებობას ვერ ამჩნევს. ანუ, თბილისი გამოდის იქიდან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებულია და ჩვენ ამაში მათ უნდა დავეხმაროთ", - განაცხადა კელინმა

მიუწვდომელი კრედიტები საქართველოში

საქართველოში საბანკო კრედიტები მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მიუწვდომელია. კრედიტების ხელმისაწვდომობის რეიტინგი **„მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა"** გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 139 ქვეყნიდან 125-ე ადგილზეა. ეს ინფორმაცია საპარლამენტო უმცირესობის წევრთა კრიტიკული განცხადებების მიზეზი გახდა.

გურამ ჩახვაძის თქმით, **„მეწარმისთვის ბიზნესის დასაწყებად საჭირო თანხის მოძიება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სახელმწიფო მეწარმეთა დახმარებაზე უარს ამბობს, ხოლო კომერციული ბანკები სესხს, ფაქტობრივად, არ გასცემენ"**. საბანკო ასოციაციაში აღიარებენ, რომ დღეს ყველაზე ხელმიუწვდომელი აგროსესხებია. ასოციაციის პრეზიდენტის განცხადებით, თუ კომპანიას კარგი ბიზნესგეგმა აქვს და მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მისთვის კრედიტიც ხელმისაწვდომია, თუმცა ზურაბ გვასალიას თქმით, აგროსექტორში პრობლემები მართლაც არის და ამ საკითხზე მთავრობა, კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები ერთობლივად მუშაობენ. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, კრედიტი ძვირია, თუმცა ეს არის ბანკების მიერ მოზიდული სახსრებისა და არსებული რისკების რეალური ფასი. გვასალია დასძენს, რომ კომერციული ბანკები საკუთარი ინტერესების საზიანოდ ერთბაშად საპროცენტო განაკვეთებს ვერ დააგდებენ, რადგან მათაც ვალდებულებები აქვთ.

ქართულ ავიაბაზარზე თურქული მონოპოლია ფართოვდება

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტს სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გაყიდის. ინვესტორი ვალდებულია, 1 ლარის სანაცვლოდ განავითაროს აეროპორტის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოს ბილეთების დაბალი ფასი. გარდა ამისა, ინვესტორმა გარანტია უნდა დადოს, რომ წელიწადში 20 მილიონ მგზავრს მოემსახურება. აეროპორტის მართვის უფლებაზე ხელისუფლება არც ტენდერს გამოაცხადებს და არც აუქციონს. თუმცა უკვე საუბრობენ იმაზე, თუ ვინ იქნება კოპიტნარის აეროპორტის მფლობელი. როგორც ამბობენ, ყველაზე მეტი შანსი თურქულ ავიაკომპანია „ტავ ჯორჯიას" აქვს, რომელიც თბილისსა და ბათუმში უკვე ოპერირებს. „ტავ ჯორჯიასთვის" თბილისის აეროპორტის მმართველობაში გადაცემისას ხელშეკრულებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ 300 კილომეტრის რადიუსში არცერთ ავიაკომპანიას არ აქვს უფლება, აეროპორტი ააშენოს. ბათუმის აეროპორტიც იმიტომ გადასცეს თურქეთს, რომ ყველა სხვა ავიაკომპანიის წინადადება დაიბლოკა. კოპიტნარი თბილისიდან 220 კილომეტრშია. აქედან გამომდინარე, კოპიტნარის მფლობელიც თურქული კომპანია გახდება.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27